

დასტურდა საქართველო



საქართველოს მხარეთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАРТВЕЛО

6 დეკემბერი, 2013 წ.

№73 (3683)

გამოცემის 77-ე წელი

ფასი 1 ლარი



33.3

ზვიად
გამსახურდია



**დილაგა
კასობრიობის
ენაზე**

33.6

ნინო
ქუთათელაძე



**სუიციდი თუ
თავგანდობა**

33.12

ზოთიუსი



**ფილოსოფიის
ნუგეზი**

33.14

გულრ
კობიაშვილი



**ყვითელი
ღებოწიკები**

„პერსონალი“ სასახლე ავლაბარში...

გამომხატველი „ლიტერატურული საქართველო“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ ღია წერილზე ავლაბარის საპრეზიდენტო სასახლის შესახებ თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ ქართული კულტურა განძია, რომელსაც შეუძლია ერის სულიერი და ზნეობრივი არსებობის გადარჩენა, გნებავთ, ფიზიკური დაცვა, როგორც ეს ფარნავაზის დროს მოხდა ჩვენს ერამდე III საუკუნეში. მან, ფარნავაზმა ქართული სახელმწიფო შექმნა და გადაარჩინა კულტურული ფენომენის მეოხებით: მნივნილობით და ქართული ენით, ანუ განძით, რომელიც მან ჰპოვა უფლის ნებით... ბრწყინვალე ქართულ კულტურას შეუძლია ერზე გლობალურ-კაცობრიული ძალადობის არიდება ან შერბილება, თუ მას ჩვენ სწორად გამოვიყენებთ და გამოვაჩენთ, „დავაყენებთ მზეზე“ მის მაგიურ ბრწყინვალეობას... – ამიტომაც მას სჭირდება ასეთივე ბრწყინვალე განძისადაც, სადაც დაცული – და გამოჩენილიც – იქნება ერთდროულად...

ახლა ავლაბარის „საპრეზიდენტო სასახლის შესახებ“, რომელიც, შესაძლოა, არარაიდან რაიმედ, ანუ ქართული კულტურის დამცავ კერად იქცეს...

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ქართველი ერის პოლიტიკის და კულტურის ისტორიაში: ხელისუფლება დაატოვებინეს კაცს, ჩვენი დროის „პერსონალი“, რომელმაც ქვეყანაში დათესა ადამიანთა სიძულვილი, გამოიწვია კულტურისა და ხელოვნების ტოტალური ნგრევა...

ამავე ადამიანმა თავისთვის აიშენა „არტემიდეს ტაძარი“, რომლის დანვაც ვერ მოასწრო...

სწორი გადაწყვეტილება მიიღო ახალმა პრეზიდენტმა – ბრძენმა ფილოსოფოსმა კაცმა, ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა, როცა ამ „საპრეზიდენტო რეზიდენციაში“ („ნაგებობაში“) არ შევიდა, მაგრამ დღეისთვის, სამწუხაროდ, სწორად ვერ განისაზღვრა ამ შენობის ფუნქცია.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საგანმანათლებლო სისტემისთვის – „საუნივერსიტეტო სწავლების“ მიზნით ამ შენობის გამოყენება მრავალი ასპექტით შეუსაბამოა;

ღვთის წყალობით, ჩვენ გვაქვს საკმარისი „საუნივერსიტეტო“ შენობა თბილისში და რეგიონებშიც: კერძოდ, გვაქვს ბრწყინვალე უნივერსიტეტი – ილიასეული დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ცოდნის ტაძარი ჭავჭავაძის გამზირზე, თავისი დამხმარე კორპუსებით, ჩვენ გვაქვს უნივერსიტეტის ახალი კორპუსები „ვაჟა-ფშაველას“ ბოლოში...

ჩვენ გვაქვს „პოლიტექნიკური“, „სასოფლო-სამეურნეო“, „პედაგოგიური“, „ზოოვეტერინარული“ ინსტიტუტების შესანიშნავი შენობა-ნაგებობები, სადაც საგანმანათლებლო სისტემა და პროცესი ყოფილმა პრეზიდენტმა (და მისმა ხროვამ), ფაქტობრივად, ჩაშალა!.. ჩვენ ახალი შენობა-ნაგებობები კი არ გვჭირდება, არამედ გვჭირდება არსებულ ბაზებში ჩაშლილი საგანმანათლებლო სისტემის აღდგენა და ეროვნული ცნობიერების განახლება, წართმეულის დაბრუნება...

ვიმეორებ, ჩვენ გვაქვს საკმარისი საგანმანათლებლო კერები. მაგრამ, სამწუხაროდ, არ გავაჩნია უმდიდრესი ქართული კულტურისა და ხელოვნების, უძველესი ისტორიული ცივილიზაციის ცენტრი საგამოფენო დარბაზებით.

ყველამ კარგად ვუნყით, რომ ქართველი ერი ფლობს უძველეს ქრისტიანულ და ქრისტეს შემდგომი ეპოქების კულტურულ მემკვიდრეობას. მართო ჩვენი უნიკალური ანბანით ნატიფი ხელნაწერები რად ღირს, რად ღირს ტიხრული მინანქრის და ხატუნის ადრეუფასაუკუნეთა შედეგები...

უნიკალურია მსოფლიო ცივილიზაციების დასაბამიერი კავკასიურ-იბერიული კულტურა, მტკვარ-არაქსული თუ გვიან ანტიკური ხანის

არქეოლოგიური საგანძური... – ანდაც „პირველი ადამიანის“ დმანისური თავის ქალები... სოფლის მეურნეობის (ღვინის, ლუდის), მედიცინის, უძველესი ორნამენტის რელიკვიები... რკინის და ოქროს ნარმოების ხელოვნება.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გვაქვს რუსთაველის რენესანსული ეპოქა მრავალნაზნაგოვანი კულტურული ბრწყინვალეობით, რომელიც სრულიად უყურადღებოდ (ურეკლამოდ) არის მიტოვებული ჩვენ დროში.

ალარაფერს ვამბობთ თანამედროვე ხელოვნების ბედზე – გნებავთ, ფიროსმანზე, გნებავთ, გაბაშვილსა და კაკაბაძეზე, ნიკოლაძეზე, ავთო ვარაზზე, ფარჯიანზე, კინოსა და თეატრალურ მხატვრობაზე...

არაფინ იცის, რომელ სარდაფებში ობდება მათი შედეგები...

ბლუმენბახი – XVII საუკუნის გერმანელი ანთროპოლოგი და არქეოლოგი – კაცობრიობის თეთრი რასის დასაბამს კავკასიაში ხედავდა, მას წინ ედო ქართველი ქალის თავის ქალა – როგორც ყველაზე სრულყოფილი სილამაზის „ნიმუში“ დედამიწაზე! მისივე თანამემამულე – ჰეგელი – ბრძანებდა, რომ „კავკასიაში არის გონი, რომელსაც შეუძლია ცივილიზაციათა შობა“.

ამდენად, ქართველი ერი კულტურულ-ინტელექტუალური ფენომენია – მნივნილოვანი-საგანმანათლებლო-სახელოვნებო მისიის მოციქული დედამიწაზე, და იგი ამ ნიშნით უნდა ბრწყინავდეს ახალი ცივილიზაციების ეპოქაში.

სამწუხაროდ, როგორც ჩვენი მეცნიერები სწუხან: ქართული უნიკალური ხელოვნების განძისადაც მუხუშეები (თუ საგამოფენო დარბაზები) ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს, ერი ვერ ახერხებს საკუთარი გენეტიკური და ლოგოსური „ლოგოგრამის“ (ღვთის მიერ ბოძებული მადლის) მოვლასა და ლობიერებას...

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ავლაბარის საპრეზიდენტო შენობა, რამდენადაც შეუსაბამო იყო ნაპრეზიდენტალისთვის, ასევე შეუსაბამოა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისთვის. მაგრამ ის, შესაძლოა, ბრწყინვალე და ზედგამოჭრილი იყოს ქართული კულტურისა და ხელოვნების ეროვნული ცენტრის მოსაწყობად. ეს იქნება „დიდი ჭირის სარგებლად ქცევის“ შესანიშნავი შემთხვევა!

რადგანაც ამ სასახლეს აქვს საგანგებოდ მონყობილი და დაცული „ბუნკერები“, ტყვია-გამძლე კედლები და გვირაბები – რაც ესოდენ სჭირდება ჩვენს დიად ისტორიულ საგანძურს ასეთივე სახელოვნებო-კულტურული მისიისთვის განუსაზღვრავს სახლი ჩვენ სახელოვან არქიტექტორს გიგა ბათიაშვილს.

და ბოლოს, ფუნქციური დატივრთვით ეს სასახლე სრულად შეესადაგება სამების ბრწყინვალე ტაძარს, რომელიც თავზე დაჰყურებს მას...

სწორედ ავლაბარის შენობის ასეთ ფუნქციას ხედავენ და უჭერენ მხარს ცნობილი მეცნიერები, დოქტორები: ელდარ ნადირაძე, თემურ საყვარელიძე, გიორგი მარსაგივილი და სხვები „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ წერილში.

ამ იდეას მხარს უჭერენ სასულიერო მოღვაწენიც...

მაშ, მოვუსმინოთ ერსა და ბერს: მივანიჭოთ ყოფილი პრეზიდენტის სასახლეს ეროვნული ცნობიერების (ძველი და ახალი), ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის სტატუსი!

მრავალნი მოვლენ აქ და ნახავენ მას, როგორც „ოაზის ცივილიზაციათა უდაბნოში“...

კობა იაკობ-აბა არაბული
მწერალთა ეროვნული აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი,
ტრადიციათა ცოდნის კათედრის გამგე



კობა იაკობ-აბა არაბული

წერილი ბორია გასს

ისრაელში რომ მიდიოდა ბორია გასი, ვინ შეაფურთხა? ხელზე ხელი რომელმა უკრა? პირიქით: დამდგარს სამშობლოსკენ მიმავალ გზაზე გასაცილებლად გაუშალეს ზღაპრული სუფრა.

შენს თავს მიხედე, საქართველო! გმადლობ ფარვისთვის! და შენც, ბორიავ, თავს თავადვე შლიდე აფრებად! მიმკვდარებული არ გახდება სული არვისი, თუკი თვითონვე სულიანად არსად ჩაქრება...

სამოციანთა მზე აღმოხდა მაშინ, როდესაც ჩაუდიოდა მზე საბჭოეთს, როგორც გალიას... და მომავალიც საზეიმოს ჰგავდა ნოტებს და... ოლონდ საერთო ფონი იყო მუქი ძალიან...

მათი ნაკითხვით მეცხრე ტალღად აღმართულიყვენ, მაგრამ ყველაფერს ვერ შეცვლიდნენ უცებ გარშემო: ოთარ ჭილაძე, ოკუჯავა, ახმადულინა, მოციმციმენი თვალუნვდენელ მინის თავზემოთ...

მარგველაშვილმა გიამ ერთხელ მითხრა გადაჭრით, რომ მომავალში სიტყვა ახდენს დიად მოვლენებს და თაობები, რომლებითაც უნდა გადავრჩეთ, ადრე თუ გვიან, უსათუოდ თქვენთან მოვლენო!

მერწმუნეთ: ანტიქართველობა, ანტირუსობა სირცხვილია და უმომავლო არის ყოველთვის. სიავის მომხრედ - მშიშარალა გაისუსება... სიავეს როგორ მოეხრება ქედი პოეტის!

მე საქართველოს მიტოვებას ვერ შემაჩვიეს. მე სიკვდილამდე ჩავთვლი ჩემი ხსოვნის ნაწილად მის დესპანს - ზურაბ აბაშიძეს, ვინც დედაჩემის გასვენებაზე მოვიდა და მომისამძიმრა.

თბილისი აქვე არის, მაგრამ ჩასვლა გაჭირდა. კოტე მესიზმრა, წამომდგარი სადღეგრძელოსთვის. მე სულ ვსაუბრობ დუმბაძის და ლადოს აჩრდილთან, ჩემში არიან საფლავები საქართველოსი.

ჩვენ დავაშავეთ და ეს ჩვენთვის გაკვეთილია! ქრისტიანობა თუ მოგვითანს ხსნას და მხნეობას. არ დაუტოვოთ ახლებს გზები ჩაკეტილები და შურისგება - უკანასკნელ მემკვიდრეობად!

მთარგმნელი
კათუ დანელია

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის ბრძანება № 9

2013 წლის 14 ნოემბრიდან საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის მცხეთა-მთიანეთის მწერალთა რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ დაინიშნოს პოეტი როსტომ მაჩხოვილი.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი
თ. ნივნივაძე


ვაქცეყნებთ საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ქუთაისელ ნაევრთა შევსებულ-დაზუსტებულ სიას:

ჭეიშვილი რეზო	ყურაშვილი ავთანდილ
ამყოლაძე თემურ	ყურაშვილი ცირა
გვაზავა მერაბ	შალაშვილი ცირა
ებანოიძე ზაალ	ჭეიშვილი გონერ
თავაძე გიზო	ხოფერია გია
უჩაძე ბელა	

დილა კასობრივის წინაშე

(იხილეთ შემოკლებით)

ზვიად გამსახურდია



...უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ საცნაურია კაცობრიობის მანამდე არნახული დიფერენციაცია. რაც უფრო ვუახლოვდებით საუკუნის დასასრულს, მით უფრო იკვეთება საშინელი დილემა, რომელიც დგას დღევანდელი საზოგადოების თუ პიროვნების წინაშე.

რა დილემაა ეს? იგი, ცხადია, უცნაურად, თავისთავად არ აღმოცენებულა.

მან განიცადა ევოლუცია, როგორც ყველაფერმა. გასულ საუკუნეებში, განსაკუთრებით მე-19 საუკუნეში, მას მხოლოდ რჩეული გენიოსები აღიქვამდნენ და განიცდიდნენ მთელი სიმწველი. მათ შორის უდიდესთა წვა და მარტვილობა, ხოლო ზოგჯერ კატასტროფაც, ამ დილემასთან იყო დაკავშირებული. მათ დაინახეს მთელი სიცხადით, რომ ამ დილემისთვის გვერდის ავლა, ან მისთვის თვალის ვერ გამოჩენა გამოიწვევს პიროვნების თუ საზოგადოების სრულ დეგრადაციას, მიგვიყვანს სამყაროს სრულ დეჰუმანიზაციამდე და დაუღუპამდე. ასევე შემზარავი იყო მათთვის გაცნობიერება იმისა, რომ ამ დილემის დიდმნიშვნელოვანების მიფურჩეხას და ყოველგვარ ნივთიერებას (ცილობდა არაერთი ნამყვანი მეცნიერი თუ აზროვნებისმწიერი მიმართულება იმ საუკუნისა...

რა დილემაა ეს დილემა, რომელიც ისტორიულად ესოდენ ადამიანთა ადამიანურ სინდისს, ხოლო დღეს ჩვენი ყოფნა-არყოფნის ძირითად ფაქტორად ქცეულა? ამ დილემას ჭერებდნენ ჯერაც უძველესი ხალხთა ბრძენნი და მოძღვართ-მოძღვარნი, რომელთა ნააზრვეი და ნაგრძობი ესოდენ დიდებულად აისახა კაცობრიობის საკრალურ წიგნებში... ფსალმუნთა შექმნის ეპოქაში ათეიზმი და უგუნურება სინონიმებად ითვლებოდა: „სთქვა უგუნურმან გულსა თვისსა შიგან არა არს ღმერთი“ (თუშცა დღევანდელ ეპოქაში, ფსევდონიტელექტულური „ინტელიგენციისათვის“ უგუნურების სინონიმად რწმენა ქცეულა)...

დღეს ეს დილემა ამგვარად გამოიკვეთა აზროვნების, ეთიკის თუ მორალის სფეროში: ან ვალიაროთ, რომ დიდი სამყარო, უნივერსუმი და ჩვენ, კაცობრიობა, შექმნილი ვართ აბსოლუტურად კეთილ-გონიერი უნივერსალური ძალის მიერ, რომ ჩვენ გვაქვს მაღალი დანიშნულება, დიადი მიზნები, რომ ჩვენი ისტორია და კულტურა არ არის მარტოოდენ რაღაც მექანიკური თუ ბიოლოგიური აუცილებელი „კანონზომიერების“ შედეგი, რომ ის არ აღმოცენებულა შემთხვევით თუ უაზროდ და არ არის მატერიის ქაოტურ ძალთა მოძრაობის პროდუქტი, რომელსაც, შესაძლოა ასეთივე შემთხვევითი განადგურება უნერია; ამასთან თეორიულად ყოველივე ამის აღიარებამ უნდა მიგვიყვანოს ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულ გარდაქმნამდე, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისათვის და არა ამქვეყნიური კეთილდღეობისათვის, ჩვენ უნდა გავიღოთ მსხვერპლი, არ უნდა ვუღალატოთ ჩვენს მაღალ მრწამსს, თუნდაც, რომ სიკვდილის წინაშე მოგვიხდეს ნარდგომა. ეს იქნება პრაქტიკული დადასტურება ჩვენს მიერ ჩვენი უმაღლესი მოვალეობის გაგებისა, ამით მიეცემა ჩვენს ყოფას

ბატონო თამაზ!

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, თქვენთან ერთად, „მოქალაქეობრივი დეზერტირობით“ სახელგანთქმული რეზო მიშველაძე ისე მწარედ გავმოლტეთ, რომ ამ ქუსლიცუა მწერალმა (სიტყვა „ქუსლიცუა“ ბავშვობაში, ჩემს დედულეთში, კასპის რაიონის სოფელ გარყულაში მაქვს გაგონილი და უვარგისი, გაფუჭებული ადამიანების გასანკუპლად, დასაცინად გამოიყენება!), პეშვით მიწა მოთხარა, სახალხოდ შეჭამა და დაიფიცა: ოლონდაც შეწყვეტეთ ჩემს შესახებ მამხილებელი წერილების წერა და ასე დავემინდე თუ ხმა-კრინტი დავძრაო!

მიშველაძე, აბა, რისი მიშველაძე იქნებოდა, ფიცი შეენახა, მაგრამ ახლა სულ სხვა რამ მსურს გითხრა... ზემოთ ვახსენე ტერმინი „მოქალაქეობრივი დეზერტირობა“, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეკუთვნის! კარგადაც ვიცი, ნაწარმოების დასახელება, სადაც პირველად გამოიყენა. კიდევ ერთხელ გადავფურცლე მომცრო წიგნი, გამოცემული 1995 წელს, რომლის შესავალში ზვიადი წერს:

„დილემა კაცობრიობის წინაშე“ თავის ავტორთან ერთად დააბატონეს 1977 წლის 7 აპრილს, მაგრამ, ჩემგან განსხვავებით, იგი განთავისუფლდა პატიმრობიდან მხოლოდ 1991 წლის იანვარში. ვფიქრობ, მას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და თუ ეს ასე არ არის, მაშინ კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით მაინც იქნება საინტერესო ჩემი იმჟამინდელი ნაფიქრ-ნატანჯი“.

დაახ, ეს მართლაც ბრწყინვალე ესეი, დღესაც საინტერესოა და, რაც მთავარია, გამოსაქვეყნებელია, რადგან (როგორც ვიცი) არც ერთ გაზეთში დღემდე არ დაბეჭდილა!

დიდი სურვილი მაქვს, რაც შეიძლება ნაკლები ვილაპარაკო, უმჯობესია, თვით ზვიადს მოვუსმინოთ, ოლონდ, ერთს მაინც ვიტყვი: „მოქალაქეობრივი დეზერტირობა“ მთელი მსოფლიოს ის დილემაა, კაცობრიობას აშკარად, ჩვენსავე თვალწინ, დაუღუპისკენ რომ მიაქანებს.

„მოქალაქე დეზერტირობით“ ივსება ქვეყნიერება! ისინი გეომეტრიული პროგრესიით მრავლდებიან, რასაც დემონური სამყარო უწყობს ხელს! ისინი არიან ყველგან: სამეზობლოში, სამსახურში, ტრანსპორტში, მთავრობაში, უმაღლეს სასწავლებლებში...
ეს დილემა იმდენად მძიმე მოვლენა გახლდათ, სახარებაშიც ვერ აუარა გვერდი:

„ვიცი შენი საქმენი: შენ არც ცივი ხარ, არც ცხელი; ი, ნეტა ან ცივი იყო ან ცხელი!
მაგრამ რაქი ნელთბილი ხარ შენ, არც ცივი და არც ცხელი, ამიტომ ამოგანთხევე ჩემი პირიდან. ვინაიდან შენ ამბობ: მე მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და არაფერი მაკლიაო, ის კი არ იცი, რომ უბედური ხარ და საცოდავი, ღატაკი, ბრმა და შიშველი“ (მოციქულ იოანეს გამოცხადება, 3-15, 16, 17).

„დეზერტირობა მოქალაქეებს“ ანუ ეშმაკთან ნილნაყარ ადამიანებს მსოფლიო მორიგი კატასტროფისაკენ მიჰყავთ.

ამ საშინელების შესახებ მოგვითხრობს ზვიად გამსახურდია თავის მშვენიერ ესეიში – „დილემა კაცობრიობის წინაშე“.

არ მასვენებს ეჭვი – ზვიად გამსახურდია, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ბნელეთმა სწორედ ამგვარი აზროვნებისთვის გაიმეტა!

ამიტომაც, ზვიად გამსახურდიას დაღუპვის ჭეშმარიტი ფესვები სულ სხვა განზომილებაშია და არა იქ, სადაც „მოქალაქეობრივი დეზერტირობის“ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები ეძებენ!

ცნობილი პოეტი და ჩვენი მეგობარი – ვაჟა ხორნაული კარგად ამბობს ზვიადისადმი მიძღვნილ ლექსში (რომელიც ჩემი რედაქტორობით გამოშვალა გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“ (1997 წ.) დაიბეჭდა პირველად):

„აქ, ჩემს საფლავზე, არა ქრება შუქი მიხაკთა, აქ ხშირად ნახავთ სევდიან ჩრდილს, სევდიან ხელებს...
ღმერთმა ხომ იცის, საქართველო როგორ მიყვარდა!
ღმერთმა ხომ იცის, როგორ მიყვარს სიკვდილის მერეც!“

მიუხედავად ზოგიერთი ვიპოლიტიკოსისა და მართლაც დეზერტირთა მცდელობისა – უარყოფითად დახატონ ზვიად გამსახურდიას დამსახურება ქვეყნის წინაშე, ქართველ ხალხს გულწრფელად უყვარს იგი.

ამისი დასტურია თუნდაც ჩვენი ლიტერატურული ყურნალის „ამერ-იმერის“ პრეზენტაციები ამბროლაურში, ონში და ცაგერში! სამივე რაიონში ზვიად გამსახურდიასთან ერთად თავს გადატანისა, რამდენიმე სხვადასხვა ამბავი გავიხსენე, რასაც დამსწრეთა შორის მხურვალე, თანაგრძობის ცრემლები მოჰყავს!

ხალხის სიყვარულის მოხვეჭა ხომ თითოეული პიროვნებისთვის უძვირფასესი საგანძურია!

ვიმედოვნებ, „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი „დილემა კაცობრიობის წინაშე“, კიდევ ერთხელ მიმოიბრუნეს იმ საქართველოს, რომელიც სიცოცხლეზე ძლიერ უყვარდა მის ავტორს – მონამეობრივად აღსრულებულ ზვიად გამსახურდიას!

კვებალ დავლიანიძე

აზრი (პირველქრისტიანების კრედი); ან ვალიაროთ საპირისპირო: რომ სამყარო და ადამიანი შემთხვევითობის ან მკვდარი, უმიზნო აუცილებლობის პროდუქტია, რომ არავითარი რეალური გონიერება არ არსებობს სამყაროს ევოლუციასა და ადამიანთა ისტორიაში. ვალიაროთ, რომ კოსმოსი არის შემთხვევითობა, უსასრულო ქაოსის დროებითი, შემთხვევითი მონესრიგებული ფორმა, ისევე, როგორც ჩვენ ვართ დროებით, შემთხვევითად შეკონინებული ფორმა მატერიის უმიზნო განვითარებისა და რომ ეს ფორმა ჩვენითვის ისეთივე შემთხვევითი და წარმავალია, როგორც სფერული ფორმა საპნის ბუშტისათვის, ხოლო ამგვარმა თეორიულმა შეხედულებამ პრაქტიკაში, ცხადია, უნდა მიგვიყვანოს შემთხვევითობა, რახან ყველაფერი შემთხვევითობაა, რახან ჩვენს ცხოვრებას არავითარი უზენაესი აზრი არ გააჩნია, ზურგი უნდა ვაქციოთ ყოველგვარ იდეალებს, უზენაესზე ვიქნას, ვიცხოვროთ მხოლოდ დღევანდელი დღით, ჩვენი ყოველდღიური მოთხოვნილებების, სურვილებისა და ვნებების დაკმაყოფილებისათვის, ამსოფლიური კეთილდღეობისა და კომფორტისათვის, თავი არ შევიწუხოთ მოქალაქეობრივ ვალზე, ღმერთზე და მოყვარულ ფიქრით, მივყვეთ ცხოვრების დინებას, ვეძებოთ „მშვიდი ცხოვრება“, ამქვეყნიური ბედნიერება, ვინაიდან ჩვენს არსებობას სხვა არავითარი დანიშნულება არ გააჩნია...
აქედან გამომდინარე, დგას დილემა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ერთი მხრივ, მოქალაქეობრივი თავგანწირვა, ნიადგა სინდისის კარნახით მოქმედება, სულიერი იდეალის პირველ პლანზე დაყენება, ხოლო მეორე მხრივ, ფილისტერული, თვითკმაყოფილი ფსევდოპრაგმატიზმი, სინდისის ხმის სისტემატური ჩახშობა საკუთარ სულში, თვალის დახუჭვა ყოველგვარ უმსგავსობაზე, რომელსაც შექმნა ესა თუ ის სახელმწიფოებრივი ნყოფა თუ ცალკეული ადამიანი. ეს გახლავთ ის მწვავე დილემა, რომელიც დგას დღეს ყოველი ჩვენგანის წინაშე. აი, ის კითხვები, რომლებზედაც მასუხის გაუცემლობა აუცილებლად მიგვიყვანს საველალო მდგომარეობამდე. აი, მთავარი ფესვი ყველა დღევანდელი სოციალური და ადამიანური ბოროტებისა!..

რას მივანეროთ დღევანდელი ადამიანის უგუნურება, სასონარკვეთა, გაველურება ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით? რას მივანეროთ ის, რომ ამ ნიჰილიზმმა, თვითუარყოფამ, ყოველგვარ სულიერ ღირებულებათა იგნორირებამ ფილოსოფიები შექმნა საკუთარი, ათეისტური ეგზისტენციალიზმის სახით, ხოლო ადამიანის პირუტყვილი მოთხოვნილებების აბსოლუტიზაციამ, ეკონომიკურ ღირებულებათა განვითარების ქვეყნად ადამიანური ცხოვრების ფრთხილად მიზნად – შექმნა თავისი ფილოსოფია მარქსიზმის სახით? რას მივანეროთ, რომ დღეს ბიოლოგიური სრულყოფილებისკენ სწრაფვა დაუპირისპირდა მორალური სრულყოფისაკენ სწრაფვას?

ყოველივე ეს შედეგია იმისა, რომ კაცობრიობის მასა უძლური აღმოჩნდა ამ უმძიმესი დილემის წინაშე. მასას დილემის მეორე მხარე აარჩევინეს, ზურგი აქცივინეს ყოველგვარი სულიერი იდეალებისკენ და ამის შედეგად მან ღმერთკაცობის ნილ აირჩია გზა მხეცკაცობისა...

სიმპტომატურია, რომ ამ ტენდენციებმა უმთავრესად სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურებს დაასვეს დალი, თუმცა ლიტერატურა, მეცნიერება და თვით რელიგიაც არ დარჩენილა მათი გამხრწნელი ზეგავლენის კიდევან: ლიტერატურაში ვულგარული ნატურალიზმი, უხეში სოციოლოგიზმი, ფსიქონალიზმი, ჭყჭყში ქექვა, ფროიდიზმი, რასიზმი და ყოველგვარი პათოლოგიის აპოლოგია, ფსევდომოდერნიზმი, „ანტილიტერა-

ტურის“ აღმოცენება. აი, საგანგაშო მეტასტაზები ამ სენისა...

კაცობრიობა გზას ააცდინეს მტრულმა ძალებმა, მცდარმა მსოფლმხედველობებმა, დემაგოგიურმა სოციალურ-პოლიტიკურმა მიმდინარეობებმა, ნაცვლად ამ იდეალისა, მას დაუსახეს იდეალი ამსოფლიური კეთილდღეობისა, პრაქტიკული სარგებლიანობისა, სოციალურ-ეკონომიკური „სამოთხისა“. აი, რამ დააბნია იგი და სასო წარეკვეთა ესოდენ ძლიერ!

სოციალიზმის დემაგოგია, უწინარეს ყოვლისა, ყოველი ადამიანის სულის კუნჭულში დაშვებულ პატივმოყვარეობაზე იმოქმედა, თანასწორუფლებიანობის ქველი იდეა მასას მიანოდეს იმგვარად, თითქოს ადამიანს დაბადებითვე არ სჭირდებოდა ინტელექტუალური და მორალური ევოლუცია და, მაგალითად, ყოველ მზარეულს იმთავითვე გააჩნდეს თითქოს სახელმწიფოს მმართველის უნარი და გამოცდილება. ამან დაბადა საოცარი თვითკმაყოფილება და რეალობის გრძობის დაკარგვა... აპა-თია უფრო გაძლიერდა და ველურმა ინსტიქტებმა უფრო აიშვეს. სოციალიზმმა ადამიანს მისცა მოჩვენებითი და მზამზარეული კაცმერთობა, რითაც დააკმაყოფილა მისი პატივმოყვარეობა, ხოლო ღმერთკაცობის ნამდვილი გზისაკენ სამუდამოდ დაუხშო გზა...

სოციალიზმმა გააბატონა ცრუ იდეალი ფიზიკური შრომის გმირობისა, რათა მოეპოვა გაგება ჭეშმარიტი გმირობისა ადამიანთა მოდგმის სულიერი ალორძინებისთვის ბრძოლის ასპარეზზე. მან მოითხოვა ადამიანისაგან თვითდათობა ფიზიკური შრომის ასპარეზზე, რათა ფარულად დაეგმო ის გმირობა, რომელსაც მოითხოვს სინდისის ხმა ადამიანში...

სოციალისტურმა ტოტალიტარიზმმა კირკესული ჯადოქრობით ღორებად აქცია მასა, მაგრამ მან ვერ შეძლო ერთგულ, გამორჩეულ პიროვნებათა ამგვარი ტრანსფორმაცია. ამ პიროვნებებმა შეინარჩუნეს კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი...
და აი, ამ დილემის დამნაველი ინტელიგენციის მხოლოდ მცირე ნაწილი ირჩევს გზას მარტვილობისა, თვითდათობისა, უთანასწორო ბრძოლისა ციხეებისა და ფსიქიატრიული საავადმყოფოების ჭანგებით აღჭურვილ ურჩხულთან.

ინტელიგენციის გარკვეული ფენა დღეს ინიღბება „გონივრული ოპოზიციის“ ნიღბით, ვითომდაც ბრძოლის უფრო ეფექტური საშუალებებით, ვიდრე კედლისათვის თავის შეხლავს. ამიტომ გამართლდა ჩვენში „მინიშნებითი ანმყოფილი ლიტერატურა“. ყველასათვის უჩინარი და შეუმჩნეველი დაპირისპირება რეჟიმის უსამართლობასთან და ა.შ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამას თვით ტოტალიტარული ხელი-სუფლება ზოგჯერ ფარულად ხელსაც უწყობს, რათა შექმნას ილუზია სიტყვის თავისუფლებისა, ლიბერალიზაციისა, რათა ხალხში აღძრას სურვილი ოპოზიციური ყინის მოკვლის იმგვარად ნათქვამი და უმისამართო გამოხტომებით, რომელიც ვიღაც-ვიღაცების მიხედვით „რეჟიმის წინააღმდეგ არიან მიმართული“. ეს უფრო ეფექტური საშუალებაა დისიდენტურ გამოსვლებთან ბრძოლისა, ვიდრე უხეში ადმინისტრირება ან პირდაპირი რეპრესირება ნამდვილი ოპოზიციონერისა...

ბოლოს იქმნება ილუზია დემოკრატიული საზოგადოებისა, სადაც დისიდენტები რეალობის გრძობას მოწყვეტილი ხორცმეტი და „დემაგოგი, ავისმჩხრეკელი ნაძირალები“ არიან, ხოლო სუკ-ის აგენტები – „ჭეშმარიტი ინტელიგენციის“ წარმოადგენენ...
აი, ფარისევლური არსი ფსევდომოზიციისა ტოტალიტარულ ქვეყნებში.

ზოგჯერ ტოტალიტარული ცენზურა ზომებს ვერ იცავს ჯეროვნად, ზოგჯერ მასაც ლალატობს ალლო და სათანადო

დასასრული მე-4 გვ.

►► გე-3 გვერდიდან

ზღვარს ვერ უწესებს თავის მიერ-ვე სტიმულირებულ ფსევდოპოზიციურ გამოხდომებს, რის შედეგადაც ხშირად მათი ხელით უნტეროფიცრის ცოლივით საკუთარ თავს გაიროზგავენ ხოლმე. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს მოვლენა მაინც ფრიად საგანგაშოა ტოტალიტარიზმისათვის და მის კრიზისს მოასწავებს შინაპოლიტიკურ ფრონტზე, ვინაიდან მან შეიძლება გამოიწვიოს რეჟიმისათვის არასასურველი შედეგები. საერთოდ, დემოკრატიული სისტემების შინაპოლიტიკურ სტაბილურობას უპირისპირდება მათი საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო არასტაბილურობა, ხოლო ტოტალიტარულ ქვეყნებში პირიქითაა საქმე: შინაპოლიტიკური სტაბილურობა სულ უფრო და უფრო საცნაური ხდება მაშინ, როდესაც საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისით მათი ექსპანსიონიზმი და გარეგანი ძლიერება ყველასათვის თვალსაჩინოა.

რაც შეეხება კაპიტალიზმს, იგი, ყოველგვარი თეორიისა და დემაგოგიური ქადაგების გარეშე, პრაქტიკულად ნერგავს კულტს სიმდიდრისა...

ასე რომ, კაპიტალიზმის ქვეყნებში ადამიანებმა უნდა დათმონ სწორიზმი, კომფორტის სიყვარული, მოგებისა და სარგებლობის კულტი. სოციალისტურ ქვეყნებში კი ადამიანებმა უნდა დათმონ შიში, ვინრო ეგოისტური კარჩაკეტილობა, ასოციალურობა, მოქალაქეობრივი დეზერტირობა, ფილისტერული თვითკმაყოფილება და აგრეთვე თვითმოტყუება ფსევდოპოზიციონერობით. შენ დაბრძანდები დიდი ქალაქის ქუჩებში, სარგებლობ კომფორტით, მსახურობ, საზღვარგარეთ დაბრძანდები, მეგობართა ვინრო წრეში ოპოზიციურად ყბედობ. სიტყვით გმირი ხარ, საქმით კი, ყოველწინადა თავს არიდებ სიმართლისათვის ომს, რომელსაც ანარმობენ შენი მოყვასნი, ნი-ადაც ციხისა და სიკვდილის საფრთხის ქვეშ მდგომნი. შენ მათზე ფიქრსაც კი თავს არიდებ, შენ განდევნე ისინი შენი ცნობიერების ველიდან, შენთვის ისინი „არაპიროვნებანი“ არიან. ამით კი თავად შენ ხდები არაპიროვნება, ამით შენ ხდები ფიქტული კაცისა, სწორი სწობთა შორის, ყბედობის სენით დაავადებული, თანდათან შენი ცხოვრების წესი უთუოდ მიგიყვანს დეგრადაციამდე, ამორალიზმამდე, ბოლოს შენ შესაძლოა შეიძულო შენი მოყვასი, რომელიც თავს სწირავს სიმართლისა და სიკეთისათვის ბრძოლაში...

სამწუხაროა, მაგრამ ამგვარ გზას დღეს ჩვენში უპრინციპო ან უმსოფლმხედველო ხალხი როდი მიჰყვება მხოლოდ. აქა-იქ „ქრისტიანთა“ ხმებიც გაისმის კვიციტიზმის მქადაგებელთა, ისინი გამობენ ხმის ყოველგვარ ამაღლებას ბოროტების წინააღმდეგ. ეს სიტყვით ქრისტიანები, ხოლო საქმით გაიძვერა ფარისევლები საღმრთო წერილსაც კი იშველიებენ თავიანთი სიღარისა და სულიერი სიბილწის გასამართლებლად, თან ავიწყლებათ უზენაესის ცოცხალი მაგალითი საღმრთო წერილისა, იესო ქრისტე, რომელიც ადამიანთა მოდგმის ხსენისათვის, სიმართლისა და სიჭველის იდეალებისათვის, ბოროტების მხილებისთვის ჯვარს ეცვა, ამ ადამიანებს კი ჯვარცმა უკიდიათ ხშირად თავიანთ ოჯახში მოქროვილი, ვითარცა კედლის სამკაული, ხოლო თავად არ სურთ ეცვან ჯვარს. ასეთ „ქრისტიანებს“ ჭეშმარიტად ათეისტები სჯობიან, რომელნიც ადამიანის ღირსებისა და უფლებებისათვის იბრძვიან უშიშრად. ამ ათეისტებმა მართალია სრულიად ვერ გააცნობიერეს დილემა, მაგრამ იგრძნეს იგი ესოდენ ძალუმად, რომ მათი ცხოვრება მთლიანად გარდაიქმნა, მათი ნებელობა ღვთის სამსახურში ჩადგა, ისინი დიდი გულისა და შეგრძნების ადამიანები არიან, რომლებიც ხშირად, საღვთო გზასაც პოულობენ ხოლმე თავიანთი მაღალი იდეალის სამსახურში ან იმ ცხოვრებისეული ტანჯვის შედეგად, რომელიც გარდაუვალი ხდება მათთვის ამ გზაზე.

სიმართლისათვის თავდადება არ შეიძლება არ მიგიყვანოს სიმართლისა და სიკეთის წყარომდე – ღმერთამდე. ■



ქვეყნისა და ქვეყნის ღვინის ფუნდამენტი

ქვეყნში უძველესი ტრადიციული წესით დაყენებული ღვინო თვალსაჩინოა ქართული მეღვინეობისა. სრულ ჭაჭაზე კახური ღვინის 5-6 თვის განმავლობაში დადუღება-დავარგება მართლაცდა გამორჩეულია საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელებული წესებისგან.

სწორედ ქვეყნში ღვინის დაყენებისას განსრულდება კანონზომიერი მოვლენა: ქაოსისგან წარმოიქმნება წესრიგი. ყურძნის დაჭყლეტა, ქვეყნში მოთავსება და იქ მიმდინარე ალკოჰოლური დუღილი სწორედ ქაოსს მოგვაგონებს, რომელიც უშუალოდ ადამიანის ხელით ხორციელდება. ოსტატი-მეღვინე დღევანდის განმავლობაში თავზე ადგას ქვეყნს, ჭაჭის ყოველდღიური და რამდენიმეჯერადი ჩაზეღვით აძლიერებს ქვეყნში მიმდინარე ქაოსს, რომელშიც ჩაისახება ღვინო, ანუ პირველსახე ღვინისა, ამ ქაოსში მისი ხელი მოქმედი, აქტიურია, ხოლო მას შემდეგ, რაც ღვინო თავს დაადნებს ქაოსს, მას ჩამოყალიბებისა და სრულყოფისთვის სიმშვიდე და განმარტობა სჭირდება. მეღვინე-ოსტატი მზრუნველობით და დიდი რუღუნებით ჰერმეტიკულად ახურავს ქვეყნს თავსახურს და სწორედ აქ წყდება მისი აქტიურობა. ქვეყნში მყარდება აბსოლუტური წესრიგი, რომელიც ადამიანის თვალისგან დაფარულად ხდება – აქ მხოლოდ ღმერთის განგებულება სუფევს. თიხის საღვინე ჭურჭლის (ჭური, დერგი, ქვეყრი) გამოყენება შესაძლოა, საღმრთო-სარიტუალო პროდუქტის – ღვინის დასაყენებლად, მის წმინდა ჭურჭლად – ჭურიად გაცნობიერებას განაპირობებდა. ამგვარი სარიტუალო კულტურის ჩამოყალიბების საწყისები ჩვენ შეიძლება შულავერის კულტურაშიც მოვიპოვოთ.

შემთხვევითი როდია შულავერის კულტურის იშვიათ ნიმუშებში უში თიხისგან გამოძერწილი ქალის მცირე ზომის ქანდაკებების არსებობა სამხრეთ საქართველოს მკვიდრად ბინადარი მოსახლეობის ყოფით გარემოში მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა უნდა ჰქონოდა დედა-ღვთაების აღნიშნულ ქანდაკებებს, როგორც ნაყოფიერების, სიცოცხლის საწყისის ცნობიერულ გააზრებას. მცირე ზომის ნახევარსფერული თიხატყეპნილი „სახლები“ შესაძლოა სამლოცველოს წარმოადგენდა. თიხის ჭურჭლის ნატეხზე წითელი ღვინის დანალექი კი გვაფიქრებინებს, რომ წითელი ღვინო შესაძლოა მიძღვნილი-სარიტუალო პროდუქტად ყოფილიყო გამოყენებული.

ღმერთისთვის შესანიერი არა მარტოდენ ღვინო (ზედაშე), არამედ ქვეყრიც იყო. ეკლესიისათვის მცირე ზომის ქვეყრების (ქოცოების) შეწირვის ამ ჩვეულებამ საქართველოში დღემდე მოაღწია. ამგვარი ცნობიერება ქრისტიანობამდე

პერიოდშიც არსებობდა, რასაც ადასტურებს ნეკრესის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მარანი ქვეყრებით (ახ.წ. II-III საუკუნე). ერთ-ერთი ქვეყრის ნატეხზე შემორჩენილია ამონაკანრი წარწერა: „... ესე ჭური მე დავრგე“. ამ წარწერას წინ უძღვის დაქარაგმებული ორი ქართული ასო (ასომთავრულით) „მბ“, რაც, ლევან ჭილაშვილის განმარტებით, უნდა გამოხატავდეს მიმართვას მახდენური ღვთაება „მითრასადმი“ მზისადმი – „მზეო უფალო“. როგორც ჩანს, ამ ქვეყნში საზედაშე ღვინო ინახებოდა. ეს იშვიათი აღმოჩენა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ გვიდასტურებს ქართული ასომთავრული ანბანის არსებობას ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე პერიოდში.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულ ღრმა სიმბოლიკას უნდა უკავშირდებოდეს ქართულ სამყაროში დამკვიდრებული ყურძნის მაგარი ნაწილების (კანი, კლერტი, ნიბნა) – ჭაჭის „დედოდ“ მოხსენიება. ეს მოვლენა უფრო სიღრმისეულია, ვიდრე შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს.

საქართველოში ყურძნის მაგარი ნაწილებს (ჭაჭას) „დედოს“, ანუ დედას უწოდებენ. რატომ შეარქვა ქართველმა კაცმა დედის სახელი ყურძნის მაგარი ნაწილებს? ეს უძველესი ცნობიერული მოვლენაა. დედა ხომ არა მარტოდენ შობს თავის პირმშოს, არამედ ძუძუს აწოვებს, ფეხზე დგომასა და სიარულს ასწავლის და ადამიანად აყალიბებს, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, ფეხზე აყენებს, გადასცემს რა მას ყოველივე საუკეთესოს, რაც კი ახადია. ამიტომაც იტყვის ქართველი – ღვინო დავაყენეო. გამოთქმა – „ღვინის დაყენება“ – უძველეს წარმოშობისად უნდა მოვიპოვოთ. ჩვენს პლანეტას ქართულად „დედამინა“ ჰქვია. ქართულ ენაში დედა ყოველივეს საწყისი და ფუძეა: „დედა-ენა“, „დედა-ბოძი“, „დედა-ბუნება“, „დედა-მინა“ „დედა-ქალაქი“ და ა.შ. მინა ქართველისათვის დედაა, ჩვენც ხომ მინისაგან მოზუელიები და ღმერთისაგან სულმთაბერილები ვართ, ქვეყრიც ხომ მინის, ანუ დედის პირმშოა. მინისაგანვე მოზუელილი და ღრმად შთაფლული დედის – მინის ნიაღში, სადაც დედო წარმოშობს და აყალიბებს კახურ ღვინოს.

საოცარი თვისება ახასიათებს ქართულ, კერძოდ კი კახურ თეთრ მშრალ ღვინოს. ამ ღვინით ადამიანი კარგად ილხენს, ხარობს, ლალობს, სხვასაც ალხენს და ამხიარულებს. სიმღერასა და

ცეკვა-თამაშში კარგად სვამს და კარგად ინელებს. 1859 წელს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში ივანე კერესელიძემ ისტუმრა ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა (მამა). ნადიმს თბილისის ცნობილი მსმელებიც ესწრებოდნენ. მწერალი ვერ დაუთვრიათ, რისი დამადასტურებელი მოწმობაც მიუციათ მისთვის. მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემისას ალ. დიუმა შემდეგნაირად ახასიათებს ქვეყრის კახურ ღვინოს „ღმერთმა ... ქართველ მსმელებს კახური ღვინო მისცა, ესე იგი ის საუცხოო ღვინო, რომელიც არ ათრობს, ანუ უფრო სწორად, თავში არ უფარდება მსმელს“. იმასაც აღვნიშნავთ, რომ ალექსანდრე დიუმას ნადიმზე უხვად შეუსვამს კახური ღვინო.

მაინც საიდან მოდის ეს ანდამატი კახური ღვინისა? ქართულ ღვინოს ყოველთვის ჭაჭაზე აყენებდნენ. კახური ღვინო კი გამორჩეულია იმით, რომ ის დუღდება და ვარგდება სრულ ჭაჭაზე გაზაფხულამდე, ამდენად, იღებს ყოველივე საუკეთესოს ყურძნის მტვერისაგან. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს ქვეყრის ტრადიციული კახური ღვინის განუმეორებელ თვისებებს.

მეტად საინტერესოა ცნობილი იტალიელი სპეციალისტის, პროფესორ დონატო ლანატის გამოხმაურება ქვეყრის კახურ ღვინოზე. 2008 წლის გაზაფხულზე ალავერდის მონასტრის მარანში ქვეყრების გახსნისას ქვეყრის ღვინის ჭაჭნიკმა გამოაგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. მსგავსი ღვინო მას იმ დღემდე არასოდეს დაუგემოვნებია. იგი კარგა ხნის მანძილზე აკვირდებოდა ამ ღვინოს და ცდილობდა ქვეყნში ამ განუმეორებელი ღვინის მქონე ღვინის წარმოქმნისა და ჩამოყალიბების საიდუმლოს ამოხსნას. ბოლოს კი ასე შეაფასა ეს უნიკალური ღვინო: „ჩვენი ცოდნა ვერ წვდება ამ დიდ საიდუმლოს, ეს ზენოლოგიის სფეროს განეკუთვნება“.

ერთი ბრძნული ანდაზაც არსებობს: „In vino veritas“ – ღვინოშია ჭეშმარიტება.


ალბათ, ამ სიბრძნის გამოთქმელს სურდა ეთქვა, რომ ჭეშმარიტება თავად ღმერთია, ხოლო ღვინო ამ ჭეშმარიტების ერთი მცირე გამოხასხივი. ეს, უპირატესად, ქვეყრის ტრადიციულ კახურ ღვინოს მიესადაგება.

ვინც ქვეყრის ტრადიციულ კახურ ღვინოს დაუმეგობრდება და ეცდება, ამოხსნას მისი ფენომენი, აღმოაჩენს, რომ ეს განუმეორებელი გემოსა და არომატის ღვინო მას ბევრი დაავადებისგან დაიცავს, სხეულს გაუჯანმრთლებს, უფრო ენერგიულსა და ხალისიანს გახდის და ღმერთისა და მოყვასის სიყვარულს გაუძლიერებს.

თეიმურაზ ლლონტი ტყენიკის მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის წევრი



►► გაგრძელება. დასაწყისი „ლ“ 72



ვაჟა ჩორდელი ახალ ამბლუაში ვაჟა გველი

შახცის შამქის ყოველგვარ აღდგომის ნითურ კვირცხამდე, ანუ შვიხიხი რევამ შიშვლადის პოჩიცილისთვის ნახსილდინ აქამოშდე...

ერთი-ორი პანური გულიანად ამოვიჩან-
თით (როგორც თქვენ იყენებდით „ჩეკმა-
ბოტს“ „მნათობს“ რამდენიმე თანამშრომ-
ლის დასაშინებლად და „დასაწმინებლად“,
რის შესახებაც მომდევნო წერილებში სულ
დეტალურად მოვახსენებ მკითხველს!) და
თავზეც (კისრიდან მოყოლებული!) გამეტე-
ბულად წავითაქ-წამოვითაქოთ!

მამ ასე: შე „ლამაზო“ ბეყეყო (და არა ბა-
ყაყო!), შენი ნაბოდვარი ვინც კი ნაკითხა,
(ჩემს საახლობლოს და სანაცნობოს ვგუ-
ლისხმობ), სიცილად არ ეყო შენი კბილებ-
დაკრეჭილი ტყუილები! ბევრმა ისიც კი
თქვა („შენიანებმაც!“), ამდენზე რომ გარე-
კა, „ნამეტნავად“ გაჭირვებია რეზიკოსო...
მაგრამ, ვინც არ მიცნობს, ისინი რას იტყვი-
ან? შეიძლება ბევრმა ცოცხალ „კლასიკოსს“
დაუფეროს და მართლა იფიქრონ ჩემზე,
გველი ყოფილაო!..

ჩემო ერთგულ მკითხველო! აი, აქ უკვე
რაჭული სიღინჯით დაჭერილ აღვირს ვუშვი
ხელი, მერე ლაგამთან ცოტა კი ვიშარჯევი,
მაგრამ სათქმელმა მაინც გამოჟონა (და-
სანაწიისთვის საკმარისია! ქვემოთ, ბატო-
ნო რევამ, მე გასწავლი, თუ როგორ უნდა
სხვისი მამების სულის ტრიალიო!)... ჰოოდა,
ქუჩურად რომ იტყვიან ბიჭები (სერიოზული
კაცებიც!), მე და შენი ვინც მტყუანს იყოს,
პირველ დანოღილს (დაოთხილი პოზა ვო-
ბიო, თქვენი ბოლო ნოველებიდან ვიცი),
უკანალზე (წინიდანაც კარგად გამოდის ეგ
საქმეო, – ამ შემთხვევაშიც თქვენს ნოვე-
ლებს გამოვიყენებ წყარო!) წაეყუდოს ჯა-
ყოს დაუბანვეო..

ბატონო რევამ! თანახმა ხართ? ძალიან
კარგი! ყოჩაღ, რევამ, ასეთი გამბედაობის-
თვის!..

მამ ასე! ვაყომ ერთი თალია (შეიძლე-
ბა მეტიც!) მოითავა, ვერაფერს დაუწუნებ,
მართალი ვარ, ბატონო რევამ? ხომ არ მეშ-
ლება? არა?! აგაშენა ღმერთმა! მაშინ კიდევ
რალაღები რომ გავარკვიოთ, გენბავთ, მაყ-
ვალა გონაშვილის ჩამოგდებისა და თქვენი
გათავმჯდომარეობის პერიპეტები გავიხ-
სნეთო, (ძირს დღევანდელი კოპაბიტაცია!).
ბატონო რევამ „კლასიკოსო“, თქვენი წერი-
ლის ორიოდ დეტალს დაუბრუნდები, ჩემ-
დამი მოძღვნილს, „გველი“ რომ ჰქვია სათა-
ურად!

ძვირფასო მკითხველო! რევამ მიშველა-
ძის რალაც-რალაც ბრალდებებსა და ტრა-
ბაბს, თითქოს მაგი რომ არ გამოჩენოდა
პატრონად, სამსახურს ვერ ვიშოვიდი და
კიდევ რალაც ბოდვებს ყურადღებებს არ მი-
ვაქცევდი („კაცო“ „პარანოიაში“ და არ გა-
მეტყუებდა!), მაგრამ იმას, ჩემს „შორეულ
ნათესავს“, თამაზ ნივინივამ, თურმე სულ
მამის სული რომ ამოვუტრიალე მიშველა-
ძისთან სტუმრობის დროს, მერე ისიც არ
ვაკმარე და უმძრახ-უშვერი სიტყვებით იქა-
ურბოდა ავუქოთო, უგინებელი არ დაუტოვე
აქეთური და იქითური, რომ უნტოვას პასკვი-
ლანტს ერთ ნაბიჯზეც არ ვენდობი და ასე
შემდეგ და ასე შემდეგ, რომ არ ვუპასუხო,
არანარად არ იქნება.

რევამ ბატონო! ყურები გამოიფხიკე და
კარგად მომისმინე: მე და თამაზ ნივინივამ
(მკითხველო, თქვენც მომისმინეთ, ანალი-
ზისთვის გამოვადგებთ!) მთელი ათი წელი
და კიდევ მეტი ერთად ვშუშობდით „ცის-
კარში“ და ერთ ოთახში ვისხედით! მეტსაც
გეტყვი: ერთი უფთი კი არა, ერთი ტომარა
მართლი გვაქვს შეჭმული მძობასა და მეგობ-
რობაში! უფრო მეტსაც გეტყვი! ყველა-
ზე დიდი ნათესაობა – მირონია ჩვენს შუა,
ჩემი უფროსი შვილის, სოფიკოს ნათლიაა,
ქაშეთის ეკლესიაში მონათლა თამაზ ნივ-
ინივამე პატარა გოგო და ამ ცერემონიას
ესწინებოდნენ ლევან მაღაზონია, იორამ
ქემერტილაძე, გურამ სხირტლაძე და გივი
ძნელაძე! ერთი კიდევ, ბატონო რევამ და
ძვირფასო მკითხველო! თამაზის ძმა, ბატო-
ნი მურად ნივინივამე, წარსულში სახელოვან
ფეხბურთელი და ქუთაისის „ტორპედოს“
მწვრთნელი, შემდგომ ფრიად წარმატებული
ბიზნესმენი, ქველმოქმედი და მეცენატი, ჩე-
მი თანაკურსელი იყო! ერთსაც დაგამატებ,
ბატონო რევამ, ბოლომდე რომ გამოგაქლი-
ავო! ბატონ მურად ნივინივამის მუღლე მა-
მარჩების მამიდშვილია, რაჭიდან, სოფელი
ქვედი!

ძვირფასო მკითხველო! ამ ჩამონათვალ-
დან გამომდინარე, როგორც „კლასიკოსი“

მწერალი ამოლანებას, თამაზ ნივინივამე
ჩემს შორეულ ნათესავად ითვლება თუ ცო-
ტა უახლოვედა ახლო ნათესაობას? უახ-
ლოვედა, ხომ?! აგაშენა ღმერთმა, ძლიერ
არ ამოვიფხიკე!

დიდებულო მკითხველო! ვულგარული
ფორმა უნდა გამოვიყენო გულის მოსაფო-
ნებლად („კლასიკოს“ ცოტათი ხომ უნდა
დავემსგავსო, გენბავთ, მივეტმასნო უხამ-
სობაში?) და ძალიან გთხოვთ, მაინცაღამა-
ინც დიდ უზრდელობაში ნუ ჩამომართმევთ!

რევამ ბატონო! მოდი, ქუთაისურად და
რაჭულად კი არა, გულზე რომ მოხვდება
კაცს (თუ კაცია და გული აქვს, ცა და მინა
უნდა შეძრას!) ქართლ-კახურად დავიგი-
ნოთ: ვინც ჩვენს შორის მტყუანი იყოს (ამ
შემთხვევაში თამაზ ნივინივამის „საკითხს“
ვეგულისხმობ! სხვა საგინებულზე სხვა დროს
შევიგინებ!) იმის მამის სული წაბილნოს, ვი-
საც შენ აირჩევ, იმან!.. ხარჯი ხარჯია და დე-
დისაც იყოს, თუ იცით, რომ მართალი ხართ,
რა მიდის თქვენი, ცოცხალი „კლასიკოსო“!..

ბატონო რევამ! ამ გინების შემდეგ მაინც
გაიაზრე („თავმა თუ არა, ტანმა მაინც უნდა
გაიზროს“, რევამ კინაზო!), როგორ შეიძლე-
ბოდა, რატომ შეიძლებოდა, რა უნდა მომხ-
დარიყო ისეთი, რომ მე, ვაჟა ჩორდელს, თა-
მაზ ნივინივამის მამის სული მეტრიკალები
და უშვერი სიტყვებით მეღამადა! კიდევ ვი-
მეორებ: რა საბაბი უნდა მქონოდა ასეთი, რა
მიზეზი უნდა მქონოდა ისეთი, რომ თამაზის
მამის სული საფლავში შემენახებინა!

რევამ ბატონო, გაფრთხილებ, სათო-
ფეზე არ მომიხალოვდე, თორემ მერე თავს
დააბრალებ! მაგრამ მაინც კაცურად მიხდა
გთხოვთ, საჯაროდ მომიხადეთ ბოდიში
ზემით სხენებულ ორ გაზეთში, აღიარეთ,
რომ იჩქარეთ, იცრუებდით, გველი მი-
წოდებ, ჩემი უახლოესი კაცის მამა საფლავ-
ში გინებ-გინებით მატრიალებინეთ, ვითომ
შეთქმულა მოგინყვეთ ჯემალ დავლიანი-
ქემ, თამაზ ნივინივამე და მე! მერე შემოვ-
ძვერი (შემოვსრიადლი!) თქვენს სახლში,
ვითომ პატარა ბართა გთხოვთ თქვენი მე-
ლანშემუშობელი, ორი ისტორიული ნოვე-
ლის წასამძვარებლად, რათა ხელნაწერი,
ორიგინალი, ჩამვარდნოდა ხელში, რომელ-
საც ჯემალს გადავცემდი და...

რევამ ბატონო! დარწმუნებული ვარ,
თქვენ ნამდვილად გეგონათ, რომ თამაზ
ნივინივამე დაიჯრება თქვენს ნასულელარ-
სა და ნაბოდვარს, თავს დამესხმობდა, მწე-
რალთა აკადემიიდან გამომაგდებდა, უურ-
ნალ „ამერ-იმერს“ გადაეღობებოდა! მეტი
არ ავიდგა ეგ ნახევრად ჩამოშლილი მხარ-
თეძო და გვერდები! თამაზ ნივინივამე უურ-
ნალის დაგინანსებაც ითავა და ბინაც კარგი
გამოუყო აკადემიის ოფისში! ამიტომ პირ-
დაპირ უნდა გითხრა: შენი ჩემდამი ბრალ-
დება უკანალში გაიკეთე თბილისის მერიის
(შირად დადიოდი იქ საკუთარი 25-ტომე-
ულის გამოცემის გამო!) დასულთავების
ცოცხის ტარით (თუ ხარ დაკვირვებული,
ცოცხალი „კლასიკოსო“, „საკაიფო“ ბოლო
აქვს იმ „ინსტრუმენტს“), ეგებ „კლასიკოს“
ფარშევანგს დაემსგავსო და გაპარტახებულ
ზოოპარკში დაიდო ბინა! გიყვართ თქვენი
ეგეთები, მაგნაირი სიურპრიზები თქვენი
პირადი თუ ცხვირადი კრიტიკოს-ლიტერა-
ტურისმცოდნეებისა და მკითხველისთვის!..

ძვირფასო რევამ! შემდგომ წერილებში
(თუ ზოდის მომიხდით, გაეჩერდები!) იმ-
დენს „ჩამოგეჭვებ“ და იმდენ რამეს დაგი-
ლაგებ „სუფრაზე“ (თქვენც ხომ მიწვევდით
ხოლმე მაგიდასთან! იმ დღესაც ხომ შემომ-
თავაზეთ ნახმესება, ჯემალ დავლიანიქემ და
თამაზ ნივინივამე რომ

გამომავაზენეს თურ-
მე და მეც ოსტატურად,
გველივით რომ შემო-
გისრიალდით ოჯახში!),
მტრისას მისი გამოცა-
ნა! აქვე უნდა შეგახსენო
ენამჭერი მეზღაპრის
გამოქმედა: ორი ტომარა
საცხე მაქვს, გუდა თავ-
მოუხსნელიაო... ჰოდა,
ავმარა თუ მივუშვი, „ნა-
მეტნავად“ შემომხარ-
ჯები ხელზე, ნისქილის
ხვიმირასავით ჩამოგ-
ცლი! ამის მერე მარ-
ტის მამლის ყვილიდან

(სიტყვებს: „მარტის მამალი“ – ტყუილად
რომ არ შემოვიტანდი წინანდადებამ... ბევ-
რი ფიქრი არ უნდა დაგჭირდეს! თუ გულს
გადაგვარდა, არა უშავს, შემდგომ წერილ-
ში სულ აბზაც-აბზაც შევილაგებ!) აღდ-
გომის ნითელ კვერცხამდე შენივე ხელით
გაითხრი სამარეს, მაგრამ იქ არა, არცთუ
ისე გრძელვადიანი გეგმა რომ გაქვს მთან-
მინდაზე დასაფლავებისა, რაშიც თურმე მე
უნდა დაგეხმარო, რომელ „საქმეშიც“ უურ-
ნალი „ამერ-იმერი“ შეასრულებს დიდ მისი-
ას მისივე ავტორების გვერდში დგომით! ვერ
მოგართვით! ჩემი ძალიან ვრცელი „აღსარე-
ბითი“ ჩვენების მერე (თქვენს პიროვნებას
რომ „ჩამოვქნი!“ შენი ნათესავ-ახლობლე-
ბი (თუ გყავს საერთოდ ასეთი ვინმეები?!),
პანთეონებს ვინ ჩივ, შეხატავდემოც კი
არ დავგმარებ!.. მაგრამ სანამ მინას არ
გალირსებენ, ერთს „გადავიხედავ“ თქვენს
ახლო წარსულში და მკითხველს მოვახსე-
ნებ: უურნალ „ამერ-იმერს“ დაფუძნებისა
და გამოცემის საქმეს რომ მოვიკიდ ხელი,
ცოცხალმა „კლასიკოსმა“ უმაღლესი ვინ გყავს
თავისთან მიხმობ, გზაც ხომ აქეთ გაქვს, ჩემ-
გან ნაბოძებ თანამდებობაზე „მერანში“ ხომ
დადიხარ და შემომიარეო! შევეუარე! აქე-
თურ-იქითურის მერე ახალი უურნალი მო-
იკითხა. სარედაქციო საბჭოში ვინ გყავსო,
მკითხა. ვუთხარი, ვინც იყვენ. რა, ჩემი ად-
გილი არ მოიძებნება მანდო? ჩვენ ხომ ძმები
ვართო! მე რომ თქვენი წვერი ვიქნები, უურ-
ნალს რომ გრიალ-გრიალით გამოვცემთ,
უამრავ ავტორს მუჭში მოვიტყვევთ და ჩემს
მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობას
წინ რალა დაუდგებო! „ამერ-იმერის“ გარ-
და სხვა უურნალი არც იქნებაო! „ცისკარი“
გამოგონებულმა პოეტმა, ჩათლახმა ბიზ-
ნესმენმა იყიდა და ტრაკში ამოისვავო; „მნა-
თობი“ დაუტოვებულმა ჭილაქმე გაუყენა
მოუსაყველს „საუფევე“ კიდევ იმ ფუტურთ
ქალმა (ნანა დარჩია-ბოლქვადის გვარ-სა-
ხელი ხაზგასმით თქვა, რაც ძალიან გამი-
ვირდა!) მგონი დიდუბის პანთეონს გადა-
საფლავა ზევიდანო! „ამერ-იმერი“ ისეთი
აქეთადაა, ახალგაზრდას თუ ძველგაზრდას
აქეთ მოაქცევსო!

ცოცხალ „კლასიკოსს“ უმაღლესი მოვახსენე:
თქვენს გათავმჯდომარეობას ისევ დავებ-
მარები, რაზეა ბაზარი-თქო, მაგრამ მწე-
რალთა კავშირის ხელმძღვანელ პირებს ვერ
შევიყვან საბჭოში, მაგნაირი იტყვიან, იმათ
„კალთას“ ამოეფარაო! ორიოდ დღის მერე
დამირეკა, „მერანისკენ“ რომ წამოხვალ, არ
დამზარდე, შემომიარეო. ისე მოხდა, რომ
მთელი კვირა იქით პირი არ მიქნია, ისევ და-
მირეკა, აუცილებლად მწახვია, უურნალი ისე
არ დაბეჭდო, ჩემი ნოველებს კორექტურა
რომ არ ნავიკითხოო. ერთი დღეც იყო, მი-
ვუტანე მისი ნოველები საკორექტუროდ. ეს
კარგი და ფალი გვერდზე გადადო. მერე
შემომხედა და მითხრა: ძალიან კარგი რამე
მოვიფიქრე, ეს ჯობია წინას. ტიტულიტურა
რაზე დაანერე ლიტერატურული მრჩეველი,
კლასიკოსი მწერალი რევამ მიშველაძეო!
მოეხმარება ახალბედა უურნალს გზის გაკ-
ვლევაში! ვავილიმე... მერე კარში გამომა-
ცილა და კიდევ „დამმოდვრა“, მრჩეველი
კარგად უღერსო! მანქანაში ჩაჯდომისას
ვუთხარი, ვიფიქრებ, დრო მაქვს-მეთქი! ისე,
ბევრი მტერი გყავთ, უურნალი მაგითაც და-
ზარალდება-მეთქი! სწორედ იმდროს მინდა
ეგ პოსტი უურნალში, მტერიც მუჭში მო-
ვიტყუო... უურნალები გამოვიდა, მაგრამ

►► დასასრული მე-20 მპ.



რევამ მიშველაძე ახალ ამბლუაში რევამ უსხენებელი

ამ თემაზე წერა ლელა კოდალაშვილის მოსაზრებებმა და მის საპასუხოდ დანერგულმა ლევან ბებურიშვილის მშვენიერმა წერილმა გადამანყვეტინა. და კარგია, რომ ასე მოხდა, ვინაიდან ისევ სახვალთოდ გადავდებდი ამის თქმას.

აღნიშნულ წერილს კიდევ ორი მოპყვება. როგორც ჩანს, ბევრი სათქმელი და პასუხგაუცემელი კითხვა დაგროვდა. საზოგადოებაში ამ კითხვების გაჩენა ხშირად უმეტესობის ბრალია, ხშირად – ორიგინალის, უფრო ხშირად კი ჩვენი განათლების სისტემაში არსებული ხარვეზების.

საერთოდ, ყველაზე მეტად, მართლაცადა, განათლებული ახალგაზრდობის ზედპირულობა მოცუბს. რა თქმა უნდა, ეს აზრი არც ბატონ ლევანს ეხება და არც იმ იშვიათ გამონაკლისებს, ძირისძირობამდე რომ შეისწავლიან საკითხს და თავიანთ აზრს უქმად არ ამოაფრქვევენ. ყველა აზრს საბუთი სჭირდება და, მით უმეტეს, ძველი ქრისტიანული ლიტერატურის აღქმა-გაგებას. ისე, მართალი რომ გითხრათ, არც მე ვარ ამ დარგის სპეციალისტი, უფრო მეტიც, პროფესიით ჟურნალისტი ვახლავართ.

ჩემი აზრით, არც ერთი ნაწარმოები არ უნდა წავიკითხოთ კონტექსტიდან ამოგლეჯილად. ნებისმიერი თხზულება თავის თავში გულისხმობს: კონტექსტს (ანუ სოციალურ-ეკონომიკურსა და კულტურულ-პოლიტიკურ გარემოს), საკუთრივ ტექსტს და ქვეტექსტს. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ, როდის, სად და რატომ შეიქმნა აღნიშნული ნაწარმოები. მინდა გითხრათ, რომ V საუკუნის საქართველო არა მარტო ომების, არამედ დიდი პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზიც ვახლდათ. აი, რას წერს ამის შესახებ ქალბატონი მარია ლორთქიფანიძე: „შუშანიკის განდგომა ვარსკენისაგან გარდა ოჯახური, საშინაო კონფლიქტისა, უშუალოდ ეჯახება V საუკუნის ქართლის საერთო პოლიტიკურ ვითარებას. შუშანიკი... ქვემო ქართლის საპიტიახშიში ანტიირანული ჯგუფის იდეური სულისჩამდგმელი და ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლის საპატიო მაგალითია.“ (მ. ლორთქიფანიძე, ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 24-25). იყო კი შუშანიკი ამ საქმეში მარტო? რა თქმა უნდა, არა! „ამ ნაწარმოებს ჰყავს, მართალია, უჩინარი, მაგრამ ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი გმირი“, – გვეუბნება თამაზ ჭილაძე. ეს გმირი ვახტანგ გორგასალია. თვითონ იაკობ ხუცესი მოგვითხრობს: „მერმე შემდგომად ჯოჯიკისა, მოინია თავი იგი ეპისკოპოსთა *სამოელ* და *იოანე* ეპისკოპოსი, მისივე მოყვასი, რომელ-იგი იყვნეს განამამტიციებელ და დიდად დამაშვრალ, სახლელთითურთ თანაყოფით იყვნეს მონად და მონანილე იყვნეს და თანაზიარ შრომათა მისთა.“ ყურადღება მივაქციოთ ეპისკოპოსთაგან პირველად დასახელებულს – სამოელს და გავიხსენოთ ჯუანშერის ცნობა: „ხოლო მცხეთის მეფემან ვახტანგ ალაშენა ეკლესია მოციქულთა სვეტი ცხოველი და უპყრა სვეტსა შინა სამხრეთით ადგილსა მას, სადა იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი. და მუნ შინა დასვეს *პეტრე კათალიკოსად* და *სამოელ ეპისკოპოსად* მცხეთასავე საეპისკოპოსოსა.“ შეხედეთ, საიდან და როგორ აკონტროლებს მეფე ვახტანგი ყველაფერს, რაც ქვემო ქართლში ხდება.

ვარსკენ პიტიახში ქართველი ხელისუფალი იყო და, როგორც ყველა ხელისუფალს, ძალაუფლება არ ემეტებოდა. გორგასალი, ცხადია, ქვეყანაში მის პრორანულ პარპაშს კერ დაუშვებდა. ამიტომაც დასაჯა სიკვდილით პიტიახში, მაგრამ როგორ? ამის შესახებ ჯუანშერს არაფერი აქვს ნათქვამი. სამაგიეროდ, ამ თემაზე ლევან გოთუამ დანერგა შესანიშნავი ნოველა „ქვის ხოხობი“. აქ ვარსკენს იმ საწინააღმდეგობად, რომელშიც ის გორგასლის აბაზანებს იღებდა, გადაუშვებენ მტეტების მთიდან (ეკ, რამდენჯერ მინატორია, იმ დიდი საწინააღმდეგობად, რომელშიც თბილისობას ჩვენი მთავრობა ყურძენს წურავდა... მაპატიეთ, თემას გადავუხვიე, მაგრამ სერიოზულ თემაზე მსჯელობის

სას განტვირთვისთვის ხუმრობაც აუცილებელიც კია).

ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი აზრი რომ გაქვს, კარგია, მაგრამ V საუკუნეში შექმნილ თხზულებასთან ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ. გასული საუკუნის II ნახევარშიც ტრიალებდა აზრი, რომ სპარსული გავლენისაგან თავდასაღწევად საჭირო იყო ჭკვიანური ქმედება. ამიტომ პიტიახში და მისი მეუღლე შეთანხმდნენ, შუშანიკს ქვეყნის სულიერი გადარჩენა ეტვირთა, ხოლო ვარსკენს – ფიზიკური. ამ ვერსიის თანახმად, ვარსკენმა თავი

ფელსა. ხოლო ნეტარსა მას დედოფალსა, ვითარცა ესმა, ჰმადლობდა ღმერთსა და იტყოდა: დაღაცათუ ხორცითა მოკუდა, გარნა სულითა განერა საბრძენსა მამისა მისისა უფარის მყოფელსასა და ან დიდებად ყოველსა შინა.“ დიხს, შუშანიკში რწმენა იმდენად ძლიერია, რომ დედისთვის ამ ტრაგიკულ ფაქტშიც კი შვებას ხედავს. როგორც დედას, რა თქმა უნდა, სტივია შვილის ხორციელი გარდაცვალება, მაგრამ, როგორც ქრისტიანი, უფლის მადლობელია, რომ სულიერი კვდომის საფრთხეს განარიდა შვილი. სიტყვა

ნიმუ ქუთათილაქი

ველი, „მარტვილობა შუშანიკისი“, მეცნიერება, 1978 წ., გვ. 97). დიხს, შუშანიკი სიხარულით წავიდა დიდებულთაგან სამძიმრის მისაღებად და ეს „სიხარულით“ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის გახარებულია შვილის სიკვდილით (ეს საერთოდ, აბსურდია!), არამედ იმაზე მიგვითითებს, რომ მას შვილთან ახლოს ყოფნით საკუთარი სატიკვარის განელება სურდა და, ალბათ, მისი გაპატიოსნებაც, როგორც დღეს ვამბობთ.

აქ უამრავ რამეზე შეიძლება საუბარი, მაგრამ წერილის ფორმატი ამის საშუალებას არ იძლევა.

გაალიზიანა თუ არა ვარსკენის მიერ სპარსთა მეფის ასულის მოყვანა შუშანიკი? ალბათ. . . ქალისთვის ყოველთვის მტკივნეულია მეუღლის ღალატი, თუმცა ამ შემთხვევაში სიტყვა „ღალატს“ სხვა დატვირთვაც აქვს. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ ჯვარდანერვილი წყვილიდან (მაშინ არც რეესტრი არსებობდა და არც სამოქალაქო ქორწინება) ერთ-ერთმა სარწმუნოება შეიცვალა, ისინი ჯვარდანერილებად აღარ მიიჩნევიან და ოჯახიც არ არსებობს. სწორედ ამის გამო მიდის შუშანიკი სახლიდან ისე, რომ ჯერ არ იცის სპარსელი ქალის ამბავი. ამიტომ ამბობს წმიდანი: „არა დამონებულ არს ძმად, გინა დად, არამედ განეყენენ.“ ანუ თანამედროვე ტერმინებით რომ ვიმსჯელოთ, ერთმანეთის იძულებასა და ძალადობას მეუღლეთა დაშორება სჯობს.

ბოლო ხანს შუშანიკთან მიმართებაში ნამოტივტივდა ტერმინი „სუიციდი“, „სუიციდური ფსიქოტიპი“ და ა.შ. რას იზამთ, ასეთი აზროვნება მოგვიტანა გლობალიზაციამ. ამ აზრის გასაბათილებლად უნდა გითხრათ, რომ შუშანიკი სპარსელთა წინააღმდეგ მებრძოლთა ოჯახიდან იყო – მისი მამა, ბიძები და ძმები იზიარებდნენ ვახტანგ მეფის პოლიტიკას. ისინი სპარსელებთან დაპირისპირებას შეენიშნენ. სწორედ იმიტომ გამოიხიზნა ვარდანამიკონიანმა არშუშა პიტიახშის კარზე შუშანიკი, რათა გოგონა დაცული ყოფილიყო იმ თავდასხმებისგან, რომელსაც სომეხთა მთავარსარდლის ოჯახი განიცდიდა. მაშინ ვარსკენის მამაც სწორედ სპარსელთა წინააღმდეგ იბრძოდა. გახსოვთ, ალბათ, შუშანიკის ნათქვამი: „მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახილ თვისა, ხოლო შენ დეენი შემოიხუნ.“

იმ პერიოდში სასანიანთა ირანი მთელი ძალით ცდილობდა კავკასიაში გაბატონებას, სომხეთის დაქვემდებარებით კი იმედი ჰქონდა, რომ საქართველოსა და ალბანეთსაც დაიპყრობდა. V საუკუნის დამლევის ისტორიკოსის, ლაზარე პარფელის ცნობით, სპარსეთის მეფეს 300 მოგვი გამოუგზავნია ქართლში. ეს კარგად ჩანს „ერთი ვინმე სპარსის“ ეპიზოდებში. ჰოდა, მთხარით, რითი შექმლო უმწუო ქალს, თუნდაც დედოფალს, დახმარებოდა საკუთარ ოჯახს, თუ არა თავგანწირვით?! დავანებოთ თავი სადედოფლო ტახტსა და პოლიტიკას, დღესაც რომელი ქალი არ შეენიშნაღმდეგება იმ ოჯახის ლანძღვასა და დასამარებას, რომელშიც დაიბადა და გაიზარდა?!

არა, მეგობრებო, ეს სუიციდი კი არა, თავგანწირვას! სამწუხაროდ, თავგანწირვა ყველას არ შეუძლია, მაგრამ ჩვენ თანამედროვეთ, გვექონდა ამის საუკეთესო მაგალითი, როცა ექიმი და არაჩვეულებრივი პიროვნება გია აბესაძე თავგანწირვით – თავის დაწვით – შეეცადა ძმათა შორის დაპირისპირების შეჩერებას. და ნუ მეტყვი, რომ ეს სხვადასხვა რამეა. ამ ორ შემთხვევას მხოლოდ დრო და მიზანი განასხვავებს და, რა თქმა უნდა, აზროვნების სტილიც.

და ბოლოს. . . გაბრიელ ბერის სიტყვებით მინდა დავასრულო ჩემი წერილი: „წმიდანი რომ იცნო, მისი ჯიშის უნდა იყო!.. თავმდაბალი, სინმინდის მოშურნე და სულიერი მადლის მატარებელი, ამაშია აუცილებლობა!“

სუიციდი თუ თავგანწირვა



განირა და მომავალი თაობების საგინებლად გახადა საკუთარი პერსონა. რა თქმა უნდა, შუშანიკმაც განირა თავი, მაგრამ ყველაფერი მისი წმიდანად აღიარებით დასრულდა. ის მისაბამ მაგალითად იქცა ქართველი მართლმადიდებლებისთვის. თქვენ გჯერათ ასეთი შეთანხმების? მე – არა, რადგან ამის ნიშანწყალიც ვერ აღმოვაჩინე ტექსტში, თუმცა მეტად საინტერესო და სასურველი მოსაზრებაა.

იყო თუ არა შუშანიკი ცუდი დედა? – მოგეხსენებათ, ქართველთა და სომეხთა რელიგიური ერთობის ხანაში „წამებად წმიდისა შუშანიკისა“ რამდენჯერმე ითარგმნა. სომხურ ენაზე შესრულდა თხზულების თარგმანის ვრცელი და მოკლე ვერსია. ვრცელი სომხური ვერსიიდან გვეუბლობთ, რომ შიშინის დროს პიტიახშიმა გაიხიზნა თავისი შვილები. მტკვრის გადალაზვისას ერთ-ერთი მდინარეში ჩავარდა. ავტორი მოგვითხრობს: „დიდი გლოვად ენია პიტიახსა მას და სო-

„გარდაცვალება“ ქრისტიანობის დამკვიდრების დროინდელი ტერმინია და ის უნდა გავიგოთ, როგორც შეცვლა, ანუ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა და არავითარ შემთხვევაში, როგორც ყველაფრის დასასრული.

წინა აბზაცში მოყვანილ ციტატას თუ გავაგრძელებთ, დავრწმუნდებით თუ როდენ დიდა შუშანიკში დედობრივი სიყვარული: „ხოლო მარზპანი იგი და აზნაურნი დიდ-დიდნი ქართლისანი მოვიდეს პიტიახისა თა ანუგეშის ცემად მისა ყრმისა მისისთვს და დახსნად გლოვისა მისისსა. და მან წარავლინა დედოფლისა მის მიმართ, რათა ადღეს და მივიდეს საპყრობილით ტაძრად ეპისკოპოსისა, რომელი იყო მახლობლად ეკლესია მის, და დადგეს სახლსა ერთსა მცველითურთ, ვიდრე მარზპანი და აზნაურნი იგი დიდ-დიდნი მიიქცნენ თვსთა ადგილთა და მან სიხარულით აღასრულა ბრძანება იგი ქმრისა უმჯულომსა“ (იაკობ ცურტა-

გენო ყალბის „წუთისოფლის დღესასწაული“

ნუნუ ბალაძე

„აი, მე თქვენი თანამედროვე, გეპატრიუბით წუთისოფლის დღესასწაულზე“ – ეს ნიშნდობლივი სიტყვები სამყაროს პოეტისეული თვალთ ალსაქმელად მოუნოდებს ჩვეულებრივ ადამიანებს. პოეტი გენო კალანდია საკუთარ, და ზოგადად, პოეზიას და წუთისოფლის დღესასწაულად წარმოიდგენს და თითოეული ლექსით გვთავაზობს პატარა-პატარა სასწაულს, რომელიც, საბოლოოდ, მის შემოქმედებად ერთიანდება. პოეზია ემორჩილება განზოგადებას და შეიძლება, ამიტომაც იყოს „ადვილი“ მისი ალქმე; როგორც ტომას ელიოტი აღნიშნავდა, „ლექსის მნიშვნელობის გასაგებად აუცილებელი პირობაა მისი სწორად ახსნა, განმარტება“. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი იმასაც ამბობდა, რომ კიდევ უფრო აუცილებელია, შევიცნოთ თუ რას ესწრაფვის პოეზია; ამიტომაც გენო კალანდიას შემოქმედებაზე საუბრისას სწორედ ეს სწრაფვა უნდა იყოს ალექსი მკითხველის შემეცნების ობიექტი.

თუკი, საყოველთაოდ მიჩნეული აზრით, თავად ადამიანი სამყარო, მაშინ, რაც ადამიანის არსში ხდება, შეიგრძნობა, ფიზიკური თუ სულიერი თვალსაზრისით, გენო კალანდიას პოეზიისთვის განმსაზღვრელია; აქ ცენტრში დგას ადამიანი და დევს აზრი: „მე სამყაროში...“ რადგანაც ეს სასრული უსასრულოა შეიგრძნობა გენო კალანდიას პოეზიის კითხვისას – მისი „დაუმთავრებელი ბაღადა ქვაზე“ სამყაროს იერარქიად შეიძლება მივიჩნიოთ:

პოეტის წარმოდგენაში ქვა მოვლენად, დღესასწაულად აღიქმება, საინტერესოა ლექსის თითოეული დეტალი. ეს, ის – ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც პერსონაჟებით მოქმედებენ, ე.წ. „პოეტის თვალის“ მაგივრად ეწვიან, ყველა მტრისის აღსაქმელად მიუთითებენ მკითხველს. ქვემო ქველან ნებისმიერი ფაქტის მოწმედ, ნებისმიერი საგნის განსხეულებად:

„ქვის სამეფოში ვარ!
ქვის სტუმარი!
ზოგი ქვა ცხენის თავის ქალას
მაგონებს.“

ზოგი – ლომის ყბას...
...ის დიდი ლოდი ილიას შუბლს,
ეს – იოანე ნათლისმცემელს,
ის – ნათლისღების დღესასწაულს,
ეს ქვა – მამიდის თავლისკვერს
და აღდგომის ტაბლას“.

სამყაროს იერარქია სხვადასხვა ბაღადასა თუ მითოლოგიაშია განფენილი, რომლებიც ასე დასახლებულან გენო კალანდიას ლექსებში. ვარიაციებად, პორტრეტებად, კომპოზიციებად, ბაღადებად, ეპითალამებად დაყოფილა პოეზია და მასში ცხოვრებას ვკითხულობთ...

ბაღადებში, როგორც თავად უწოდებს პოეტი, წარსულია მთავარი გმირი, თხრობა დინამიკური, სადაც ჩვენთვის ნაცნობ საგანს, არსებას განსხვავებული კუთხით დასაანახად ამზადებს ავტორი. უსულო საგანსაც კი სული აქვს შთაბერილი და გვაფიქრებს, რომ არა მხოლოდ ადამიანი სულიერი. მაგალითად, პოეტთან ხე არის ის, რაც აერთებს ცასა და დედამიწას, ამიტომ თვით მისი სიბერე, მინაზე აღარყოფნაც კი სამწუხაროა:

„არ აყვავდება ეს ხე გაზაფხულზე,
არ გამოისხამს ნაყოფს,
ყავარჯნებით მოიმარჯვებს
საკუთარ რტოებს,
ჯოხის კაკუნით ჩაჰყვება ბილიკს...“
(„ბებერი ხის ბაღადა“).

პოეტი ხესა და ადამიანს აიგივებს. და ამ სოფლის დღესასწაულშიც ყველა ზეიმობს – სულიერიცა და უსულოც.

თითოეული არსება ღირებულებით, ვახსენეთ. ქვეყნიერების ცენტრს, მზეს, რომლის გარშემო ბრუნავს ყველაფერი, ჰიმნები ეძღვნება. „ჰიმნი მზეს“ გამოკვეთს მზის ენერჯის, შესაძლებლობის უსაზღვროებას. რაც შეეხება შესხმას, ქებას, ეს უკვე ბოლო სტრიქონებში ხორციელდება; „მაღლობელი ვარ, მზეო, შენი, თუ შეიძლება, რომ პოეტი ჟამთაღმწერლად

წარმოიდგინოს მკითხველმა? გენო კალანდია საკუთარ თავს მეისტორიედ მოიზრებს. ოღონდ ის წარსული მან, პოეტმა, კაზმული სიტყვით უნდა გამოსახოს, მეტაფორათა გაღვრებაში უნდა გაახსენოს მკითხველს წარსული. წარსულში კი ერთიანდება მითიც და რეალობაც, ევროპაცა და აზიაც. ეს ადამიანის მსოფლგანცდაა. გენო კალანდია ამკვიდრებს პოეზიაში ჰერმენევტიკულ ძიებებს; მოგზაურობს ქვეცნობიერით საკუთარ ეგოში და მოიზრებს კაცობრიობის კოლიზიებს. ამიტომაც არის მისი წარსულისადმი დამოკიდებულება არა ოდენ ეროვნული – „მე – ქართველი“, არამედ უფრო უნივერსალური „მე – სამყაროს ნაწილი“. ამ ყოველივეს შეგრძნება-შეცნობისთვის კი ყველაფრის ახლებური სპექტრით გააზრება სჭირდება; იმიტომაც არის ლირიკული გმირი სამყაროს „მესამე თვალში“. მესამე თვალს შეუძლია იმის აღქმა, შემეცნება, დანახვა, რასაც ჩვეულებრივი ვერ ჩასწვდება. აქ ხდება შთაგონება, რომელიც არ არის ნაცნობი: იგი სხვა სოფლის ხედვაა, ამიტომაც თითოეული სტრიქონის კითხვისას შემოდის ქრონოტოპი, ე.წ. დრო – სივრცული მთლიანობა. ვკითხულობთ ისტორიას, თუმცა ვაცნობიერებთ – ეს არის „სხვა ჟამი“, რომელიც უკვე დადა, რომელიც დგას და დადგება მომავალში.

სახელგანთქმული ინგლისელი მწერალი, პიტერ აკროიდი, ამბობს, რომ მისთვის ისტორია არის ამბავი, რომლის დახმარებითაც ცდილობს, გაიგოს და ახსნას ანმყო. გენო კალანდიასთანაც ამგვარი დამოკიდებულება შეიგრძნობა, როცა პოეტი ისტორიას ეხება.

სამყაროს ერთ-ერთი ნაწილია სამშობლო, სამშობლოს აღქმა კი კოლხეთიდან იწყება, სადაც დროის სამივე წევრი – წარსული, აწმყო და მომავალი – ერთ მთლიანად აისახება; ლირიკული გმირისთვის წარსული იყო ლალატანი. აწმყო „აჩეხილია საკუთარი დავითფერულით“, რაც შეეხება მომავალს, მას წარსულიდან და აწმყოდან გამომდინარე უნდა ველოდოთ. საგულისხმოა ის, რომ ლირიკული გმირისთვის სამშობლო არ წარმოადგენს აბსტრაქციას. იგი გასულიერებულია, რომელსაც პირისპირ ესაუბრები და, რომელსაც თითქოს სურს, შევლა გთხოვოს, იქნებ შეძლო მისი დახმარება. სათაურშიც „კოლხეთი: შეხვედრა წარსულთან“ იგრძნობა, მძაფრდება და ისინება XX საუკუნეში დაწყებული ტრაგედია „მინის ყვილი“ და პირდაპირ კავშირშია ფესვებთან, დედამიწასთან, სისხლთან, გულთან: „ფესვები ჩემი კარდიოგრამა, გულის ბაღე და არტერია დეკაცის ხელის რუხი მტევანი“. (58)

ცნება „მინა“. კონკრეტულიდან – ადამიანიდან ზოგადში – მის ისტორიასა და კულტურაში – განიფინება. ის, რაც ამ სამი სტრიქონით გადმოიქცევა, ადამიანი თავისი სულიერ-ფიზიკური პოტენციით, რომელსაც პოეტმა ერთი სიტყვა – „ფესვები“ შეუსაბამა. ეს ის ფესვებია, რომლიდანაც მემკვიდრეობით უნდა გვერდოს „ქართლის შაირი“:

„ქსანზე, არაგვზე სველი ნისლია,
გზებზეც ვარდია ნაირ-ნაირი,
მე თქვენი ტრფობა სად შემიძლია,
მე დაჭრილი ვარ ქართლის შაირით“.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ გენო კალანდიასთან ხაზგასმულია „მოტივი“, ანუ ლექსის მუსიკა, ევფონია, ხმოვანთა მონაცვლეობა. პირველ სამ სტროფში ე ხმოვნის მონაწილეობით ერთმეხა სიტყვები ერთმანეთს:

„ერი – ერს, ბერი – ბერს,
მრველი – მრველს, ფერი – ფერს,
ლელი – ლელს, გველი – გველს,
ხმელი – ხმელს, რთველი – რთველს
აღარ ჰგავს“.

– სამი სტროფის შემდეგ ი ხმოვანი შემოდის: „ისლი – ისლს, ნისლი – ნისლს...“ შემდეგ ა: „მტკვარი – მტკვარს, კვარი – კვარს“. ამას ენაცვლება უ. ხოლო უ-ს – ო. აღნიშნულ სტროფში მნიშვნელოვანია არა მარტო ბგერათა თამაში, რაც, როგორც პოეტი ამბობს, „სავარჯიშოა გალაკტიონის ერთ-ერთი ლექსის მოტივიზე“, არამედ ბოლოს ნათქვამს უნდა მიექცეს ყურადღება: „აღარ ჰგავს“, ანუ ნებისმი-

ერი რამ თავის პირველსაწყისს მონყევეტილია და მსგავსება დარღვეული. თვითვერლიბრებშიც, სადაც ერთდროულად არის ურთიმობაც და რითმაც, სტროფიკა – დარღვეული, რომლებშიც ანუამბემანები მოძრაობენ, ყველაფერი ერთ რამეს ემსახურება: როგორ შემოდის ლექსი წუთისოფელში, ანუ როგორია პოეტური დრო. ეს, ერთი შეხედვით, წერილების მსგავსი ლექსებია, მაგრამ ერთი „გაუგზავნელი ბარათი“ ასე იწყება: „მე შემიძლია მზე გაჩუქო, მაისის მზვანე წვიმებით დაგინა თმები. შუაღამით დავრეკო ზარი, დაფიონზე მივადგე ქალაქს, ეპიტაფია ამოვჭრა ქვაზე, უკანა რიცხვით აღვადგინო შეხვედრა ჩვენი, ოქროსფერი სტროფები ვწერო, ორიოდ სონეტი გიძღვნა...“ ფრაზა „მე შემიძლია“ ყველა აზნაცში საკუთარ სათქმელს ამბობს. ასევეა მეორე – „ლექსი პოეტებისთვის და ჩიტებისთვის“, ესეც ვერლიბრია, ოღონდ სხვა დარღვით. აქ სასვენი ნიშნები ქმნის სტროფიკას, შინაგან სიზუსტეს და, თუკი ზემოაღნიშნული ლექსები „წერილებს“ გვაგონებს, სხვაში („დაუმთავრებელი კომპოზიცია სოლონის პორტრეტისათვის“) უკვე სინთეზია სტროფებისა და ასტროფის. თხრობანარატივი აქ მთელი რაკურსით წარმოჩნდება. ნარატიული ფიგურები სისტემას ქმნიან: დროც რაკურსით წარმოჩნდება; დროც, პერსონაჟიც, ისტორიაც თავის სათქმელს ამბობს. მონოლოგი – „ნება მიბოძე, გეამბორო! სიტყვებით გავჭრა გრძელი ღამის ზრქელი წყვიდადი. ათენის ქუჩით გვაგატარო, ათენის მკვიდრი სულ ოცდაექვსი საუკუნე მამორებს შენთან“ (306) – თხრობით იცვლება.

ნარატივში აუცილებელია „სიუჟეტი, ხმა, დრო, თვალთახედვა, პერსონაჟი, როლი“ (მ.ხარბედა). გენო კალანდიას პოეზიაშიც ლირიკული თხზულების სიუჟეტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება: საქართველოს ისტორიის ყოველი დეტალი, ფაქტი ტრაგიზმადეა აყვანილი და თხრობაც იქნის დინამიკას. პოეტის ხმა განმსაზღვრელია, რომელმაც უნდა გაგრძნობინოს იმ ფასდაუდებელი წარსულის მნიშვნელობაც და, ამავე დროს, მოგწყვიტოს რეალობას, რათა არ დაქსაქსო საკუთარ განცდებში. პერსონაჟისა და როლის არჩევას კი შენ გიტოვებს, თავისუფლებას განიჭებს, ამიტომაც არის გენო კალანდიას პოეზია დღესასწაული. შენც ხარ მოქმედი პირი, შენ ირჩევ შენს ფიქრთა და ოცნებათა მოქმედების არეალს. ნარატიული ფიგურები სხვადასხვა საგნის სახით მონაცვლეობენ. კოლხეთია ამოსავალი და საინტერესოა კოლხური ეპითალამები – „მედეას დიალოგი ძიძასთან არგონავტების ლაშქრობის ყამს და მინურულს“. საინტერესოა მედეას სახე – მითური ქალწული, რომელმაც უნდა შექმნას შენიც და მსოფლიოს ისტორიაც და მომავალს სწორედ მისი სიტყვებით კითხულობს პოეტი: „ნეტა, ვიცოდე, ამ სახლს იქით სადმე სიმშვიდე თუა?“

სამშობლოსთან, კოლხეთთან პირდაპირ კავშირშია მამა. ლირიკული გმირიც მის არტედებს ემხიანება. მამასთან ერთად მოგონებებში ერთვება სახლიც, სადაც ცხოვრობს ბავშვობა. ეს ის მინა და ცაა, რომლის ფერიც შერჩენიათ თუნდაც დიდი ხნის უნახავ თვალებს და მისკენ გიბიძგებენ. იქ სახლიც ლაჟვარდისფერია, მას დროის ხელი ვერასდროს შეეხება...

სიყვარული ის ფენომენია, რაც აერთიანებს სამყაროს და ქაოსიდან იქმნება კოსმოსი.

სიყვარულის ოდაა „ფორთოხლისფერი ლექსები“ – ტკივილი, სიხარული, სევდა, სიტკობება თითოეულ სტრიქონშია განზავებული. ფორთოხლისფერ ლექსებში იკითხება რუსთაველისეული სიყვარულის თეზა: გრძნობა – სამგვარად ტრანსფორმირებული.

პირველი – „ეს გოგო ცოლ-შვილს გაგყრის უთუოდ,
ისე ნებივრად დადის, ტკვარცალეს...“
მეორე – „ცვალებადია სიყვარული,
ციმციმი გულის...“

მესამე – მიწიერისა და ზეციურის სინთეზი:
„მე შემიძლია მზე გაჩუქო...
უკანა რიცხვით აღვადგინო შეხვედრა

ჩვენი...“ სწორედ ამ „შეხვედრის აღდგენით“ იქმნება „მოლოდინის ჰორიზონტი“ და „ესთეტიკური დისტანცია“ ტექსტსა და მკითხველს შორის, რომლებსაც დამკვირვებლის თვალთ უყურებს პოეტი.

რადგანაც წუთისოფლის განსაზღვრებაში ჩადებულია მოკლე დროის შინაარსი, სამყაროს მთავარი პოსტულატი სიკვდილიც ნიშნულია გენო კალანდიას პოეზიისა. „ვარიაციები სიკვდილის თემაზე“ – ეს მიმართვაა ადამიანისა სიკვდილისადმი. აქ ვერ ვხედავთ სიკვდილის შიშს. ეს უფრო მოლოდინია ყამისა, რომელიც ოდესლაც დადგება და სურვილს მზადყოფნისა ყოველი სტრიქონი ამძაფრებს. კაცის წუხილი მარადიულთან განმორებისა ჩნდება ლექსში „ძე შეცთომილი“. ნაცნობი თემის შემდეგ ინტერპრეტაციას ვხედავთ – კაცის დაბრუნება ნაცნობ მხარესთან და არა მამასთან: აქ მამა მშობლიურ მხარეშია განსხეულებული. ამავეს განიცდის „მგზავრის“ ლირიკული გმირი: საინტერესოა, თუ როგორ გაიაზრებს გენო კალანდია პოეტის ფენომენს. პაოლო, ტიციანი, გალაკტიონი – ის ტრადიციული სახეებია, რომლებშიც განსხეულება პოეტი. ამ გარდასახვის თამამი განაცხადია ლექსი „მე იაშვილის ვატარებ ორდენს“. შეიძლება, გაჩნდეს კითხვა: რატომ მაინცდამაინც მისტიფიკაცია? მივყვით ლექსის „შინა არსს“. (რ.სირაძე) პოეტი, ლირიკული გმირი, აღნიშნავს, რომ სიმბოლისტებს ენათესავენ თავისი კონცეფციით, ესთეტიკით.

„მე იაშვილის ვატარებ ორდენს...“
მე ნათესავად ვეკუთვნი ბოდლერს...“
ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ დეტალს, სადაც პოეტი ამბობს: „მე ხშირად ვფიქრობ საკუთარ ბედზე“ ე.ი. აქ მისტიფიკაცია თუ არა, სულიერი კავშირი მაინც არის სიმბოლისტებთან. ლირიკული გმირი პოეტად კურთხევისა და ცხიფერყანწელებისგან“ მოელის და ვხედავთ კავშირს მათ მხატვრულ სახეებთანაც – ორი არაგვი. ეს დამოკიდებულება გრძელდება ლექსით „ბაღადა სისხლზე“, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი:

„მე ვარ ტკივილი გარდასული და
დღევანდელი, მე ვარ პაოლო იაშვილი“.
განაცხადი: „მე ვარ პაოლო იაშვილი“ – გარდასახვა. მისი სახით უნდა უთხრას პოეტმა საზოგადოებას მწარე სიმართლე. ლექსიც ერთ წრედ იკვრება და იმავე სტრიქონებით მთავრდება.

„შეცრად ვკვდებით პოეტები და რაინდები...“
ცამეტი ნიშნით ვგავართ ხარებს და
მეხანძრეებს“.

რიცხვი ცამეტიც სიმბოლოურად კავშირშია „ცისფერყანწელებთან“ და ტიციან ტაბიძის ნათქვამი ფრაზა: „უბრალოდ ვკვდებით მეარღნები და პოეტები“ აქ ასე ტრანსფორმირდება: „შეცრად ვკვდებით მეარღნები და პოეტები“. საინტერესოა სათაური „ლექსი პოეტებისთვის და ჩიტებისთვის“. ნინა ლექსებში თუ უშუალოდ ლირიკული გმირია პოეტი, აქ, პირიქით, ლირიკული გმირი მიმართავს „ღვთის ფრინველებს“. ილიასა და აკაკისეული გაგება პოეტისა ხელოვანი – ღვთის შიკრიკი, შუაკაცია – აქაც ჩანს, პოეტი ღვთის ფრინველია ამ სამყაროში მოვლენილი... ლექსის ბოლო ნაწილში პერსონაჟი ასე მიმართავს პოეტებს: „და მე, სიკვდილზე რომ არ ვიყო ჯვარდანიერი, და მე, თქვენსავით რომ არ ვიყო შუბლდაღარული, საერთოდ, ხმას არ ამოვიღებდი“. „თქვენსავით“, ანუ პოეტების მსგავსად, იგი (ლირიკული გმირი) სიკვდილთან ნიღნაყარია და შუბლდაღარული. ე.ი. ენათესავება, ემსგავსება პოეტს, მის ფენომენს. ერთგვარი კრძალვაა პირდაპირ თქმისა – მე ვარ პოეტი, ანუ ღვთის ფრინველი. ამიტომ გენო კალანდია ამ ხერხს მიმართავს: ლირიკული გმირი თავისი გამორჩეულობით ჰგავს პოეტს. ლექსი თავისი სტრუქტურით განსხვავებულია. აქ დონორიცა (პოეტი) და რეციპიენტიც (მკითხველი) ერთიანდებიან და პოეტურ დროში დღესასწაულობენ, რადგან „გენო კალანდია გაცნობიერებული აქვს სამყაროს საიდუმლოებაში წვდომისა და თვითჩაღრმავებისკენ სწრაფვის მისწერი ინსტინქტი...“ (ც.მესხია). ■

ჩვენარად, ჩარსულად, ჩვენარად!

სახლი რუსთაველზე

ოპერაში ვართ მე და ჩემი თანაკურსელი. წარმოდგენა დამთავრდა და მსახიობებთან ერთად უკანა გამოსასვლელიდან ვტოვებთ შენობას, დინების სანაღმალმდევად ქალი მორბის წივილკივილით. ღამეა, თორმეტი საათი. უკან კაცი მოსდევს „ჯაგას“ დანით. მოცეკვავეებიდან და, თქვენ წარმოიდგინეთ, მომღერლებიდანაც არავინ გამოჩნდა ხმის ამომღები და ისევ მე ვიტვირთე ეს მისია. დავცხე და დავცხე უცნობს. ამ ცემა-ტყეპაში და ჩხუბში დანა გადაიკეცა. ბაღის გრძელ სკამზე მყავდა დაგდებული, რამდენიმე თითი დაუზიანდა. იფეთქა სისხლმა და, სად იყო და სად არა, რამდენიმე მილიციელი შემოვლიდნენ. იქვე, ჩასახვევში, ტუალეტის გავლით, ძნელაძეზე მილიციაში წავგავთრეხე. მერე რატომღაც ქალაქის მთავარი სამმართველოს კა-პე-ზე-ში გადამიყვანეს. მოძალადე ოთხგზის ნა-სამართლვე რეციდივისტი აღმოჩნდა და, სანამ გაარკვევდნენ, რომ თეატრალური ინსტიტუტის „უწყინარი“ სტუდენტები ვიყავით, თავზე დავგავთენდა. მაშინ მილიციის სამმართველოს კა-პე-ზე, ახლა რომ საპატრიარქოს შენობაა, იმის სარდაფში იყო. ასე რომ, მეცა მაქვს იქ ღამე გათენებული, როგორც ტუსაღს. აი, რა ბრძანა ზუსტად იმ შენობაში, ოღონდ მესამე სართულზე, ნახევარი საუკუნის შემდეგ 2009 წლის 1 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, როდესაც ჩვენმა შემოქმედებთმა ჯგუფმა სამი წლის შრომის შედეგი – „ბიბლიის“ პირველი, სრული აუდიო-ვერსია 51 კომპაქტ-დისკი წარუდგინა:

„დღევანდელი დღე არის ისტორიული ჩვენთვის, საქართველოსთვის, ეკლესიისთვის... ბიბლიის ამ სახით მოტანა ხალხთან დიდი ხნის ოცნება იყო. ბიბლია არის საოცრება, რომელსაც ბოლომდე ვერასდროს ჩასწვდება ადამიანის გონება.“

მადლობა ბატონ გოგი ხარაბაძეს, დიდი შრომისათვის და ჯგუფს, რომელიც მონაწილეობდა ბიბლიის ჩანაწერის შექმნაში. ეს საუკუნის პროექტია და მე ვფიქრობ, ძალიან დაეხმარება ჩვენს ხალხს.“

მე იმასაც მოვესწარი, თავისუფლების მოედანს ერევანის სახელი რომ ერქვა, მერე ბერიასი და მერე ლენინის.

ბელადის ძეგლს რომ აყირავებდნენ 90-ში, ჯერ კიდევ იდგა პატარა ორსართულიანი შენობები „ქორთიარდ მერი-

ოტის“ ადგილზე. ერთ-ერთში „ოვირ“-ი იყო განთავსებული. სწორედ იმ შენობის რკინისრიკულეებიანი აივანიდან მიმართა აკაკი წერეთელმა დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის დღეს პროცესიას. აი, რას წერს თავად სულმნათი.

„ყიფიანი, გადასახლეს სტავროპოლს, პატიმრად. გაგზავნამდე ვნახე და მისმა მხიარულმა სახემ გამაოცა. დაღრევილობა რომ შემეტყო, სიცილით მითხრა: „ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის წყალობა! უკეთესს ვიღვდოს მე ვერც კი მოვიფიქრებდი! ეს ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისათვის იგზავნებიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავინ დასჯილაო და დეე პირველი მერცხალიც მე ვიყოო!.. მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკრავს და გაზაფხულს ვეღარ ესწრება, მაგრამ მაინც პირველი მახარობელია და გაზაფხული მაინც მოვაო!“


მართლა რომ იწინასწარმეტყველა თავის თავზე: იქ, სტავროპოლში, პატიმრობის დროს მოჰკვლეს!.. ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაიანთხიეს. და იმ გულზე, რომელიც საქართველოსთვის სძვრდა, ცივი ხელები დააკრფინეს!..

დიმიტრი ყიფიანის სიკვდილის ამბავი რომ გავიგე – ძალიან ავლელი – დავნერე „განთიადი“ და პირველად მის დასაფლავებაზე წარმოვეთქვი, მაგრამ ვაი, რომ უხეიროდ და ულახათოდ ვთქვი: ნერვებმა მიმტყუნა, გული ამიღულდა და ტირილით გავათავე ლექსი...“

რუსთაველის თეატრი, სახელმწიფო იყო სახელმწიფოში. იქ ყოფნა, თამაში დიდ რამეს ნიშნავდა...
სხვა ძალა ჰქონდა, სხვა დაფასება, ახლა რა ფუნქცია აქვს თეატრს საქართველოში, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. სულ სხვა დამოკიდებულებები, სხვა ურთიერთობები იყო...
„მეფე ლირს“ სერგო ზაქარიაძე თამაშობდა. გენერალურ რეპეტიციაზე ცარიელ დარბაზში მხოლოდ ერთი კაცი იჯდა სიმონ ჩიქოვანი.
– კი, მაგრამ, ბატონო სერგო, ბატონი სიმონი ხომ სულ ვეღარ ხედავს... – დავინწყე მორიდებულად.
– რა დაგემართა, კაცო, შენ! ხო ესმის! ჰოდა, მაგას რო ესმის, სხვის ხედვაზე მეტია ეგ.
მეორე დღეს საგრიმოროში თავის სარკეზე ფურცელი გააკრა, რომელზეც სიმონ ჩიქოვანის შენიშვნები იყო ჩამოწერილი.

რუსთაველის თეატრის აივანის ქვეშ ათასობით კაცი გადის ყოველდღე, მექანიკურად... არადა, იმ აივანის მიღმა მცირე სცენაა, სადაც უამრავი თეატრალური სასწაული მომხდარა და სადაც პირველად დამიკრეს გრძელი, რიტმული ტაში. ეს იყო სპექტაკლში „ბრადედა“.
შემდეგ იმ აივანზე ბევრჯერ გამოიფინება აფიშები სპექტაკლებისა, სადაც მთავარ როლებს ვთამაშობდი...
„ვეფხისტყაოსანი“ – ტარიელი.
„კეთილი ადამიანი სერჟანიდან“ – იანგ ზუნი.
„ფარისეველთა შეთქმულება“ – ლუი XIV.
„უცხო კაცი“ – უცხო კაცი.
„ივანე მრისხანეს სიკვდილი“ – ივანე მრისხანე.
„ოიდიპოსი“ – ოიდიპოსი.
„ანტონიუსი და კლეოპატრა“ – ანტონიუსი.
„მგზავრის წერილები“ – ილია.

„ტარტიუფი“ – ტარტიუფი.
„ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი“ – ლიონია შინდინი.
„ტიტუს ანდრონიკუსი“ – ტიტუს ანდრონიკუსი.
„მეფე ლირი“ – მეფე ლირი.
„ცხოვრება სიზმარია“ – მეფე ბასილიო.
მაგრამ ეს მერე იქნება...
მერე იქნება „გიორგობისთვის“ ნახვის მსურველთა უზარმაზარი რიგიც – კინო „სპარტაკიდან“ რუსთაველის თეატრამდე გაჭიმული.
„გიორგობისთვის“ გამოსვლისთანავე აკრძალეს და „სპარტაკი“ დაატრიალეს. მაშინ მე, ფილმში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი, 23 წლისა ვიყავი.
თეატრს ზოგი ტაძარს უწოდებს, ზოგიც სახლს, ოჯახს... მეც გავიარე ეს პერიოდები ოცნებასა და ამ ოცნებების ნაწილობრივ ასრულებაში. ტაშიში, წარმატებაში, წარუმატებლობაში...
ჯადოქარ რანეესკაიას უთქვამს, – „თეატრი თანამოაზრეთა ტერარი-



გოგი ხარაბაძე

წელიწადში ერთხელ რესტორნის კარს ჩოხაში გამოწყობილი კონსტანტინე გამსახურდიაც შეაღებდა, წვრილ წელზე ვერცხლის ქამარ-ხანჯალ შემუშული, ყველას მცირე თავის დაკვრით მიესალმებოდა და თავისთვის მარტო დაჯდებოდა, ორ ცალ სოსისს – მოწონიქს, როგორც თავად ეძახდა, და 50 გრამ კონიასს დაუკვეთავდა...
უცნაური სანახავი იყო იმ დროს ჩოხიანი კაცი, რომელიც სოსისს მიირთმევდა და თანაც კონიასს აყოლებდა.
...მაგრამ ეს კონსტანტინე გამსახურდია ბრძანდებოდა.

შეკრება ასე, 12 საათისთვის იწყებოდა, მაგრამ 2-ისთვის უნდა დამთავრებულიყო აუცილებლად. 4-5 კაცი საკმარისი იყო, თუ მაინცდამაინც, ორიც მშვენივრად დაიწყებდა.
მოდოდონენ დინჯად, მშვიდად, იდგნენ სასტუმრო „თბილისის“ წინ და ელოდნენ „პარაოზს“!

„პარაოზი“ – ეს ის გამწევი ძალა გახლდათ, რომელსაც იქ შეკრებილი, მე ვიტყვოდი, ლირსეული, თან ტრაგიკული, საბჭოთა სინამდვილის მიერ გარიყული, უმუშევარი, გზასაცდენილი ქართველი რესტორანი „თბილისში“ უნდა შეეპატიუა.
თავისთავად, ეს „პარაოზი“, რომელიც ხან უზრალოდ ქველმოქმედებისთვის, ხან საგანგებოდ, ხან შემთხვევით ჩაუვლიდა

თავის თანამომხმეებს, ერთი კეთილი საბჭოთა მოქალაქე იყო, რომელიც დროებით სადღაც მუშაობდა და იქ ცოტა ან ბევრ ფულს პარავდა სახელმწიფოს, მაგრამ მაშინ ეს ქურდობად არ ითვლებოდა, უფრო მეტიც, ზოგი მათგანი თავს დღისი-დღენტადაც კი მიიჩნევდა: საბჭოთა ხელი-სუფლებას ვპარავ, საქართველოს კი არა, და ამით ვასუსტებო. მოკლედ, ეს „პარაოზი“ ბოლო-ბოლო აუცილებლად ჩაივლიდა და ამ თავშეყრილ საზოგადოებას რესტორანში დაპატიუებდა – თუ დრო ჰქონდა, თვითონაც დარჩებოდა, თუ არა, სუფრას გადაიხდიდა და წავიდოდა.
იყო თუ არა შემთხვევები, რომ „პარაოზს“ არ ჩაველო?
რა თქმა უნდა, იყო!

ასეთ შემთხვევაში თითოეული წევრი ამ თავყრილობისა საკუთარი დანაზოგი 5 მანეთით ყიდულობდა 2 ბოთლ „გურჯაანს“, ერთ მწვადს, ყველსა და მწვანისს. მთავარი დასაწყისი იყო, მერე თბილისში სუფრას რაღა შეაჩერებდა, თავისით მიგორავდა.
კაფეში ისინი თითქმის არასოდეს შედიოდნენ, უმაღლესჭერიანი, უდიდესჭალიანი, უზარმაზარი რესტორანი იყო მათი საგანე.



მხატვარი კოტე ჯაფარიძე

უმიაო. მე, როგორც ჩანს, შხამსანინაალმდეგო ვაქცინა აღარ მეყო... ჩემი სულიერი და ფიზიკური ძალების სამკურნალო აფთიაქი, ორმოცდაათისა რომ შევსრულდი, დაცარიელებული აღმოჩნდა და თავს ვუშვებდი.

ქართული სუფრა, თბილისის სტუმრების უმრავლესობა მთელი ცხოვრება რომ იხსენებს, როგორც ადამიანური ურთიერთობების, სიყვარულის, სიმღერისა და სიტყვის ზეიმს, ზოგს კი ტანჯვა-ნამეზისა და უაზრო სადღეგრძელოების მოსაწყენ თავყრილობად მიაჩნია, რესტორან „თბილისს“ დიდ დარბაზში და იმავე სახელწოდების კაფეში წარმოჩინდებოდა სრული სახით.

დიდ დარბაზში დარბაისელი თბილისელი მოქალაქეები იყრიდნენ თავს ტრადიციული სადღეგრძელოებით, იუმორითა და მოგონებებით.
კაფეში სხვა სურნელი იდგა.
ისმოდა ყველა აკრძალული თუ დამკვეთი გენიალური ლექსი – ქართული, რუსული, ფრანგული. აქა-იქ მთავრობის სანაღმალმდეგო ფრაზებსაც მოკრავდი ყურს. იქ იყრიდა თავს თბილისის ბომონდი, ელიტა... ვის მხრებზეც იდგა ქართული ხელოვნება, ვის წიგნებსაც კითხულობდა და კითხულობს არამარტო ქართველი, ვის ფილმებსა და სპექტაკლებს უყურებდა და უყურებს მსოფლიო.



გაბრძელები. დასაწყისი „ლს“ 69-72

გაბრძელები. შემდეგ ნომერი 80

შენი ლექსი

ძალიან მარტივია ადგე და ამ ხეივნებს,
ამ ფოთლებს, ამ ფანჯარას გაყვე და უსამძიმრო.
უთხარი, ასი წლის წინ თუ როგორ არხეინად
ვიდექით. გვიხაროდა. გვიყვარდა. დანანებით
ვისხენებ, სანამ ღამეს სიზმრები დაარხევენ
შენ მოდი, დალალებით,

შენ მოდი ქარიტების, წვიმების ანაბარა.
სეზონზე იშვიათი, ჩიტების ნაკიანი
წლებია. ხომ გაიგე, მეც ერთი ავარა ვარ.
ავვისტოს ხილვებია და ხეთა სიმარტოვე,
(უთუო სიძნელეა) შენ სხვებსაც დაუბარე,
– ნავედი, მიგატოვეთ .

ეს იყო ყველაფერი. ანანკე , გათოვება.
შეშლილი ფათერაკი და ძველი ფოლიანტი,
ურჯულო ამინდები, მოდიან, მატოვებენ
სიშავეს, ქარს მამტვრევენ და თეთრი დღეები
აქეთაც, აღარა ღირს უბრალოდ გათენება.
ნავადრალ ტყეებივით

სველია ჩემი გული, ურვა და საშინელი,
(რაფაზე დაკონილი, ყვავილთა წყვილებია).
იყო და არა იყო.. სულ ცოტაც გამიძელი!
იყო და არა იყო.. გელოდი ამ მიწამდე!
მე აქ ვარ. სიყვარულის უქულო მასპინძელი,
ნეტავი, დამიცავდე,
ნეტავი, დამიცავდე!

პირველი წერილი ვიბოს
ვიცი, ამ ხასიათს ცივი კალვადოსი შვენის.
ძმებიც აქ არიან, გარეთ გაიხედე, ვიბო!
ჩემი არყოფნა ჩემი ლექსები და შენი
ქუჩის წვიმა არი, მწვანე ფოთლებია. გიჯობს

დარჩე სველ ხეებთან თვალბდახუჭული, სირჩით.
სადაც ბავშვობა და დღეთა საფლავები მოჩანს.
როგორც ჩვენ გვასწავლეს, ამ დროს მობრუნება
გიჭირს,
როცა მიდიხარ და იცი, ყველაფერი მორჩა.

ბოლო ლექსი

არავინ არა ჩანს. წისქვილებს ატირებს სიბერე.
წვიმას გამაყოლე, რომ წმინდა მიწები მენახა
(სადმე აქ მოვკვდები) მახსოვხარ
ენკენისთვისფერი.
და ის, ვინც ვერ ვპოვე, მუხლამდეც ვერ შევწვდი,
შენა ხარ !

აქ, სადაც მთებია, თოვლიან ხილების ამარა.
ხსოვნაა თმების და სითბოა თვალების, გიშერის.
გთხოვ, ჩემზე ნუ ეტყვი, ნურავის ნუ ეტყვი,
დამალე.
შენ ჩემი მიწა ხარ, შენ სიყვარული ხარ, მიშველი.

და მაინც სიზმრამდე, იქამდე მაცხოვრე. ქარიან
სიმღერას გაყვეები შორ ზღვებში ჩაცვნილ
ნავებთან.
(სადმე აქ მოვკვდები), შენს იქით აღარსად არიან,
შენს იქით ტყე არის და ზამთრის პირველი
წამება.

გზებია უფოთლო. მინდორთა, ნიავთა ღალადი.
ხილვათა ბოლოა, წლების წინ ნაწერი სიტყვები
(იესო შენ მაინც... შენ მაინც... აქა ვარ მარადის).
ვინც მუდამ მულოდა, ვინც ხელს მინოდებდა,
მიყვებები

ბოლომდე და შენი დალილი ხელების ღანდია
ბალებთან და შენი მზისკარა თვალების ნოველა

(სადმე აქ მოვკვდები), ჩემთანაც მოდიან, დადიან,
ვწვები და მათ გვერდით ღვთაებრივ აღსასრულს
მოველი.

მერე კი დარდები ჩემს მხრებზე ეწყობა. თქორია,
თბილია ბალახი, ნაცადი ბეღია, მივდივარ.
შორსა ხარ, შორსა ხარ ! ტოტივით მაქანებს
ბორიო
და შენი ცხოვრების პატარა მოთხრობის გმირი ვარ.

აი, აქ მოვკვდები, ჩემო.

დასრულების

თოვლი ამ ბაღში, ნოველაა მხოლოდ და მხოლოდ.
შენ დგახარ, როგორც არმოსული დღეების მიძიმე,
დაუნდობელი განაჩენი. ეს თეთრი მოლი
უბრალოდ ძველი სიმღერაა, რომ მიკლავს იმედს,

მიკლავს სიზმრებსაც, მიკლავს უფალს და უფრო
ვხვდები,
რატომ მიყურებ, (რატომ ძერწავ ფოთლებით იმ
გზას,
სადაც შემორჩა ხმელი თივა და ჩემი ძვლები),
ასეთ დროს როგორ ემსგავსები იესოს იგავს,

როგორ მოდიხარ, როგორ ნელა და ვიმტვრევე
დარდებს,
როგორც დასჯილი მდუმარება შორეულ ხედის.
მე ვხედავ თოვას. მე ვხედავ და ეს თოვლი
დადებს,
უნინდებურად, ჩემს წინ მდგარი ხეების
გვერდით.

შენ უფრო ასე,
არ დამტოვებ,
შენ უფრო მაცლი
ცხოვრებას დალილ მევენახეს, მანახებ ხელებს
და მათი თბილი ჩაჭიდების, დაკოცნის ნაცვლად,
მე ჩამოვჯდები, ვილოცებ და ყველაფრის მერე

შემრჩები, როგორც სილამაზე, სიკეთე, დაღლა.
ნახვალ და ზამთრის დაბერების სურვილში
გავძლებ.
არაფერია. მე დავრჩები მინდვრების მალლა
და ბალახის სუნს დავიტოვებ ქვებისფერ კანზე .

ზამთრობა

და იყო კაცი, ნამოსული ფოთლების მთიდან,
გვიან ზამთარს რომ დამიძახა. გვიანმა ქარმა
თეთრი სახლები მიატოვა, რისთვისაც ღირდა
სიკვდილი, მე ვერ გავიგონე. შემინდეთ, მაგრამ

თქვენს მერე ვეღარ, ვერ დაადგა საშველი იმათ,
ვინც ცხოვრებაზე დაწერეს და უბრალოდ
დაწვენენ
ბალახზე, ტანზე ნაიფარეს ლექსი და წვიმა
(თქვენი სიზმრებიც დაგიტოვებს). თქვენ უკვე ანი

ვერ მოშორდებით ცივ ალაგებს, დალილი
ივლით.
ჩვენს ოთახებში ამოავსებთ დაბზარულ კედლებს
თქვენი ხილვებით, მოგონებით, ლოცვებით,
იმით,
რისთვისაც ყველა დავილუპეთ, რისთვისაც
ვევნეთ

ამ ზამთარს. ხეებს აღარა აქვთ ჩიტების სუნი,
პირიქით მათი სიბერეა, მეტადრე ცივა.
როდესაც დგახარ არყოფნამდე, როდესაც უსმენ



გზუბა ხაინდრავა

პირველდღეობას ფოთოლწასვლის და პირველ
სიტყვას

აქამდე ართქმულ, არდანერილ შენი ცხოვრების,
სადღაც რომ ხმელი, მონაბერი ღიმილი აკრავს.
მე შემიძლია არ გავთავდე გათოვებამდე
და ყველაფერი დავივიწყო. შემინდეთ, მაგრამ ...

* * *

მთები ღრიალებენ, მთები გუგუნებენ, ქალავ,
შენი თვალბივით ნისლი ითენთება ქედზე.
სადღაც დაკარგული ძველი მწუხარება მახლავს.
სადღაც მომაკვდავი, შენი ნაფეხური მეძებს .

და ცივ დარიალთან ისევ გამოვიბი, უკრავს
სველი ჭიანური – ვაი, დედასაო, ფრთები –
ისე ნავედი, რომ აღარ მოვიხედე უკან,
ისე დაგტოვე და ...
ქალავ, მომეშველე, ვკვდები !

ღამევილობა

ისე მტოვებ და ისე მიდიხარ
ამ ფანჯრებიდან და ცივ ხიდებზე
წახვედი. მცივა, მცივა დიდი ხნით,
უკვე ძმებიც რომ ვეღარ მიგებენ.

მე გუგუნების ქვეყნის ცა მინდა,
წასვლა უაზროდ, წასვლა იმედით.
გარეთ იმტვრევა ამ თვის ამინდი,
და ჩემს თავამდე ჯერ ვერ მივედი.

არადა, ფარდის მიღმა მიყურებს
ქალი, რომელიც ადრე მიყვარდა.
გულზე დავიწყობ ჯვარის ფიგურებს,
ელი, შემინდე, ახლა მიზანთან

ისე ახლოა ჩემი ცხოვრება,
რომ ვიცი, უფრო დიდ ხვედრს ავიტან.
ბელურებს სარჩოს ვენათხოვრები
და გვიან ღამით გავალ სახლიდან.

შენ, საყვარელო, ალბათ, სულ მალე
დამტოვებ. ძვლებში მირტყამს ციება.
შენ, როგორც ურჩი პოეტის ქალი,
უღმერთობასაც გაპატიებენ.

ხო, როგორც ამ წლის პირველი მართვე
ჩემი მარტია ჩემი ცოდვებით.
და სხვებზე ადრე წასული მგზავრი
თაობებს აღარ ვემახსოვრები...

„მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია!..“

ყველა სხელი, სდაც ხვენ ვართ, არის აცადემია.
ყველა აცადემია, სდაც ხვენ არ ვართ, არის სხელი!





გიორგი ალსანიანი

რაც თავი მასსოვს, თქვა ერთმა ფილოსოფოსმა, მონყენილობას ვებრძვი. როცა ეს წინადადება ამოვიკითხე, ალბათ, იმიტომ, რომ საკმაოდ მეტად მონყენილი ვიყავი, თითქოს გამიხარდა (თუ შეიძლება ამას სიხარული ეწოდოს), რომ თანამოაზრე აღმოვაჩინე. გამიხარდა იმიტომ, რომ ვიდრე ბერძენის ზემოთ მოხმობილ სტრიქონებს გავეცნობოდი, მეც ჩამინერია მსგავსი რამ: მთელი სიცოცხლე მონყენილობას ვებრძვი, მომავალი ბურჟუაზიის არის მოცული, იმ ბურჟუაზიის ილანდებია იმედისა და უიმედობის ერთი, გამთლიანებული სილუეტი. მოჩვენებითი სიხარული სწრაფად გამიხარდა, რადგან მივხვდი მიზეზს, რაც მახარებდა: მომხიბლა საქვეყნოდ ცნობილი ფილოსოფოსისა და ჩემი ნააზრევის იგივეობამ, ნათესაობამ, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, თავმომნონეობის ინსტინქტმა გაიღვიძა ჩემში და უმაღლეს უარყვავი სიხარულის მომგვრელი ამბიცია, რომელიც მუხრუჭად თუ გამოდგება თავისუფალი აზროვნებისა და უფრო ვნების მომტანია, ვიდრე სიკეთის. მაგრამ დავანებოთ თავი სხვა ყველაფერს და ისევ იმ ფილოსოფოსის წინადადებას დავუბრუნდეთ, რომელიც შესაძლოა არც კი იყო პირველწყარო, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანები დასაბამიდან დღემდე სწორედ რომ მონყენილობას ებრძვიან და თითქმის შეუძლებელია, ადრეც ვინმეს არ შეემჩნია ეს გამუდმებული ორთაბრძოლა. შოპენჰაუერის აზრი, რომ ისტორია სხვა არაფერია, თუ არა თაობათა დაუსრულებელი და აბსურდული სიზმარი, რომ ამ სიზმარში ხშირად მეორდება ერთი და იგივე სურათები და, შესაძლოა, მასში ამ სურათების გარდა სხვა არც არაფერია, თითქმის იგივეა, რაც მონყენილობასთან გამუდმებული ბრძოლა. ასე რომ, რაც უნდა მოვიზნადინოთ, გავლენებისგან თავს აბსოლუტურად ვერ გავითავისუფლებთ ვერც ცხოვრებასა (დაუსრულებელ და აბსურდულ სიზმარში) და, მეტადრე, შემოქმედებაში, რომელშიც ისტორიული გამოცდილება და ცოდნა, განსწავლის ხარისხი უნებლიეთ, მაგრამ გამუდმებით მონანილობს. ორიგინალობის სურვილი საკმარისი არ არის შემოქმედებაში ორიგინალობის მისაღწევად, პირიქით, – აკვიატებული სურვილი იმისა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ვიყოთ განსხვავებული, ორიგინალური, – საველად მთავრდება. არაერთი კონკრეტული მაგალითის გახსენება შეიძლება ორიგინალურობის სურვილით შეპყრობილი პოეტების (ამ სიტყვას ფართო გაგებით ვხმარებ) გამუდმებული შემოქმედებითი მარცხისა. ორიგინალობა მწერლობაში, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული სიახლეა, ხოლო სიახლე და მოდა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. სიახლე სიღრმისეული მოვლენაა, ხოლო მოდა გარეგნული, ზედაპირული და სწრაფნარმავალი. გავიხსენებ ჟიდის საყურადღებო მოხსენებას „ლიტერატურული გავლენის გამო“. ამ მოხსენებაში ანდრე ჟიდი გავლენის აპოლოგეტად გვევლინება:

მონყენილობიდან უიტმენამდე

„შეუძლებელია ადამიანმა გავლენები თავიდან აიცილოს. ისინი ყველაზე უფრო წინდახედულ, ყველაზე უფრო ჩამოყალიბებულ პიროვნებაშიც კი იგრძნობა... ისე ძნელია ყოველგვარი ბუნებისმიერი თუ ადამიანური გავლენისაგან თავდაღწეული კაცის წარმოდგენა, რომ, როდესაც გამორჩენენ გმირები, რომელთაც თითქმის არაფერი მიუღიათ გარე სამყაროსაგან, რომელთა ცხოვრების გზაც აუხსნელია, რომელთა ქცევას, – უბრუნთათვის მოულოდნელსა და გაუგებარს, ვერაზინ განმარტავდა, მაშინ ხალხმა, მათი წარმატების შემდეგ, ვარსკვლავების გავლენა ირწმუნა, – ისე ძნელი წარმოსადგენია რაიმე ადამიანური თავისი არსით, მთლიანად, სავსებით თავისთავადი იყოს“.

არაფრის დამტკიცებას არ ვაპირებ, უბრალოდ, ვცდილობ, მკითხველს შევახსენო, რაიმე დიდ გავლენას ახდენს ჩვენზე წიგნები და რომ გავლენა შეიძლება იყოს ავი და კარგი, სატანური და ღვთაებრივი, ზოგადი და კონკრეტული. ასე რომ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ადამიანი, რა თქმა უნდა, მონყენილობას ებრძვის, მაგრამ, ამავე დროს, იგი ვითარდება, გადასხვაფერდება ნაირგვარი გავლენის მეშვეობით. „ნებისმიერ საგანთან საოცარი სულიერი ნათესაობა ისეთ სრულ ჰარმონიას ქმნიდა ბუნებასთან, რომ ადგილის, საათის, წელიწადის, დროის ნებისმიერ ცვალებადობას ძლიერი გავლენა ჰქონდა ჩემზე“ (გოეთე). გამოდის, რომ ადამიანის სიცოცხლე, მეტადრე შემოქმედება, გავლენათა, უმძაფრეს შთაბეჭდილებათა ჯამია, საიდანაც სწორედ ამგვარი რამ აღმოცენდება, ინდივიდის სულს რომ შეეფერება, მაგრამ, ამავე დროს, იგი გავლენათა თუნდაც პასიურ თანამონანილობას კი არ გამოირიცხავს, პირიქით, აუცილებლად გულისხმობს. შემოქმედის ცნობიერებაზე არათუ „შერჩევითი ნათესაობით“ მოპოვებული, გათავისუფლებული აზრი თუ განცდა, არამედ ისიც კი მკვეთრ ზეგავლენას ახდენს, რაც მისთვის მიუღებელია და უარყოფილი.

ჩვენში ორიგინალობის მძაფრი სურვილით აღბეჭდილი მრავალი „ლექსი“ იბეჭდება, მაგრამ პოეზია სწორედ მაშინ კვდება, როცა გამორჩეულობის უინი ათას სისულელეს ნამოაძახებინებს ავტორს, როცა თვალში საცემია მისი ნადილი, როგორმე, რითიმე ყურადღება მიიპყროს, თუნდაც სიმშველით ან უხამსობით სხვათაგან გამოირჩეს.

ძველი ჩანაწერებიდან: გამაღიზიანა მომღერლის მცდელობამ, რადაც უნდა დაჯდომოდა, უფრო უკეთ შეესრულებინა არა, ვიდრე მას შეეძლო. ამიტომაც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს იგი კი არ მღეროდა, არამედ საკუთარი სხეულიდან ამოძრომას ღამობდა, უმნოდ იტყებოდა. მისი უსრულების მანერა უარყოფდა იმ თავისუფლებას, რის გამოც სიმღერას სიმღერა ჰქვია, რითაც მუსიკა და, საზოგადოდ, ხელოვნება უნდა სუნთქავდეს. როცა ვამბობ შემოქმედებით თავისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ ოსტატობას ან ოსტატობისკენ გამუდმებულ სწრაფვას, როცა ხელოვანი შემოქმედებით პროცესში, დრამატული თუ ტრაგიკული პერსონაჟის ხატვისას უნდა გრძნობდეს უცნაურ სილალეს, რომელსაც, რა თქმა უნდა, საშემსრულებლო ოსტატობა განაპირობებს. გაგიკვირდებათ, ალბათ, ჩემი მსჯელობის პარადოქსულობა, – სად ნაღვლიანი მელოდია, ტრაგიკულის განცდა და სად შესრულების სილალე?

მე ამის ახსნა გამიჭირდება. ეს შეუძლია იგრძნოს მხოლოდ შემოქმედმა, რომელიც ენის (პოეზიის, მუსიკის, ფერწერის და ა.შ.) საიდუმლოს იმდენად სრულფასოვნად გრძნობს, რომ ნებისმიერი განცდის თუ ნააზრევის გადმოცემა შეუძლია უაღრესად თავისუფლად. განცდათა თავისუფლად გადმოცემის შესაძლებლობა ბადებს იმ სიმალეს, მე რომ ახლახან ვახსენე. ამ კონტექსტში სილალე სულაც არ ნიშნავს უზრუნველი და ბედნიერი ადამიანის განწყობას. აქ სილალე, უფრო თავისუფალ, შეუბოროკავ თამაშს ნიშნავს.

ასე რომ, ის მომღერალი კი არ მღეროდა, ცდილობდა უკეთ შეესრულებინა ცნობილი არა ისე, ვიდრე მას სინამდვილეში შეეძლო, ამიტომაც იგი ტყვე იყო უკეთ შესრულების მცდელობისა და მისი სიმღერაც არ იყო თავისუფალი.

თანდათან მივივივართ იმ დასკვნამდე, რომ, თუ რაიმეს თამაშობ, სრულფასოვნად უნდა იცოდე თამაშის წესები. თუ თამაშის წესები ცუდები იცი, არაფერი გამოვივა. ახლა ზოგი პოეტი სრულიად უარყოფს პოეზიის ენის ცოდნას, მაგრამ „ლექსებს“ წერს. უფრო სწორად – თამაშობს, მაგრამ თამაშის წესები არც მკითხველმა და არც თვითონ არ იცის. თუ მისი „თამაში“ ელიტარული მკითხველისთვისაც არაფერს ნიშნავს, ალბათ, უმჯობესია, შინ, თავისთვის ითამაშოს. თუ ეს თამაში მისთვის მხოლოდ და მხოლოდ მონყენილობასთან ბრძოლაა, უნდა შეეცადოს, მონყენილობასთან შებრძოლების საკუთარი ენა შექმნას, საკუთარი თამაშის წესები თავს მოგვახვიოს. თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ იგი თავისთვის, ჩემ გარეშე უნდა გაერთოს. სხვა მასთან ერთად ვერ ითამაშებს.

საბედნიეროდ, პოეზია მხოლოდ მონყენილობასთან ბრძოლა და მხოლოდ თამაში არ არის, – იგი სხვა მრავალი რამეა, რისი სწავლაც არ ხერხდება. მსოფლიო გამოცდილების უარყოფა მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, როცა ეს გამოცდილება გათავისებული გაქვს, მაგრამ, როცა არაფერი იცი და შენამდე არსებულს ხელაღებით უარყოფ, მაშინ საკუთარ უმეცრებას აღიარებ. ყოველნაირ კულტს ახასიათებს რაიმეს იმ ზომამდე გადიდება, რომ ის ბოლოს არარად იქცევა“ (ბორხესი). უნაპირო განდიდების წყალობით, ჩვენ შეიძლება მალე არარად ვაქციოთ ზოგიერთი წიგნი და, შესაბამისად, მისი ავტორიც. სამწუხაროდ, ჩვენში დღესაც ცოცხალია რაიმეს განდიდების (კულტად ქცევის) ან რაიმეს დასამარების, განქიქების მანია. ზომიერების გრძნობა კი იმიტომ გვალაგობს, რომ რადიკალიზმის ტყვეები ვართ, უარყოფთ გონიერ ანალიზს და მხოლოდ ზედაპირული იმპულსებით ვკამყობილდებით. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ (ეს მე არ ვიცი), წიგნი მხოლოდ ერთეულების ცხოვრებას ცვლის, მასები კი უნივერსალად კარგად გრძნობენ თავს.

მაღარმეს, რომლის პოეტური კრებულიც რუსეთის იმპერიაში პირველად ქართულად ითარგმნა და საუკუნის დასაწყისში, ქუთაისში გამოცა, მიაჩნდა: მსოფლიო იმისათვის არსებობს, რომ წიგნი აღიბეჭდოსო. ასე რომ, დამწერლობათა არსებობის უფრცველეს პერიოდში და მოგვიანებით, ბეჭდვითი სიტყვის გაჩენის შემდეგ, – უამრავი ავტორი უამრავ ენაზე ცდილობს, მსოფლიო აღბეჭდოს ათასნაირ წიგნში. სინამდვილეში კი „გადმონერა“ ხდება ერთადერთი პირველწყაროდან, ერთადერთი, ბოლომდე შეუცნობელი დედ-


ნიდან – მსოფლიოდან. ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი, თუ ჩემთვის თითქმის მშობლიურად ახლობელია ფრანგი, გერმანელი ან ამერიკელი პოეტი – და ეს ახლობლობა იგივეა, რაც სულით ნათესაობა, ან, უფრო მშრალად რომ ვთქვათ, სამყაროსთან ჩვენული მიმართების მსგავსება.

დასაწყისში გავლენაზე ვლაპარაკობდი, არცთუ უსაფუძვლოდ, მით უმეტეს, რომ გასული საუკუნის ამერიკის ანალოგია ჩვენ დღევანდელ ვითარებასთან უფრო ლოკუკურია.

მცირე ექსკურსი: ოცდასამი წლის იყო უიტმენი, როცა რომელიღაც ფხიზელთა საზოგადოების დაკვეთით ლოთობის სანაღმდეგო რომანი დაწერა. ამ რომანზე მუშაობისას უიტმენი არცთუ იშვიათად მიატოვებდა თურმე საწერ მაგიდას, სამუშაო ოთახს, მიაშურებდა სახლთან ახლოს მდებარე დუქანს (პირობითად დუქანი დავარქვათ), გადაკრავდა ჯინსს და ასე აგრძელებდა ფხიზელთა საზოგადოების დაკვეთას, ლოთობის წინააღმდეგ მიმართულ რომანს. მოგვიანებით უიტმენი ამ რომანის ხსენებაზეც კი ბავშვით ნითლდებოდა. ოცდათექვსმეტ წლამდე ღირებული თითქმის არაფერი შეუქმნია. სამსახურსაც ვერ დაუდო გული. მშობლები და ძმები ეზულუნებოდნენ: საქმეს მოჰკიდე ხელი, უაზროდ ნუ დაყიადობო. მაშინ აიძულდა და გვერდში ამოიყენა – ხის კოტეჯებს ამზადებდნენ ფერმერებისთვის, ეს საქმე უფრო სარფიანი გამოდგა, ვიდრე სტატიების გამოქვეყნება გაზეთში. ოცდათექვსმეტი წლისა იყო, პირველი წიგნი რომ გამოსცა; თვითონვე წერდა რეცენზიებს საკუთარ წიგნზე, ცხადია, ხელს არ აწერდა; მაგრამ თვითონ წერდა: „ბოლოს და ბოლოს, გამორჩინდა ჩვენი შორის ჭეშმარიტი ამერიკელი პოეტი... შენ დროზე გამოჩნდი, პოეტო“.

წიგნს რეკლამამ, ფოტოსურათებიანმა რეცენზიებამაც ვერაფერი უშველა. გაიყიდა მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარი. ნეტავ, ვინ იყო იმ ერთადერთი წიგნის მყიდველი?!

ჟურნალ-გაზეთებში უიტმენის პირველი წიგნზე საშინელი რეცენზიები იბეჭდებოდა: „ავტორს იმდენივე ესმის პოეზიაში, რამდენიც ღორს მათემატიკაში“, „ეს წიგნი მთლიანად ნაკელია“ და ა.შ. წიგნები, ფოსტით რომ საჩუქრად გაუგზავნა ცნობილ ავტორებს, ფოსტითვე უკან უბრუნდებოდა. ერთადერთი პიროვნება, რომელმაც უიტმენის წიგნს უდიდესი შეფასება მისცა, იყო ემერსონი: „სიბრძნით ეს წიგნი იმაზე უფრო მაღალია, რაც დღემდე შეუქმნია ამერიკას“.



▶▶ დღეს უკვე ყველასთვის ცნობილია, რა განუზომელი ზეგავლენა მოახდინა უიტმენის შემოქმედებამ მეოცე საუკუნის მსოფლიო პოეზიაზე. ემერსონის შემდეგ უკვე ადვილი იყო უიტმენის მნიშვნელობის შეცნობა. ემერსონმა გამოალო ის სარკმელი, საიდანაც უკეთ ჩანდა უიტმენის შემოქმედების სრული პანორამა. უიტმენის პირველადი მომჩენი ემერსონი უნდა ყოფილიყო, ემერსონი, რომელიც თავის ტრაქტატში – „ბუნება“ – წერდა:

„ენა მესამე მადლია, რასაც ბუნება უწყალობებს ადამიანს. ბუნება ფიქრებს სხვადასხვანაირად გამოხატავს.“

1. სიტყვები ბუნების მოვლენებს აღნიშნავს.

2. ბუნების განსაკუთრებული მოვლენები განსაკუთრებული სულიერი მოვლენების სიმბოლოებია.

3. „ბუნება სულის სიმბოლოა“ („ესეები“, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა)

მიუხედავად უდიდესი მადლიერებისა, მოგვიანებით, უიტმენი წერილში – „ემერსონის წიგნები“ – მორიდებით აღნიშნავს, რომ შეეხება მხოლოდ ნაკლებ ამ წიგნებისას და ღირსებაზე არ ისაუბრებს. უიტმენი წერს: „თუმცა ავტორი (ე.ი. ემერსონი) ბევრს ლაპარაკობს თავისუფლებაზე, ველურობაზე, უბრალოებასა და უშუალოებაზე, სხვა არც ერთი ნაშრომი არ ყოფილა უფრო მეტად დაფუნდებული ხელოვნურ განსწავლულობასა და მოკაზმულობაზე (ამას თვითონ კულტურას უწოდებს), სამიოდე თაობის მიღმა რომ ამოზრდილა და იქიდან გადმოსცემია. ეს კეთებაა, არაცნობიერი ზრდა კი არა. ეს არის ფაიფურის ფიგურები თუ ქანდაკებები... მარმარილოსა თუ წითელი ხის თაროებზე დასაწყობად, ბიბლიოთეკებსა თუ სასტუმრო ოთახებში...“ („ესეები“, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა).

ეს მაგალითი იმიტომ გავიხსენე, რომ კიდევ ერთხელ მეჩვენებინა ჩვენი მწერლებისა და, საერთოდ, ლიტერატურათმცოდნეებისთვის თუ რა ობიექტური და პირუთენელი აზრის გამოთქმა შეეძლოთ ამერიკელ მწერლებს ერთმანეთის წიგნებზე თუ მოღვაწეობაზე, მიუხედავად პიროვნული ურთიერთობებისა.

ემერსონმა აღმოაჩინა პოეტი უიტმენი, მოგვიანებით უიტმენი ემერსონის წიგნებში ეძებს მხოლოდ ჩრდილოვან მხარეებს: „მე მსურს მისი (ემერსონის) კრიტიკით დავიწყო – და ამით დავამტკიცო, რომ შეუთვისებელი არ დამრჩენია მისი უღრმესი გაკვეთილები. ემერსონის წიგნებს განვიხილავ დემოკრატიული და დასავლური თვალსაზრისით“. აი, ამგვარი დემოკრატიული და დასავლური თვალსაზრისისგან თითქმის სრულიად თავისუფალი თანამედროვე ქართული მწერლობა, რადგან ლიტერატურული კრიტიკა (თითო-ორლა ავტორის გამოკლებით) აღარავის აინტერესებს.

რადგან ჩვენში ისევ ძლიერია მოთხოვნილება ვინმეს ან რაიმეს კულტის შექმნისა, კვლავ მინდა შეგახსენოთ ბორხესის სიტყვები: „ყოველნაირ კულტს ახასიათებს რაიმეს იმ ზომამდე განდიდება, რომ ის ბოლოს არარად იქცევა“. ასე იქცნენ ჩვენში არარად დითირამებით შემკული და მოგონილი კულტები.

და მაინც, მწერლობა ყველაფერთან ერთად, რისი ჩამოთვლაც შეუძლებელია, მოწყენილობასთან ბრძოლაც არის. იქნებ ამ ესეს წერისას მეც მოწყენილობას ვებრძვი, რადგან ამქვეყნიურ ცხოვრებაში („დაუსრულებელ და აბსურდულ სიზმარში“ – შოპენჰაუერი) შემოქმედება უფრო რეალურია, ვიდრე ყოველდღიური სინამდვილე. ■

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა დღესდღეობით საქართველოში ყველაზე ძლიერი სტუდენტური ორგანიზაციაა, რომელიც მთლიანად სტუდენტების ინტერესებსა და სურვილებს ემსახურება. ის, აგერ უკვე მე-7 წელია, 2006 წლიდან არსებობს როგორც ერთადერთი ლეგიტიმური სტუდენტური ორგანიზაცია და ინარჩუნებს კიდევ ამ სტატუსს.

2013 წლის შემოდგომის სემესტრი სტუდენტურმა თვითმმართველობამ წარმატებით დაიწყო და უკვე განახორციელა სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის უამრავი საინტერესო პროექტი.

სტუდენტური უსტრუქციან



სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით 9 ოქტომბერს, 13:00 საათზე, გაიმართა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დვანისა და დიცის სოფლებში რუსული საზღვრის გადმონევისთან დაკავშირებით, რომელზეც სტუდენტებმა ე. წ. ადმინისტრაციულ საზღვართან შექმნილი ვითარება გააპროტესტეს — უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში საქართველოს რუკის კონტურზე სახელმწიფო ჰიმნის ფონზე ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს და ხელი მოაწერეს პეტიციას „ვგმობ ოკუპაციას“.

თვითმმართველობა ხშირად ატარებს საქველმოქმედო ღონისძიებებს; თითქმის ყველა ღონისძიება, რომელიც სააქტიურობის დარბაზში ტარდება, საქველმოქმედო ხასიათისაა. კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით 22 ოქტომბერს 18:00 საათზე, ნანა კვარაცხელიას დასახმარებლად გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი „British Rock For Life“ და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მეშვეობით მას გადაერიცხა ქიმიოთერაპიისათვის საჭირო თანხა. კონცერტში მონაწილეობდნენ ახალგაზრდული მუსიკალური ჯგუფები: Strolling Tones, Global Express, Perfect Strangers, The Bottomless Ocean, Unlimited, Getaway Car.

კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით 21 ოქტომბერს, 19:00 საათზე უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტიურობის დარბაზში ჩატარდა სპექტაკლი „ჯინსების თაობა“ — თავისუფალი თეატრის დასის მსახიობების მონაწილეობით. ძალიან სიმბოლური და ემოციური იყო სწორედ უნივერსიტეტში, სტუდენტებისთვის დადგმული „ჯინსების თაობა“, რადგან ყოველი ახალგაზრდა ადამიანი, ყოველი სტუდენტი თავის თავში იმ მემკვიდრეს ხედავს, რომელმაც მონაწილეობა, გაფრენილიყო იმ რეალობიდან, რომელში გაძლებაც აღარ შეეძლო. ალბათ, სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტიურობის დარბაზში ნემსსაც ვერ ჩააგდებდით — წარმოდგენას 1500-მდე სტუდენტი დაესწრო.

უნივერსიტეტში 7 ფაკულტეტი : ჰუმანიტარული, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა,

სამედიცინო და ტურიზმის სკოლა. ამ ფაკულტეტებზე 100-ზე მეტი მიმართულება გამოიყოფა, რომელთა სტუდენტებსაც სხვადასხვა ინტერესი და მისწრაფება აქვთ. ამის მიხედვით, თვითმმართველობასაც აქვს სხვადასხვა დეპარტამენტები: კულტურა, განათლება და მეცნიერება, სპორტი და ტურიზმი; ამ დეპარტამენტების წარმომადგენლები სტუდენტებისთვის საჭირო დეპარტამენტის შესაბამის ღონისძიებებს გეგმავენ და ცდილობენ მაქსიმალურად დააკმაყოფილონ სტუდენტების ინტერესები, პასუხი გაეცეს მათთვის მტკივნეულ და საინტერესო კითხვებს.

თვითმმართველობა ასევე ცდილობს, იზრუნოს სტუდენტების კარიერულ და



თათა ბაქაშვილი

წარმოდგენილი იქნება ბევრი საინტერესო პროექტი.

სპორტის დეპარტამენტი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ტურნირებითა და ოლიმპიადებით ანებივრებს სტუდენტებს და თვითმმართველობა ყოველთვის ცდილობს, გამორჩეული და განსაკუთრებული ყურადღება გამოავლინოს გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოებისას. ამ დროისთვის ჩატარებული ან ტარდება ტურნირები ფეხბურთში, კალაბურთში, ფრენბურთში. დეპარტამენტი ასევე ცდილობს, არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფიზიკური აქტივობებით; ხშირად აწყობს სპორტულ ვიქტორინებს. 31 ოქტომბერს, 15:00 საათზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარდა სპორტული ვიქტორინა, რომელში გამარჯვებულებისთვის პრიზები შემდეგნაირად გადაიწილდა:

I ადგილი – საშინელებათა ლაბირინთის აბონემენტი; რუსთაველის თეატრის მოსაწვევები.

II ადგილი – საბილიარდო კლუბ რიოს აბონემენტი.

მონაწილეები ასევე დაასაჩუქრა პარტნიორმა კომპანია BESMART-მა.

5 ნოემბერს, 19:00 საათზე, თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტიურობის დარბაზში კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა პირველი ქართული REGGAE ჯგუფის „REGGAEON“-ის სოლო კონცერტი. ამ ღონისძიებას 1600-მდე სტუდენტი დაესწრო და, იქიდან გამომდინარე, რომ მათ ძალიან უყვართ ეს ჯგუფი, ვოკალისტ ლაშა ნოზაძის სიმღერას თითქმის მთელი დარბაზი უერთდებოდა სიმღერისას. კონცერტზე შესრულდა ყველასთვის საყვარელი და ცნობილი სიმღერები. ღონისძიების მიზიურულს კი სიურპრიზი იყო სცენაზე ჯგუფ „ფრანის“ გამოჩენა, მისმა სოლისტმა გაგა ნიჟარაძემ და ლაშა ნოზაძემ პირველი კორპუსის სცენაზე პირველად შეასრულეს ერთობლივი ნამუშევარი — ბალადა, რომელმაც სტუდენტების დიდი მოწონება დაიმსახურა.

სტუდენტური თვითმმართველობა არ აპირებს ამ პროექტებზე შეჩერებას. იგი კვლავაც ბევრ საინტერესო პროექტს შესთავაზებს სტუდენტ ახალგაზრდობას. ■



როდესაც ხანგრძლივი მწუხარებისგან ასე დავიჩივლე, მან, ჩემი ჩივილით ოდნავადაც რომ არ შეძრულა, მშვიდი სახით წარმოთქვა: ოდეს გიხილე სევდიანი და ცრემლმორეული, მაშინვე მივხვდი, ტანჯული და დევნილი რომ იყავი. მაგრამ არ მეცოდინებოდა, რამდენად შორს განგდევნეს, შენს სიტყვებს რომ არ გაემჟღავნებინა. თუმცა შენ, ვინც ასე დაშორდი სამშობლოს, ვინმესგან დევნილი კი არ იყავი, არამედ გზაბნეული. მაგრამ, თუ ამჯობინებ დევნილად იწოდებოდე, უმალ თავად გამოდიხარ საკუთარი თავის მდევნელი, რადგან სხვას არავის შეეძლო ასე მოგეცეოდა. იქნებ, გაიხსენო შენი ნამდვილი სამშობლო, რომელიც ისეთი კი არ არის, ოდესღაც რომ ჰქონდათ მრავალთა ძალაუფლებით მართულ ათენელებს, არამედ ისეთია, რომელსაც ჰყავს მხოლოდ ერთი მბრძანებელი, ქვეშევრდომთა სიმრავლე რომ ახარებს და არა მათი გაძევება. მისი სადავის მიყოლა და მისი სამართლის მორჩილება სწორედ უზენაესი თავისუფლებაა. განა არ იცი შენი სახელმწიფოს ის უძველესი კანონი, რომელიც გვაუწყებს, რომ მათი განდევნა, ვინც მის ფარგლებში დაფუძნებას ისურვებს, უკანონოა. ვისაც კი იცავს მისი კედლები და ზღუდე, გაძევების აღარ შეეძინება. მაგრამ ნებისმიერს, ვინც აქ ცხოვრებას აღარ ისურვებს, ამავედროულად ვეღარც დაიმსახურებს აქ ცხოვრებას. ამგვარად, ამ ადგილის იერსახე ისე არ მანუხებს, როგორც შენი. არც სპილოს ძვლითა და მინით მოპირკეთებულ ბიბლიოთეკის კედლებს დავეძებ იმაზე მეტად, ვიდრე შენი გონების სამკვიდრებელს, რომელშიც მოვათავსე არა ნიგნები, არამედ ის, რაც ამ ნიგნებს ფასს სძენს – ჩემი საკუთარი ნიგნებიდან მათში მოთავსებული აზრები. მართალია, სწორად აღნიშნე შენი დამსახურება საყოველთაო კეთილდღეობის საკითხში, მაგრამ შენ მიერ აღსრულებულ მრავალ საქმეზე მცირედ ისაუბრე. სწორადაც მოიქეცი, როცა გადაწყვიტე, მოკლედ შეხებოდი დამბეზღებულთა სიტყუესა და ბოროტმოქმედებას, რადგან ეს ისედაც იცის ხალხმა, რომლისთვისაც ყველაფერი აშკარაა. შენ ხმა გააფთრებით აიმაღლე სენატის უსამართლო ქმედებაზე. გულთან მიიტანე ჩემ წინააღმდეგ ნამოყენებული ბრალდებები და ცრემლი ღვარე ჩემი დიდების შელახვის გამო. შენი რისხვა საბოლოოდ თავს დაატყდა ფორტუნას მაშინ, როცა დაიჩივე, რომ იგი დამსახურების მიხედვით, სამართლიანად არ გასცემს ჯილდოს. განრისხებული მუზის უკანასკნელ სტროფებში ჩააქსოვე ნატვრა, ზეცას რომ მშვიდობა განაგებს მინასაც განაგებდესო. მაგრამ ვინაიდან შენში მრავალგვარმა ვნებათა ლელვამ დაისადგურა, გულს გიფლეთს ტანჯვა, რისხვა და ნალკელი, ამიტომ შენი ამჟამინდელი სულიერი მდგომარეობისთვის ძლიერი ნამლები არ გამოდგება. ამგვარად, ჯერ უფრო მსუბუქე საშუალებებს მივმართოთ, რათა შენს სულში შემოპარული ვნებათა ლელვებით გამაგრებული სიმსივნე სათუთი მიკარებით მოალბოს, სანამ უფრო ძლიერი ნამლის მისაღებად ძალას მოიკრებდე.

კირჩხიბის ხომლს რომ ავიზივებ¹ ფეხუსის² მცხუნვარე სხივები, ვინც მაშინ გაიღებს სათესად მარცვალს უნაყოფო ხნულისთვის, იმედს გაუცრუებს კერესი³ მხოლოდ რკო შერჩება საკვებად⁴. იებს დასაკრეფად ნუ ეძებ ნურასდროს დაბურულ ტყეებში, როცა შიშის ზარს სცემს ველ-მინდვრებს მძვინვარე აკვილოს⁵ თარეში. ნურც გაზაფხულის ჟამს ეცდები, ხარბად დაიტაცო ყურძენი. ჩვენ მნივე მტევნებით რომ დავტკბეთ, თავის ძღვენს მოგვართმევს ბახუსი⁶, როცა შემოდგომა დადგება. ღმერთი ხომ ყველა დროს უწესებს შესაფერ საქმეს; არ დაუშვებს, ჟამთა დადგენილი ცვალება რაიმე შეცდომამ არიოს. ვინც კი ამ გზიდან გადაუხვევს, ქეშმარიტ წესრიგს ვინც დაარღვევს, ის კეთილ დასასრულს ნუ ელის.

მაშ, ხომ მომცემ ნებას, მცირეოდენი შეკითხვით შენს სულიერ მდგომარეობას შევებო, რათა გავიგო, რა საშუალებით შეიძლება შენი განკურნება. მკითხე, რაც გსურს – მივუგე. – რაზეც გინდა, რომ გიპასუხო. მაშინ მან მკითხა: – როგორ ფიქრობ, ამ სამყაროს წარმართავს გაუთვალისწინებელი, უნებლიე შემთხვევა თუ მის განმგებლობაში გონი მონაწილეობს? მივუგე: – ვერასგზით დავიჯერებ, რომ იმას, რაც ასე მკაცრად ორგანიზებულია, შეიძლება ბრმა შემთხვევა ამოძრავებდეს. პირიქით, ვიცი, რომ ღმერთი, სამყაროს შემოქმედი წარმართავს თავის ნაღვანს. არც ოდესმე დადგება ჟამი, რომელიც მე ამ აზრის ქეშმარიტებაში დამაეჭვებს. – სწორედ ასეა, – მითხრა მან. – ცოტა ხნის წინ ეს ლექსადაც გამოთქვი, ის კი დაიჩივე, რომ მხოლოდ



ბოეთიუსი

ფილოსოფიის ნუბეუი

ადამიანი იმყოფება ამ ღვთაებრივი საზრუნავის მიღმა, თუმცა სხვა არსებულს რომ გონი წარმართავს, ამაში მტკიცედ ხარ დარწმუნებული. საოცარია, ფრიად მაკვირვებს თუ რის გამო შეიძლება ავადმყოფობდე, როცა ასეთი სალი აზრები თავს გახვევია. თუმცა, მოდი, უფრო ღრმად ჩავუკვირდეთ, რადგან ვხვდები, რომ შენში რაღაც უკმარობაა. მაგრამ მიპასუხე, რამდენადაც ეჭვი არ გეპარება, რომ სამყაროს ღმერთი განაგებს, როგორ ფიქრობ, რა საშუალებებით განკარგავს იგი მას? მივუგე: ბოლომდე ვერ ჩავწვდი შენი შეკითხვის არსს, მით უფრო არ ძალმიძს, რომ გიპასუხო. – ხომ არ შეეცდი, – წარმოთქვა მან, – როცა გავიფიქრე, რომ შენში იყო რაღაცის უკმარობა, საიდანაც, როგორც მტკიცე სიმაგრეში გაჩენილი ნაპრალიდან, შენს სულში ვნებათა ლელვის სენი შემოჭრილა. ასე რომ, მიპასუხე, თუ გახსოვს, რა არის არსებულ საგანთა ბოლო და საითკენაა მიმართული ბუნების მთელი ძალისხმევა? ვუპასუხე: მსმენია ამის შესახებ, მაგრამ სევდამ გონება დამიჩლუნგა. – და ის თუ იცი, საიდან იღებს ყოველივე სათავეს? ვიცი, – მივუგე. – და გეუბნები, რომ ეს არის ღმერთი. და როგორ შეიძლება ისე მოხდეს, რომ იცოდე საგანთა საწყისი და არ იცოდე მათი ბოლო. მაგრამ სწორედ ეს არის ვნებათა ლელვის თვისება, მისი ძალაც ისეთია, რომ, ერთი მხრივ, ხელუწიფება ადამიანის მდგომარეობა შეარყიოს, მეორე მხრივ კი, არ ძალუძს, ძირფესვიანად ამოძირკვოს და საკუთარ თავს მოსწყვიტოს იგი. მსურს, ამაზედაც მიპასუხო: გახსოვს, ადამიანი რომ ხარ? – როგორ შეიძლება, ეს არ მახსოვდეს, – ვუპასუხე. – მაშ, შეგიძლია განსაზღვრო, რა არის ადამიანი? ანუ გსურს მკითხო, ვიცი თუ არა, რომ ადამიანი არის გონიერი, მოკვდავი ცხოველი? დიახ, ვიცი და ვაღიარებ, რომ ასეთი ვარ. მან კი მკითხა: ხომ არ შეიძლება კიდევ სხვა რამეს წარმოადგენდე? მეტად აღარაფერს. – უკვე ვიცი, რა არის შენი სწეულების სხვა, ანუ ყველაზე მთავარი მიზეზი, – თქვა მან. – დაგვიწყებია, თავად ვინ ხარ. ამგვარად, მივაგენი როგორც შენი ავადმყოფობის მიზეზს, ისე შენი ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებას. რადგან დავიწყებამ აგირია გზა და შენი განდევნისა თუ საკუთარი ქონების წართმევის გამო დაიტანჯე, რადგან უღირსებასა და ბოროტმოქმედებს ძლიერ და ბედნიერ ადამიანებად მიიჩნევ, რადგან დაგავიწყდა, რა საშუალებებით იმართება სამყარო, და გგონია, რომ ბედის ცვალებადობა განმგებლის გარეშე თვითდინებით წარმართება, სერიოზული მიზეზი გქონია არა მარტო სწეულებამდე, არამედ დალუპვამდე მისასვლელადაც. მაგრამ, მაღლობა მას, ვინც ჯანმრთელობას ვეანიჭებს, რადგან შენი ბუნება მთლიანად არ დაზარალებულა. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს შე-

ნი სიჯანსაღის უმთავრესი ნაკვეთი – ეს არის სწორედ ის მოსაზრება სამყაროს განმგებლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც მიიჩნევ, რომ იგი ექვემდებარება არა უნებლიე შემთხვევას, არამედ ღვთაებრივ გონს. მაშ, ნურაფრის შეგეშინდება, მალე ამ მცირე ნაპერწკლიდან შენთვის სიცოცხლის კოცონი ავიზივდება. მაგრამ, ვინაიდან ჯერ არ დამდგარა უფრო ძლიერი ნამლების გამოყენების დრო, ადამიანის გონებას კი, ცნობილია, რომ ჩვევია სიმართლის მიტოვება და შემოსვა მცდარი აზრებით, რომელთაგან წარმომდგარი ვნებათა ლელვის ბურუსი ქეშმარიტების ხედვას აბრკოლებს, ამიტომ შევეცდები, მსუბუქი სამკურნალო საშუალებებით მიმოვფანტო, რათა, ფუჭ ვნებათა ბურუსის გაფანტვის შემდეგ შეიძლოს, ქეშმარიტი სინათლის ბრწყინვალეობა დაინახოს.

შავბნელი ღრუბლებით დაფარულ ვარსკვლავებს არ ძალუძთ, სხივები მინას დააფრქვიონ. როდესაც ავსტერი⁷ – ზღვაზე მონავარდე – ტალღას ააგორებს, წინათ რომ ყოფილა სუფთა, გამჭვირვალე, ბროლივით კრიალა, ახლა ამღვრეული, ტალახს შერეული ხედვას დააბრკოლებს. ღვარი მონადენი მაღალი მთებიდან ხშირად შეჩერდება, როდესაც ქვა-ლორი – კლდიდან მოწყვეტილი – გზას გადაულობავს. ამგვარად, თუკი გსურს, იხილო სიმართლე ბრწყინვალე ნათელში, ნრფელი გზით იარე, არ გადაუხვიო. შორს შენგან – განცხრომა, შორს შენგან – სიმხდალე, იმედიც განაგდე, ტანჯვაც განირიდე! გონებას ბინდავენ, ჯაჭვებით ბორკავენ იქ, სადაც მძლავრობენ.

ლათინურიდან თარგმნა გვანცა ფოფხაკე

- 1) მზე კირჩხიბის თანავარსკვლავედში იმყოფება 22 ივნისიდან 23 ივლისამდე, ეს პერიოდი კი ხვანათესისთვის უნაყოფოა.
- 2) ფეხუსი (ლათ. Phoebus) – იგულისხმება მზე. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ფეხუსი აპოლონის ზედწოდებაა. ამ ღვთაებას მრავალი ფუნქცია აქვს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მათ შორის არის ის, რომ იგი მზეს განასახიერებს.
- 3) კერესი (ლათ. Ceres) – რომაელთა ნაყოფიერების ქალღმერთი.
- 4) მიიჩნეოდა, რომ რკო უძველეს ხალხთა საკვები იყო, სანამ მინათმოქმედებას ისწავლიდნენ.
- 5) აკვილო (ლათ. Aquilo) – ჩრდილოეთის ქარი. იგულისხმება ზამთრის პერიოდი.
- 6) ბახუსი (ლათ. Bacchus) – ღვინისა და მევენახეობის ღვთაების, დიონისეს მისციკური სახელი.
- 7) ავსტერი (ლათ. Auster) – სამხრეთის ქარი.



ბულო კოზიაშვილი



ზარი დარეკეს. ანა გელოვანს, რეს-პუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს, მარტოხელა პენსიონერს, რატომღაც არც კი უკითხავს, ვინ ხარო, ისე გააღო კარი.

– კოლა ხარ? – დაუღრიალა კართან მდგომმა, თვალმკობისებულმა, ცხვირ-ნითელა და ერთიანად ალკოჰოლის სუ-ნით გაუღენთილმა მამაკაცმა ანას, პასუ-ხისთვის არც დაუცდია, პოლში შემობან-ცალდა, სიფრიფანა მხრებში მხეცივით ნააფრინდა ქალს და კიდევ ერთხელ ილ-რიალა, – კოლა ხარ, ხო?

– ა-არა! ა-არა! – შიშისა და მოულოდნე-ლობისაგან ძლივს უპასუხა ქალბატონმა ანამ მომხვედურს.

– კოლა ხარ, კოლა! – ცალი ხელით ენერგიულად შეაჯანჯღარა, მეორეთი კი ჯიბიდან გახსნილი ჯაყვა დააძრო მამა-კაცმა, – სადა გაქვს ის ორი ლარი, ნუხელ, ქეიფის დროს რომ ამოფცქევი? გგონია, შეგარჩენ, ხომ? გგონია, შეგარჩენი?

– არა ვარ-მეთქი, კოლა! – შიშისაგან ნიბლიასავით აწრიბინდა და თავის დახს-ნა სცადა მოხუცმა.

– თანაც როგორი შრომით ნაშოვნი! თანაც რა დროს, მე შენი, – ძმობას რომ მეფიცებოდი!

– არა ვარ-მეთქი კოლა, არა! გამიშვი ხელი, გამიშვი! – სიმწრისაგან მკლავში კბილებით ჩააფრინდა ქალი უცებ კაცს.

– უუხ, მე შენი! – ქალს ხელი გაუშვა და ნაკებენ ადგილს მგზნებარედ აკოცა მა-მაკაცმა, – მამ არა ხარ, კოლა?! რომელი სართულია ეს?

– მესამე! – ამოიხსუქუნა ანამ.

– აა..... მაშინ მართლა არ ყოფილხარ კოლა. მეოთხეზე ვცხოვრობო, ასე თქვა. ჩავიგდო ხელში, მე იმის...

როგორც კი ანონილი, ჩამომხმარი, ბაყბაყდევით მამაკაცი გარეთ გავარ-და, ანამ კარი დახურა. ჩაკეტა გასაღე-ბით, ჯაჭვითაც, მოიწმინდა თვალზე შერჩენილი ცრემლი და იქვე, განათებულ პოლში დაკიდულ გაბზარულ სარკეს მი-აშურა. მოხუცმა რატომღაც დიდხანს და დაკვირვებით ათვალიერა საკუთარი ორეული, დაივარცხნა შიშისაგან ჯერ ისევ ბამბის ქულასავით აბუებული თეთ-რი თმაც და უცებ პატარა გოგონასავით ჩაკუჭკუჭდა. ამის კეთილი დასასრუ-ლით, ელექტროენერჯის მოსვლითა და მზიანი დილით გახალისებულმა ქალმა სწრაფად მოაწერია საძინებელი, მო-ინესრიგა თავი და სამზარეულოს მი-აშურა. ჩართო ქურა, დაადგა ჩაიდან. ჩართო მაცივარიც, თუმცა მაშინვე გაე-ცინა, გამორთო ისევ და ჩართო მაცივრის თავზე შემოსკუპებული პატარა ტელევი-ზორი. ეკრანზე ჯერ პარლამენტის სხდო-მათა დარბაზი გამოჩნდა, შემდეგ ქვეყ-ნის მსჯელობის პრეზიდენტი. პრეზიდენტი ქვეყნის გარეგან დამცავ მექანიზმებზე ლაპარაკობდა, მან კიდევ ერთხელ გაუს-ვა ხაზი აბრეშუმის გზის მნიშვნელობას და შემდეგ უკვე ქვეყნის შიგნით მიმდინა-რე პროცესების განხილვაზე გადავიდა. თქვა, რომ ქვეყანაში მოძალბებელი უზნე-ობისა და კორუფციის წინააღმდეგ მარტო ვერ გახდება ვერაფერს, თუ კი მას მხარ-ში არ ამოუდგებიან როგორც პარლა-მენტარები, ისე მაკონტროლებელი თუ ძალგანი სტრუქტურების ნარმომადგე-

ნენი, თუმცა კი ისიც უკვე საქვეყნო-დაა ცნობილი, რომ სწორედ მათი დიდი ნაწილია კორუმპირებული და სწორედ ამიტომ, საჭიროა და დროულიცაა ყვე-ლას და ყველაფერს თავისი სახელი და-ერქვას, რომ მიზლითაც სათანადოდ მი-ეზღოს.....რომ უკვე დროა, მიუხედავად პარტიულობისა, მთელი საქართველო გაერთიანდეს ქვეყნის გადასარჩენად. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ მოუბოდი-

ტა, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტების დროს იყო ცნობილი თავისი უზნეობითა და ანტიკორუფციული საქმიანობით. მოკ-ლედა, ატყდა ერთი ვაი-უშველებელი. ჩა-ნერის მომხრემ ამერიკის აგენტი ეძახა ჩანერის მოწინააღმდეგეს, ჩანერის მოწი-ნააღმდეგემ – რუსეთის აგენტი ჩანერის მომხრეს. ერთის მხარდამჭერებიც ტყვედ წამოიძარბენ დარბაზში, – მეორისაც. მცირე ხნის ლანძღვა-გინებისა და ყაყა-

ყვითელი ლეგიონერები

შა მოსახლეობას იმ გაჭირვებისათვის, რაც ისტორიულ გარდაქმნას მოჰყვა თან და კიდევ ერთხელ მხურვალედ დაიბედა, რომ, როცა იქნება, დამთავრდება ეს გა-უსაძლისი გვირაბი და ერთიანი, დაკარ-გულტერიტორიებდარუნებული საქარ-თველო კვლავ იხილავს მზის სინათლეს.

ანა გულდასმით უსმენდა პრეზი-დენტს. მას შეგნებულად ეიმედებოდა ქვეყნის უშიშო მეთაური და ღრმადაც სწამდა, თუკი არ უღალატებდნენ, თუ-კი აცდიდნენ, მას მართლაც შეეძლო ამ ბუნვის ხიდზე შემდგარი ქვეყნის ხიდ-სა თუ გვირაბს გარეთ გაყვანა, შეეძლო, თუნდაც იმიტომ, რომ მასავით ვერავის ხელნიფებოდა მსოფლიო გეოპოლი-ტიკის საქადრამო ხელოვნება, – ამოცა-ნა კი რთულზე ურთულესი გახლდათ! პრეზიდენტი პარლამენტის ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წევრმა შეცვალა. მას ცბიერი, აზიური თვალები ჰქონდა, სუფთად გადაპარსულ საულვაშზე მა-ლი-მალ ისევამა ხელს და გააფთრებით ამტკიცებდა, მთელი ისტორიის მანძილ-ზე ქართველ ხალხს ასეთი მატერიალური გაჭირვება არ განუცდიაო.

ქალბატონი ანა ისტორიის დამსახუ-რებული მასწავლებელი გახლდათ, იჯდა, უსმენდა ამ ცბიერ კაცუნას და განცვიფ-რებული იყო ისტორიაში მისი ჩაუხედაო-ბით. წყალი ადულდა. მოხუცმა მეზობლის ნაჩუქარი ალგური ბალახის ჩაი დააყენა, გამხმარი პურის ნაჭერიც მოიძია, ორად გაყო, ნახევარი გადაინახა, სხვა არც ჰქონდა არაფერი და სუფრას მიუჯდა.

აზიურთვალეებამ, რომელიც რატომ-ღაც ერეკლე მეფესაც მისწვდა თავისი გესლით, კიდევ ერთხელ გამოაცხადა, სანყალი ხალხი ასეთ სამწიფე ეკონო-მიკურ გასაჭირში მთელი ისტორიის მანძილზე არ ყოფილაო და ასევე ხაზ-გასმით და კატეგორიულად მოითხოვა პრეზიდენტის გადაყენებაც, – ქვეყანას მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პარტია თუ ააღორძინებს თავის ლიდერთან ერთადო. პარლამენტის თავმჯდომარემ გვარით მიმართა ცბიერთვალეებს, დაბრძანდი-თო და უცებ ქალბატონ ანას უშაქრო ჩა-იში ჩალბობილი ლუკმა გაუშეშდა ხელთ. ახლდა იცნო, – ცბიერთვალეებ ცნობი-ლი და ხალხში მეტად პოპულარული ის-ტორიკოსი გახლდათ. 'რა მაინტერესს, იცე? – უკითხა მეორე ქალბატონმა ანამ უცებ პირველ ქალბატონ ანას, – ამ კატე-გორიის ხალხი, ანუ ვის ავტორიტეტსაც ხალხი ბრმად ენდობა, ნებით ისულებს ხოლმე თავს, თუ ვინმეს ბრძანებითა და დავალებით?! – ისედაც გაბრაზებუ-ლი იყო და ახლა კიდევ უფრო გაბრაზდა პირველი ანა, – ჰმ, გაიძვრა, ერეკლე მე-ფესაც რომ გადაწვდა, თითქმისაა ჰქონ-და იმ ეპოქასა და ვითარებაში საქარ-თველოსთვის თავგადადებულ მეთაურს სხვა გამოსავალი!' აზიურთვალეებანი ოპოზიციონერი ხარისთვალეება, ზორბა პოზიციონერმა შეცვალა. ამ კაცმა ცო-ტა ხნის წინ წამოაყენა და ახლაც კვლავ წამოაყენა საკითხი პასპორტში ეროვნე-ლი რეკვიზიტების გაუქმების შესახებ. პასპორტში ეროვნების ჩანერის მოწინა-აღმდეგე ზორბას სრულიად მოულოდნე-ლად სწორედ ის პარლამენტარი წამოუხ-

ნის შემდეგ კი ორივე მხარე ჩანყნარდა, რადგან ამასობაში მიკროფონი სოცია-ლისტების კაპიტალისტმა ლიდერმა იგ-დო ხელთ. ჯიბეებში უზრდელოდ ხელებ-ჩანყობილმა თავმომწონე კაპიტალისტმა კიდევ ერთხელ დასდო ბრალი პრეზიდენ-ტსა და მმართველ პარტიას ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, კიდევ ერთხელ შეიცვალა, შეიბრალა და თავის მხრივ უკვეც მომავლაც დაჰპირდა, – თუკი, რალა თქმა უნდა, ამისი საშუალება მიეცემოდა, – მისთვის არაფრით, მხო-ლოდ საარჩევნო ხმებით საყურადღებო პროლეტარიატს – და მიზანმიმართული და ამპარტავანი კაცის მიხვრა-მოხვრით დაუბრუნდა თავის ადგილს. კაპიტალის-ტისაგან გათავისუფლებულ მიკროფონს ქართული გვარის მქონე არაქართულყ-ვრიმალეებანი დეპუტატი დაეუფლა. მან რელიგიის თავისუფლების დაკანონება მოითხოვა და მადლიერებით მოიხსენია „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომელიც დაულაღადავ იღვნის როგორც იელო-ველთა, ისევე სხვა, დანარჩენ არამართ-ლმადიდებლურ სარწმუნოებათა თუ სექ-ტათა ინტერესების დასაცავად.

გარინდებული ანა „თავისუფლების ინსტიტუტზე“ ფიქრობდა ოხვრით, არა-ქართულ ყვრიმალეებთან მისჩერებოდა და უცებ ისეთმა კითხვამ გაუელვა, შეძრ-უნდა: „სად არიან და ვინ არიან იმ უთვა-ლავ მომხდურ ბარბაროს მტერთა შთა-მომავალნი, ისტორიული ქართველებისა და სისხლის წვიმების დროს ქართველი, ნანამეზი და ნამუსახილი გოგონების-გან რომ ჩნდებოდნენ?! როგორც მეცნი-ერება ამტკიცებს, გენი ხომ უკვდავია?!.. „ო, ღმერთო, ო, ღმერთო“, ამაზე ფიქრს ისევ სხვა რამეზე ფიქრი ვიკვდა და უცებ, ქალბატონ ანას, წინა ფიქრიდანვე გამომ-დინარე, გაახსენდა, როგორ დაჰპირდა თამარს „ქართლოსის საფლავს“ ნაგა-კითხებო. „არ გგონია, ჩემს გარდა კიდევ ვინმესთვის ეთხოვებინა ცხოვრებულ შალ-ვას ის ნიგინი, დაეურეკავ ერთი, ამ გახსე-ნებაზე, ოფელისა, იქნებ მათხოვოს ისევ, ცოტა ხნით, თორემ ყიდვის საშუალება სად გვაქვს ან მე, ან თამარს!“

ანამ ტელევიზორი გამორთო და ტე-ლეფონს მიაშურა. ტელეფონი ქვასავით დუმიდა. ანას ტელეფონის დუმილი სუ-ლაც არ გაჰკვირვებია, პოლისკენ გაე-შურა, კარის სათვალთვალოდან კიბის ბაქანი მოათვალერა შიშით, ისევ იმ ჩა-მომხმარ ბაყბაყდევს არ გადავეყაროო და მეზობელთან გავიდა. მეზობლის კარი ღრიჭოდ იყო დატოვებული, არც ზარს გამოჰპასუხებია ვინმე, არც კაკუნს. ანამ კარი შეაღო და ძახილით „ტანია! ანზორ!“, იქაურობა მოათვალერა. არც ტანია ჩანდა, არც ანზორი. „ნეტა ქიტე-სას ხომ არ დაემართა რამე, მე შენ გითხ-რა და არა აქვს ხანი, ოთხმოცდაექვსი წლისაა უკვე“, – გაიფიქრა ანამ, ფრთხი-ლად შეაღო ქიტესას ოთახის კარი და იქვე გაშეშდა: სახეაფორაჯებული, ახე-ნეშებულ-აკვნესებული ოთხმოცდაექვსი წლის ქიტესა ისე გაფაციცებოდა მისჩე-რებოდა საშინლად უხამს პორნოგრაფი-ულ კადრს, ანა კი არა, ტრაქტორიც რომ შემოსულიყო ახლა ამ ოთახში, იმასაც ვერ შეამჩნევდა. ასევე გაფაციცებო,

სულგანაბლული შეჰყურებდნენ ეკრანს ქიტესას ბადიშის შვილებიც, ცხრა წლის დიმა და შვიდი წლის კასანდრა. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, როგორ გეგმაზომი-ერად და მასიურად რყვნის ტელევიზია ბებერსაც და ახალგაზრდასაც, დიდსაც და პატარასაც“.

ქიტესასგან გამობრუნებულ ანას უკ-ვე ტანია და ანზორიც დახვდნენ შინ შე-მობრუნებულნი, როგორც ყოველთვის, მეზობელ ქეთევანთან გავარდნილიყვენ ნაშველად, როგორც ყოველთვის, ახლაც ნიხლით ეცემა თავის ნარკომან შვილს ხეიბარი ქეთევანი, – ბინა გაყიდე, ფული მჭირდებაო. ანამ ამოიოხრა და ტელე-ფონით სარგებლობის ნებართვა ითხოვა მეზობლებისგან. ქიტესას ოთახში გაფა-ციცებულ ტელემაყურებელ ბავშვთა შე-სახებ არაფერი უთქვამს, რადგან ეს თემა დიდი ხნის წინათ ჰქონდა უკვე განხილუ-ლი და ამონურულიც ტანისათან, რო-მელიც ერთადერთი, გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობდა ამ ოჯახში და ამავე დროს დიდად აფასებდა დემოკრა-ტიასაც, – განსაკუთრებით მის ყვითელ მონაპოვარს. ანა ჩაფიქრებული მიუჯდა ტელეფონს. მეუღლის, ნიგნის მკინძავი შალვას გარდაცვალებამდე ღარიბ-ლა-ტაკმა ოფელიამ, შალვას გარდაცვალე-ბის შემდეგ პარიკმახეობას თავი დაანე-ბა და მცირე ხნისთვის მიჰყო ხელი. მცირე ბიზნესში რა იგულისხმებოდა, ანამ ვერ გაიგო, მაგრამ, სამაგიეროდ, ნათესავე-ბისგან კარგად იყო ინფორმირებული, რომ სულ მცირე ხანში ოფელიამ მცირე ბიზნესით დიდ ქონებას გამოჰკრა ხელი: შვილები ამერიკაში გააგზავნა საცხოვ-რებლად, თვითონაც ამერიკულ მანქანას მოასკუპდა, სამოცი წლის ასაკში კაბაც დაიმოკლა, თმაც ლამის გადაიხორა, სიგარეტი, შორტი, შარვალი და ჯუბანაც მოირგო და ევროპასა და ამერიკას არა თუ დაენია, ქვრივის კვალობაზე გადაას-წრო კიდევაც. ამ ხნის მანძილზე ოფელი-ას არც ტელეფონით, არც უტელეფონოდ არ მოუკითხავს ანა.

ანას მშვენივრად მოეხსენებოდა, გამ-დიდრებული მდაბიოსათვის ქურდი, ყა-ჩალი და ღარიბი ნათესავი (მით უმეტეს, მეუღლის მხრიდან) ერთი და იგივე რომაა და ამიტომ, ოფელისა ხმა გაიგონა და იგ-რძნო თუ არა, როგორ ჩაეღვარა ოფელი-ას ხმაში ყინული დამრეკავი ვინაობის გაგების შემდეგ, ანა პირდაპირ სათხო-ვარზე გადავიდა. გამყინვარებულმა ოფელიამ კარგა ხანს ვერ გაიგო, რა საფ-ლავს ეხვეწებოდა მარტოხელა მოხუცი. მერე თანდათან გაიხსენა ჯერ გარდაც-ვლილი მშაფულე, მერე მისგან შექმნილი ნიგნები, მხა ცოტა დაუთბა და დაჰპირ-და, როგორც კი დროს გამოვნახავ და სა-შუალებაც მექნება („ბენზინის ფულიც კი არ მაქვს, ისე მიჭირსო!“), მოვძებნი და მე თვითონ, ანდაც ჩემი კამაზის შოფერს ამოვატანინებო. ანამ სთხოვა, ჩაინერე, სხვა არაფერი მომიტანო, ავტორი ჯან-სულ დავინჯილია, ნიგნის სათაური კი „ქართლოსის საფლავი“. ოფელიამ ნერ-ვიულად დაუტაცხანა, მაგის დამახსოვ-რებას რა უნდა, ქართლოსა და ჰოსოს ხომ ძმები იყვნენო; სულაც გაჩუქებ იმ ნიგნს, ჩემს შვილებს მაინც არაფერში სჭირდე-ბათო და კიდევ ერთხელ წაიწუნა თა-ვის საშინლად მატერიალურ გასაჭირზე. ანამ „გულუბრყვილოდ“ შესთავაზა, გუ-შინ ნინომ თავისი ხელფასიდან ათი ლარი მაჩუქა და თუ რამეს გიმეკლის, ფეშქა-შო! ამ დროს ანამ საკუთარ სახეს მოჰკრა თვალი სარკეში და გაიფიქრა, რა საოც-რად ვგავარ ახლა ბებერ, ცბიერ მელაკუ-დასო.

საკუთარ ბინაში შებრუნებული ანა უცებ საკუთარმანვე ტელეფონმა იხმო ურცხვად. – ისრაელის ოფისიაო? – ვი-ლაც კაცმა იკითხა. – არაო, – რატომღაც მკვანედ უპასუხა ანამ და ყურმილს რომ დებდა, გაიფიქრა, სისხლის ყვილმა იხმო ვინმე, ნეტა, ისტორიულ სამშობლოში თუ რომელიმე ბედკრული ქართველი ებლა-უჭება ლუკმა-პურისა თუ გამდიდრების იმედსო?

მაცივრის თავზე შემოდგომული ტელე-ვიზორი ჩართო თუ არა, ეკრანზე უხამსი რეკლამა გამოჩნდა. ანამ სხვა არს- ►►

►► ზე გადართო, მაგრამ ერთმანეთზე ზეცხვით დაკოცულ შიშველ ქალსა და კაცს გადაანყდა და ისევ გადართო: ქართულად თარგმნილი უცხოური ფილმიდან ისეთი ბილნისტიყვაობის ნაკადი იფრქვეოდა, კულტურულ ადამიანს სიცოცხლეს შეაზარებდა და ანამ ისევ გადართო. ამ არხზე, აფუებულ ცომივით საზღვრებს გარეთ გადმოსული თანაღლა კაცი ენის ჩლიფინითა და ქოშინ-ქოშინით განაქიქებდა, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს სალოცავ ხატს, ილია ჭავჭავაძეს! ანა ჯერ გაშრა, გაშტერდა, მერე იფიქრა, ალბათ რაიმე ახალი ინსცენირებაა „კაცია-ადამიანი?!“-ს და ეს მსახიობი, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ლუარსაბს, როდესაც ასრულებს ასე ნიჭიერად, მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ მიხვდა, რომ საქმე უფრო რთულად იყო, ვიდრე ეგონა. ჩლიფინამ ილიადან აკაკიზე გადაინაცვლა და ახლა მის განქიქებას მიჰყო ხელი.

– ღმერთო, ან მეჩვენება, ან გავგიჟდი! – ამოიკვნესა თავზარდაცემულმა ანამ და თითქოს საშველს ეძებდა, კვლავ გადართო. ამ არხზე, კარტუზიანი, ნარკომანის იერის მქონე არცთუ ახალგაზრდა კაცი მთლიანად კლასიკურ ქართულ პოეზიასა და კლასიკოს ქართველ პოეტებს ასწორებდა მინასთან. გალაკტიონო? – მონინებულ ჰკითხა ჟურნალისტიმა გოგომ. ვინ იყო გალაკტიონი, ერთი სოფელი ბიჭი, – განათავსა გოგო კაცმა, – ჩვენი ხალხი ვერ ხვდება ჯერჯერობით, მერა გენიოსი პოეტიც ვარ, თორემ ევროპა-ამერიკა კი არ მაკლებს ყურადღებას და პატივისცემას, ახლაც ვიყავი მიწვეული, გუშინ დაგბრუნდი სამშობლოში. გოგომ მორცხვად სთხოვა, თუ არ შენუხდებით, ნაგვიკითხეთ თქვენი შედეგებიო. კი, ბატონო, კი ბატონოო, – კარტუზიანმა და პირველი შედეგები წაუკითხა: „როცა ნაიკუზები, მაშინ მომდის მუხები“.

ანამ ლამის გონება დაკარგა, ერთიმეორეს მოყოლებული რამდენიმე უხამსი „შედეგები“ რომ მოისმინა. ლამის არც თვალისთვის დაეჯერებინა, არც ყურისთვის, მონინებული ჟურნალისტი გოგოსგან ნაქეზებული კარტუზა კი მიერეკებოდა და მიერეკებოდა...

„ესეც შენი დამოუკიდებელი საქართველო! ესეც შენი დემოკრატია!“ – ანამ ტელევიზორი გამოიწია, ერთხანს იდგა საფეთქლებზე ხელგნავლებული, თვალღებდახუჭული და ლამის შეშლილი. „ვინ, რატომ, რისთვის და რა მიზნით აიძულებს თუ აფინანსებს ამ უბედურებს თუ შეურაცხადებს... ვინ, რატომ და რა მიზნით?! არა, აღარ მინდა ამზე ფიქრი, თორემ მართლა გავგიჟდები! მოდი, რა ვქნათ, იცი, ვიდრე სინათლეა, დავაუთოთ“.

უთობის ჟამს ანამ ილიას, აკაკის და გალაკტიონის უამრავი შედეგები წარმოთქვა ზეპირად, ხასიათიც გამოუკეთდა და როგორც კი უთო გამოართო, მექანიკურად ისევ ტელევიზორი ჩართო: უცხო წარმომავლობის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისაგან განდგომილი შავნევი, შავი მოძღვარი ქვაბავაზაკით აბრიალებდა თვალებს და უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ლანძღვა-გინებდასა და ცილისწამებას აფრქვევდა თავზე ტელეეკრანიდან. ჟურნალისტიმა ბიჭმა მონინებით დაამთავრებინა სათქმელი ქვაბავაზაკს, მადლობა გადაუხადა და სთხოვა, ახლა რომ კადრებს გიჩვენებთ, იმის შესახებაც გვითხარით ორიოდ სიტყვით: კადრში ეკლესიისგან განდგომილი შავი მოძღვარი თავის გაბრუებულ, გაშმაგებულ და სახეშეშლილ მრევლთან ერთად, კეტებითა და ქვებით ქრისტეს სახელით უსწორდებოდა ასევე გაბრუებულ, გაშმაგებულ და სახეშეშლილ, ქრისტესა და ყოველივე მშობლიურის უარყოფელ იედოველთა სექტას...

„ლამის დავიჯერო, რომ პირადად თვითონ სატანამ შეადგინა ასეთი თავზარდამცემი ნიჭიერებით და თვითონ ხელმძღვანელობს საქართველოს მთლიანად განადგურების გეგმას, – ტელევიზორი სწრაფად გამორთო შეძრწუნებულმა ანამ, – ნელ-ნელა, ეტაპ-ეტაპ, მტრისგან დედაეკლესიას და მართლმორწმუნეებს

ჩამოშორებული მოტყუებული მრევლი, მტრისგანვე მართლმადიდებლობას ჩამოშორებული, გადაგვარებული და არათუ მამა-პაპის სარწმუნოების, ყოველივე ეროვნულის უარყოფელი, უსახო, გაბრუებული, სხვადასხვა სექტებად სახელდებული მასობრივი ჯოგები... ეტყობა, ქვაბ-ავაზაკმა და მისმა თანამეინახებებმა უკვე მიიღეს დავალება, ერთმანეთს ახლა უკვე ვიზიკურად დაატაკონ ერის ეს საბრალოდ და უღვთოდ მოტყუებული გონებაჩლუნგი ნაწილი... ჰმ, ეროვნული ხარაკირის სატანური რიტუალი ქრისტეს სახელით!“.

ანამ მუხლებზე ჩაიჩოქა და სასონარკევიტილმა ხელეში ჩარგო თავი, ფუტკრის სკასავით ზუზუნებდნენ ფიქრები: „მაგრამ ღმერთო, სიკეთე ხომ უძლეველია?! მაგრამ რა ჰქნას მარტო ღმერთმა?! ღმერთი მარტო ჩვენ კი არ გვჭირდება, – ჩვენც ვჭირდებით ღმერთს... და ვინ ვართ ეს ჩვენ, – ვინც ღმერთთანაა?!“ თუ არ გვიშველი, მგონი ვიღუპებით, ღმერთო!...“ და ანამ, მონუსხულივით ისევ ტელევიზორი ჩართო. კადრში ერთიმეორის მიყოლებით გამოჩნდნენ ფეშენებელური, უცხო სტილის სასახლეები. ნეტა რომელი ქვეყანაა ასე მდიდარი და ბედნიერი, – ის იყო, გაიფიქრა ანამ, რომ ახალგაზრდა, მელიტმა ჟურნალისტიმაც გამოაცხადა: „აი, სად გაქრა და რას მოხმარდა, ხალხო, თქვენი ბანკში შენახული დანახვები, ნლობით გაუცემელი ხელფასები, პენსიები თუ ის შემონირულობა და დახმარებები, რომლებსაც ამერიკა და სხვა უმდიდრესი ქვეყნები გვიგზავნიდნენ! და ვინ არიან ამ სასახლეთა პატრონები, – თქვენი შიმშილის ხარჯზე გამდიდრებული ბოლოები?! – პარლამენტარები, ძალოვანი თუ მაკონტროლებელი სტრუქტურების წარმომადგენლები და, საერთოდ, ძლიერნი ამა ქვეყნისანი!“

ანამ კარგად იცოდა ისტორია და არც ეს გაჰკვირვებია, ასე იყო იმ ისტორიული სისხლის წვიმის დროსაც, სწორედ მაშინ, როცა ბრძოლის ველი ქართველი ვაჟკაცების გვამებით იყო მოფენილი, როცა თითოთოროლა, სიკვდილს გადარჩენილი ქართველი კი შიშისა და შიმშილისაგან ძრწოდა, მედროვენი და ძლიერნი ამა ქვეყნისანი ხალხით ირგებდნენ გამარჯვებული მტრისაგან ბოძებულ ხალათს, სასახლეებსაც და ციხე-სიმაგრეებსაც მათივე დახმარებით იშენებდნენ და ისედაც გაძვალტყავებულ მოსახლეობასაც კიდევ უფრო აძვალტყავებდნენ მტრისავე გულის გასახარად.

ანა კარგად იცნობდა ადამიანის ბუნებას, თანამედროვე სასახლეთა შესახებაც მოეხსენებოდა უკვე ნაცნობ-მეგობრებისგან, მანამ, სანამ ეს ამერიკაში სტაჟირებაგავლილი „დამოუკიდებელი“ ჟურნალისტი გამოიტანდა საჯაროდ ამ ამბავს (ოლონდ ასე მდიდრულნი კი მაინც ვერ წარმოედგინა); ანას ყველაზე მეტად ერთი რამ ალღევებდა და უფორიაქებდა სულს, როგორც ახლა, ამ გადაცემისას, ისე ყოველთვის, როცა კი ეს ჟურნალისტი ასე საჯაროდ ამზუერებდა, როგორც თვითონვე ამტკიცებდა, მართალ ამბებს, – ანას ზარავდა მის ხმაში შეფარული ზემი, მისი ვითომ თანაგრძობით სავსე მიმართვაც კი, – „როდემდის, ხალხო“, ანას საშინელი სიცხადით აგონებდა იმ ცნობილ და ავადსახსენებელ ლოზუნგს, რომლის განხორციელებამაც სისხლით გადაღება, არც თუ შორეულ წარსულში, როგორც მთლიანად საქართველო, ისე დედაქალაქის კარგა დიდი ნაწილიც, – „პროლეტარებო, შეერთდით!“

ანამ ტელევიზორი გამორთო, საგაზაფხულო პალტო ჩაიცვა, ჯიბეში ნაჩუქარი ათი ლარი ჩაიდო და საბაზრო ჩანთით ხელში გარეთ გამოვიდა. მზით გაჩახჩახებული ეზო ბავშვებით იყო სავსე. ვინ „ბოვიკობანას“ თამაშობდა, ვინ პარლამენტარობანას, ვინ ბაზრობანას, ვინ ოჯახობანას და ვინ კიდევ იქვე, ყველას თვალწინ, სიყვარულობანას.

სადარბაზოს პირდაპირ ძელსკამზე აფხაზეთის ომში ნაბრძოლი ოცდახუთი წლის ცალფეხა რატი გიორგობიანი იჯდა, ყავარჯენები გვერდით მოეწყო და ერთ წერტილს მიჩერებული, უსახლო და

ნაღვლიანი სახით აბოლებდა იაფფასიან „პრიმას“.

„გტკივა, ჩემო უსახელო უფლისციხელო? – თვალზე ცრემლი მოადგა ანას, – შენ არ იცოდი, რომ შენს მეგობრებთან, გუბაზთან, ლევანთან, დავითთან, გიორგისთან და ასობით სხვასთან ერთად უკვე წინასწარბეგადანწყვეტილი ომში ჩაეღი. შენ ვერ განსაზღვრე, რომ ახლა მაინც უფრო სხვა დროა, რომ ახლა უფრო მეტად დის ლალატის სუნიც და ის უხილავი დირიჟორიც, რომელიც ასე უტიფრად და ვირტუოზულად ხელმძღვანელობს სახელმწიფოების ხელახალ გადანაწილებას, სწორედ ამ შინაური მოლაპატეებითაა უფრო ძლიერიც... შენ და შენი მეგობრები დიდგორობანას თამაშობდით ხოლმე, მასხოვს, ეზოში ჯოხის ცხენებს დააქროლებდით ყოყინით და ამაყად „კედებოდით“ სამშობლოსათვის. ახლაც, აფხაზეთისთვის ბრძოლაში, ალბათ ასევე ამაყად დაიხოცნენ გუბაზიც, ლევანიც, დავითიც, გიორგიც... იმ დროს კი, იმ დროს ესენი, ათასი ჯურის მოლაპატენი, ათასი ჯურის მედროვენი... ეჰ... მაგრამ თუნდაც გცოდნოდათ, მაინც წახვიდოდით, მაინც იბრძოდით დიდი მტრისაგან მოსეული იმ პატარა მტრის წინააღმდეგ, ვინც მამა-პაპათა საძვალეს გედავებოდათ. თქვენი წმინდა სისხლი, თქვენივე ბავშვობა ნაგიყვანდა და აკი ნაგიყვანათ კიდევაც... ახლა კი მეგობრებშემოძარცვეული, სამშობლოჩამოჩენილი, მამულაუცხოებული, მშიერი, ხეიბარი, ზიხარ, ფიქრობ, ფიქრობ და პასუხი ვერ გიპოვია! შეილო, მარადგამწარებული მამულის მარადგამწარებული შეილო...“

რატიმ თავი ასწია. ლამაზი, ქართულად ჩამოქნილი ნაკვეთი მოკრძალების ღიმილმა გაუნათა და ყავარჯენებს მიწვდა წამოსადგომად.

– იჯექი, შეილო, იჯექი, – გაუღიმა ანამ – გაზაფხულის დადგომას გილოცავ! – გამდლობთ, ანა მასწავლებლო, მეც, ასევე.

მეორე სადარბაზოდან რატის თანაკლასელი ბიჭი გამოვიდა უზადოდ გამოწყობილი. ამერიკაში განსწავლულმა და ამერიკისგანვე საქართველოში შექმნილი რაღაც ახალი ინსტიტუტის წევრმა ამერიკული „მარლბოროს“ ნეეტი, ინდაურივით აფხორილმა ჩაუარა წინ ანას და რატის, ზედ არ შეუხედავს არც ერთისთვის, ამერიკულ მანქანაში ჩაჯდომისთანავე ამერიკული როკი ჩართო გამაყრუებლად და ადგილიდან მოწყდა.

ანამ თვალის გადახედვით უცხო მანქანას და თავი გადააქნია. ერთ-ერთი, ვინც საქართველოში დემოკრატის სახელით ყველანაირი არაქართულის, არატრადიციულის დამკვიდრებას მოითხოვდა თავის ახალ ინსტიტუტთან და თავზარდამცემ თანაინსტიტუტლებთან ერთად, სწორედ ეს ბიჭი გახლდათ, მთელი ომის განმავლობაში იბრძოდა ეს ბიჭიც თავის უცხოვად განსწავლულ თანამოაზრებებთან ერთად, ოლონდ მტრის კი არა, მტრის წინააღმდეგ მებრძოლი ბიჭების წინააღმდეგ. „ომში საძარცვავად წასულეებს“, „ნარკომანებს“, „დამნაშავეებს“ რაღას არ უწოდებდა, რა ხერხით არ შეურაცხყოფდა და არ ამცირებდა პატრიოტი ქართველების დაღვრილ წმინდა სისხლს და კიდევ უფრო აზნევედა და აშტერებდა ისედაც დაბნეულ ქართველ ხალხს – გაზეთში დაწერილს და ტელეეკრანიდან ნათქვამს ხომ მართლაც და მაგიური ძალა აქვს! ჭკმში რატიმ! განსაცვიფრებელი ნიჭიერებით ფლობდა საქართველოს და მართლმადიდებლობის მარადი მტერი თავის ხელოვნებას!

ავტობუსში, ისევე როგორც მთელ ქალაქში, ქლორის გაუსაძლისი სუნი იდგა. ანა ფანჯრიდან გაჰყურებდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თვალის დახამამებში გაუცხოებულ დედაქალაქს. ევრორემონტით სახეცვლილი ყოფილი კვლევითი ინსტიტუტები, წიგნის მალაზიები თუ ასევე ყოფილი ბიბლიოთეკები ახალი და ახლა უკვე რუსულის მაგიერ ინგლისური წარწერებით იწონებდნენ თავს: „კაზინო“, „მინიმარკეტი“, „რესტორანი“, „ლომბარდი“, „დისკოთეკა“, „ლამის ბარი“, – ათასფრად აწყურიალებული

სავაჭრო რეკლამები, კერძო მალაზიები, ჯიბურები, წერტილები... ქუჩებშიც უცხად გავეროპელეულ-გაამერიკელებული მოქალაქეები ირეოდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, ტელევიზორილ ახალგაზრდობას ლალად და ურცხვად მოერგო უცხოეთიდან მოძალებული, ძონძების მალაზიებში ნაყიდი სხვისი გამოწვევალი ტყავი, ხნიერები მორცხვად იწონებდნენ თავს ამერიკელების თუ ევროპელების, შიდსიანების, ჭლექიანების, მკვდრების თუ ცოცხლების გამოწვევალი, ვირუსებით გაჯერებული სამოსით. ან კი რა ექნათ, – ქვეყანაში, რომლის დიდი წაწილიც შიმშილისაგან ლამის სულს დაფავდა, ხალხისთვის მხოლოდ უცხოეთიდან შემოტანილი იაფფასიანი ძონძები, უცხოეთიდანვე შემოტანილი, ჯანმრთელობისათვის საშიში უვარგისი საკვები და, რაც მთავარია, სულმთლად უფასო ჩასახვისა და გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებები იყო ხელმისაწვდომი. როგორ გინდოდა გებრძოლა იმ უხილავი, ზღაპრული ურჩხულის წინააღმდეგ, რომელსაც ასობით და ათასობით საცეცი ჰქონდა და თითოეული საცეცით ნელ-ნელა ახრჩობდა ყველაფერ იმას, რასაც ტრადიციული, ეროვნული, რასაც კლასიკური, ამაღლებული, ანდა, სულაც უბრალოდ, ადამიანური ერქვა.

ანამ გვერდი აუარა პირდაპირ ავტობუსის გაჩერებასთან გამოსულ დახლს, რომელიც ამაზრზენი, ეროტიკული თუ პორნოგრაფიული, პოლიგრაფიულად უმაღლეს დონეზე გაფორმებული გაზეთებით, ჟურნალებითა და ნიგნებით იყო სავსე და ძონძების მალაზიებით დახუნძლული ქუჩით ბაზრისკენ გადაუხვია, რომლის მისადგომი ჯოჯოხეთის კარიბჭეს ჰგავდა. ბაზარში შესვლა არც იყო საჭირო, იქვე, ჭრელა-ჭრულად გადაზიმ-ზიმებულ ქუჩებში იყიდებოდა ყველა და ყველაფერი. ყურისწამლებ, გაუსაძლის გინასში თითქმის ყველა ენა და ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტი იმყოფდა. ერთმანეთში ჭიანჭველებით ირეოდნენ, ყიდულობდნენ და ყიდდნენ: სახეშეშლილი, ჩამომხმარი, გატანჯული, აფხაზეთიდან თუ სამაჩაბლოდან ლტოლვილნი, თოხებს თუ შიმშილს გამოქცეული სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებელი, ბაზრის ქალებად და კაცებად უცბადნაქცევი მასწავლებლები, იწყინებები, ექიმები, მუსიკოსები, მხატვრები, დიასახლისები... ერთმანეთში ირეოდა ჯანსაღი თუ ავადმყოფი, ბებერი თუ ახალგაზრდა, დიდი თუ პატარა, მათხოვარი თუ მანანაწალა. გინება, შეხლა-შემოხლა, მუშტი, ნივილი, კვილი...

ნაჩუქარი ფულით ანას დიდი-დიდი, სასიცოცხლოდ აუცილებელი რამეების შეძენა შეეძლო მხოლოდ: საპონი, მარილი, შაქარი, ჩაი, მაკარონი. ანამ ჯიბეში ჩაიყო ხელი და მოულოდნელობისაგან გაშეშდა, საკუთარ ჯიბეში სხვის ხელს წაანყდა. უზარმაზარი ხელი არც შენდრეულა. შეშინებულმა მოხუცმა სწრაფად ამოიღო საკუთარი ხელი საკუთარივე ჯიბიდან და მომხვედურისა თუ დამხვედურის მკლავს ააყოლა თვალის. ზორბა, ტყავის ძვირფას ქურთუკში გამოწყობილი ახალგაზრდა, უკისრო კაცი დაცინვით ჩამოჰყურებდა ანას.

– კი, მაგრამ... – კაცის ხელს დაეჯავჯავრა შეცბუნებული ანა.

– ჩემი დედა... არ მითხრა ახლა, ჩემი ჯიბეაო. მე ჩემი მეგონა! – წაუსისინა კაცმა, ანას ჯიბიდან ხელთან ერთად ფულიც ამოიღო და იქვე გადათვალა, – ხმა არ ამოიღო, თორემ აქვე გაგაფრთხოებნებ სულს! – კიდევ ერთხელ დაუსისინა და მორიგ მსხვერპლს გაეკიდა მწვეარივით.

სამი „ნიერილი“ ზეცონ თამაზ ნიზნიჭიძის

•
მენატრება, ჩემო თამაზ,
ზედ ქვა მედოს რიყის.
პოეზიამ შემოლალა
უამრავი „ციყვი“.

დალი მშანთავს დღეთა მწველთა,
გულით დავალ მისნის,
ბევრი ლექსებს დორბლით წერდა,
ცოტა წერდა სისხლით!

(მამლაცინნას რა მოვთხოვო,
დაიკვლება ერთხელ).
„პოეტების“ თავებიდან
ბზე ვერ გამოვბერტყე!

გასარკვევი გავარკვიე,
მისახვედრელს მივხვდი,
ვისაც გული დავუთესე,
უგულობით მიხდის!

მავანს უნდა დამაჯეროს,
აღმა მიდის მტკვარი,
რომ სიკვდილი ცოცხალია,
ხოლო ვაჟა – მკვდარი!

სად ხარ, სულო!
რად ვერ გამხელ!
რად იხრჩობი წვირში.
პოეტები უნდა გახდნენ
საქართველოს ღირსი!

2005 წელი

სადა ვარ?!

გონა კელენჯერიძე მომკვდარა!
გონა ქუშაშვილი მომკვდარა!
გონა ელოშვილი მომკვდარა!
...
გონა ხარანაული დარჩომილა,
მღვრიე სიცოცხლით დახრჩობილა!

ვაზი მარჩენალი გახმობილა!
წიქარა ხნულზე დამხობილა!

... ეს ცხადი სიზმრად მინახავს...
მიმოვიხედავ და – ვინა ხართ?!
გიორგი ხარ თუ თინა ხარ!
ალექსი ხარ თუ ზინა ხარ?!

... სალამურიანს გაეძახე,
პატარა მცხეთელ მეცხვარეს,
თვალეები სისხლით შევცვარე,
ვერაფერი ვერ შევცვალე!

... ეს უმნიფარი სად თიბავს!
ეს უდღეური სად ლესავს?!
რას ერჩის ამ მზის ათინათს,
რად ერჩის ქართველთ საესავს?

გული დავწურე მტევანად,
ჩუკენთა დასატევარად,
გული – ლადარის სადარად,
მიმოვიხედავ – სადა ვარ!
ზვიადური ცადაა!
ქეთელაური ცადაა!
რა ბ უ ზ ა ნ კ ა ლ ი ი რ ე ვ ა,
ს ა დ ა ვ ა რ ?!

(გული – „არამოთხოვნადი პროდუქცია“)

ეს „ანაობას“ თამაშობდა,
ის – „მურმანობას“.
(არცერთს ანუხებდა უმადობა).

ვინც საქართველოს „გურმანია“,
გული გაუპოს დანამა,
უბრალოდ, მურმანი მურმანია,

ანა – ანაა!
ტემპერატურა მდულარეა,
ნიავი დიდი ძღვენია.
ხალხს ქელეხები უხარია.
„მწუხარე“ სახით ძღვებიან.

მკვდრებო, თქვენთან ვარ ალავერდი,
ცოცხლებში ბევრი „გვრიტია“,
კარგი გვარია არაერთი,
(მაგრამ ნიჭს გვარი ჰკიდია!)

ვაი, შენ, ჩემო ერთგულეზავ,
ვაი, შენ, ჩემო თავდადებავ,
კომერციული თვალსაზრისით
ზედმინევენით მკვდრად დაბადებავ!

სუყველამ, უცებ, ერთდროულად,
ემშაკის ჰანგზე მოუქცია,
ჩემო „ჩანოლილო ნედლეულო“,
არამოთხოვნადო „პროდუქციავ“!

... გ უ ლ ო!
სიცოცხლით არ დამინდო,
გ უ ლ ო!
ნუ დამიღონდები.
ფრთხილად: გ უ ლ ო, შე მარგალიტო,
ლ ო რ ე ბ ი!
ლორები!
ლორები!

არ მრთავენ ნებას

კაცი ვბერდები, დაბერების არ მრთავენ ნებას!
მყავს მეგობრები – მეგობრობის არ მრთავენ ნებას!
სიზმრად მინახავს, რაც მოხდა და რაც დღემდე ხდება,
სამინე თვალეებს მშიერი და მწყურვალე ხვდება!.

რა კლდეს შევასკდე,
სული ტირის და გული კვდება,
რომ დაპურება-დარწყულების
არ მრთავენ ნებას!

აკრძალულია ამ ქალაქში ათივე მცნება,
ტყვიას მესვრიან!
ძალის შვილი ყოველთვის მცდება!

ამ საქათმეში მამლის ჯიში
თანდათან წყდება,
საქართველოში ქართველობის
არ მრთავენ ნებას!

ვირობა არ მსურს, აჯილდობის არ მრთავენ ნებას!
მჩენენ, მკაფავენ, ხმლის მოქნევის არ მრთავენ ნებას!
მ ა მ უ ლ ი მინდა! სიყვარულის არ მრთავენ ნებას!
სიცოცხლე მსურის – სიცოცხლისას არ მრთავენ
ნებას!

კნუტებში ლომმა მივისაჯე
კნავილთა თმენა!
დამშეულ ვირთხებს ვერ ვაჭამე
ქართული ენა!
გულ-ღვიძლი წამლად დავუნაყე სამშობლოს სნებას,
არ გამაკარეს – მკურნალობის არ დამრთეს ნება!

ცას მივაძახე:
„ეს ედემი რჩებათ მყრალ ტურებს!“
„მართალი ხარო“, –
ვარსკვლავებმა დამიდასტურეს.
რად მიღალატეთ, ვარსკვლავებო, მზირალნო
მწყრალად,
დაგაბნელებდით, მაგრამ ამის არ შემწევს ძალა!

... დრო არის...

რა დრო არის, რა დროს წლებია,
რა დროს თოვლი და თოვლის ფანტელი!
ჯერ ჩემი თავი არ მომსწრებია,
მ ე და მ ე-ს სადღაც დავიფანტენით!

წესად აქციეთ მამაძალღობა,
ჯილდო მიიღეთ უფლის გამობაში,



გიორგი ხარანაული

უნდა მოვესწრო მე თქვენს ჩაძლობას,
უნდა ვიცხოვრო უდროობაში!

შხამად მიქციეთ ყრმობის წამალი,
დავმარხეთ – მამულს ვინც კი ვუხდებით!
ღვთით ბოძებული წლები ნაგვართვით,
ვალი დაიდეთ გადაუხდელი!

სიცოცხლეს ვინცებ ამიერიდან,
ამ საათიდან და ამ წამიდან.
მინაზე დარჩა მყრალი „ელიტა“,
ჩ ე მ ი თ ა ო ბ ა
ც ა შ ი ნ ა ვ ი დ ა!

ამდენ ლალატმა მტრულად განმანყო,
ლამე დავუნთე ძვირფას ჩვენებებს,
ვამჩნევ – ვბერდები!
და ეს არ მანყობს!
ა ხ ლ ა დ რ ო ა რ ი ს,
დ რ ო ს ვ ა ჩ ე რ ე ბ დ ე!

ფიცი

ჟამთასვლას მიჯრით ვკეცავ,
მისი შეწვევით, ვინც მწამს.
ქართულად ვხედავ ზეცას,
ქართულად მიყვარს მინა!

თუმც დამიხარეს დროშა,
მიმოშლილი ვარ ტივად,
ქართულად ვნაღვლობ დრო-ჟამს,
გულიც ქართულად მტკივავ!

არ გამითენდეს დილა,
ქვემძრომობაში გართულს,
არ გარდავიდე ქართულს,
არ გადავუდგე ქართულს!

დავაღალატო ძმები,
მაშინ დამნაცროს ელვამ,
არ შემიმუსროს ძვლები
ქართული სულის თელვამ!

მაშინ ამალოს ხელი
უზენაესმა ჩემმა,
გადავუხვიო ოდეს
ქართულ წესსა და ჩვევას!

გალობით ვხვდები მწუხრებს,
ვდგავარ დაგმანულ კართან,
ქართულად ვუხრი მუხლებს,
დედაღვთისმშობლის კალთას!

ვსტირი ქართული ცრემლით,
ვმღერი ქართული ბგერით,
მეამაყება ჩემი – ს ი ს ხ ლ ი,
ჯ ი შ ი და გ ე ნ ი!

ვერ გამაკვირვოს სხვისამ,
ვერცა მზემან და ვერც ცამ!
მჯობი ქართულის, ვფიცავ!
ვერ ვცან!
ვერ ვცან და
ვ ე რ ვ ც ა ნ!

2005 წ.

ხშირად საუბრობენ იმაზე, არსებობს თუ არა საქართველოში ობიექტური კრიტიკა. მწერალთა და პოეტთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ გზამკვლევი, იმის განმარტობი, მათთვის რომელია ამ ნოდების ღირსი, არ ჩანს. კრიტიკოსები რეცენზიებით არ გვანებიერებენ, რასაც ბევრი ფაქტორი განაპირობებს. იმის გასარკვევად, თუ რა მდგომარეობაა ამჟამად ლიტერატურული კრიტიკის სფეროში, ახალგაზრდა პოეტს და კრიტიკოსს ლექსო დორეულს გავესაუბრეთ.

- რით განისაზღვრება კრიტიკის როლი?

- კრიტიკის დანიშნულებისა და არსის განსაზღვრა, სოციალურ-კულტურული, თუ ცოდნის თეორიული თვალსაზრისით, საბოლოოდ მაინც "ლიტერატურული კრიტიკის" ცნების განსაზღვრასთან მიგვიყვანს, რადგან ის იმ მთელის ნაწილია, რასაც ზოგადად კრიტიკა და კრიტიკული აზროვნება შემოწნებს. კრიტიკა აზროვნების თვისება და ფუნქციაა, ის ამ უნარის უნარი და ცნობიერების ცნობიერებაა. კრიტიკა, როგორც "მოვლენების გამოქვეყნება", არის მათი იმდევარ პოზიციაში ჩაყენება, რომ მან გამოავლინოს თავი და უპასუხოს ჩვენ მიერ დასმულ კითხვებს. კრიტიკული აზროვნების მიზანდასახულობაც სწორედ ეს არის, რომ მოვახერხოთ ტექსტების, როგორც სინამდვილეების დაკითხვა.

კრიტიკული აზროვნება არსობრივი თვალსაზრისით დაკავშირებულია მითოსური ცნობიერებიდან ადამიანის გამოსვლასთან. საუბარია ცნობიერების ტიპზე, რომელიც იყო სინკრეტული ანუ დაუშლელი და ის მოვლენებს აღიქვამდა, როგორც ერთ მთლიანობას. მის წიაღში არ არსებობდა სიკვდილის ფენომენი. თქვენ ვერ გაიგებდით, რომ ვიღაც მოკვდა. ამის გამოსახატავად ადამიანები ამბობდნენ, რომ, მაგალითად, ადამიანს ქვა მოხვდა თავში. ასე რომ, სიკვდილის და წარმავლობის გაცნობიერება დაკავშირებულია მითოსური ცნობიერებიდან გამოვლასთან და სწორედ კაცობრიობის ისტორიის ამ ეტაპზე ჩნდება კითხვები. საინტერესოა ის, რომ კრიტიკული აზროვნების განვითარების საწყისი ეტაპი უკავშირდება სიკვდილის გაცნობიერებას, როგორც რაღაცის დასასრულს და შემდეგ უკვე დასაწყისს. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა პირველი ფილოსოფოსები: თალესი, ანაქსიმანდრე და ანაქსიმენე, ვინაიდან ყველაფერი ეს დაკავშირებულია ფილოსოფიურ გამოცდილებასთან, იმიტომ, რომ ფილოსოფია ყველაზე მეტად გულისხმობს წანაძღვრად და საფუძვლად კრიტიკულ აზროვნებას. მაგალითად, ჰეგელი იმასაც ამბობს, რომ ფილოსოფიის შესავალი არ არსებობს იმიტომ, რომ როდესაც ჩვენ ვიწყებთ ფილოსოფიის შესავლით, აღმოჩნდება იმ ველში, სადაც ეს შესავალი თვითონ ფილოსოფიაა. კრიტიკის შემთხვევაშიც ასეა საქმე, კრიტიკა განუყოფლად არის დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლესთან, რომელიც არ იღებს არაფერს დოგმატურად და ყველაფრის რაციონალურ გადამონმებას ცდილობს. შემდეგ უკვე დასავლეთ-ევროპულმა გამოცდილებამ უჩვენა, რომ გარდა რაციონალური გადამონმებისა, საჭიროა მოვლენების, ფაქტების, ფენომენების, ემპირიული დამონმება. ანუ ჩვენ ისინი უნდა ჩავეყნოთ ისეთ საცდელ ვითარებაში, რომ შევძლოთ დავადგინოთ მათი თვისებები ჭეშმარიტია თუ მცდარი. შემდეგ უკვე, ამ პარადიგმამ მიიღო საზრიანობის და უსაზრიანობის კატეგორიათა მონაცვლეობის ფორმა. ჩვენ იმით კი აღარ ვამონმებდით ობიექტურ სინამდვილესთან შესაბამისობაში კონკრეტული დებულება ჭეშმარიტი იყო თუ მცდარი, არამედ საზრიანი იყო ის თუ უსაზრიანი. კრიტიკა სწორედ ამ მეთოდით ხელმძღვანელობს. კრიტიკული რაციონალიზმის, როგორც მეთოდის ჩამოყალიბება

დაკავშირებულია ანტინეოპოზიტივიზმის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის კარლ რაიმუნდ პოპერის სახელთან, რომელსაც ეკუთვნის დებატების, დისკუსიის წარმოების ხელოვნების შექმნაც. მისი მეთოდი მიჯნავს ორ მოცემულობას. ესენია: მეცნიერული და ფილოსოფიური გამოცდილება, რომლის ჭეშმარიტება-მცდარობის დადგენა ობიექტურ სინამდვილეში შეუძლებელია. პოპერი ამბობს, რომ გარკვეული ფილოსოფიური ხასიათის მსჯელობის დასაბუთება ისეთივე ძალით არის შესაძლებელი, როგორც თავად მისი უარ-

ინტერვიუ ახალგაზრდა კრიტიკოს ლექსო დორეულთან

ყოფა. მე მგონია, პოზიცია, რომ ანალიზის გარეშე არაფერი უნდა მიიღო, სწორია. ეს ეხება რელიგიურ დოგმატებსაც. კითხვაზე, რა არის განმანათლებლობა? - კანტი წერს, რომ სწორედ კრიტიკის ფუნქციაა, ადამიანს აზროვნება საკუთარ მფლობელობაში დაუბრუნოს. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რაში აწყობთ ადამიანებს, რომ საკუთარი აზროვნება სხვას მიუბარონ? მაგრამ როდესაც ისინი მათი განსჯითურთ სოციალურ თუ პოლიტიკურ ინსტანციას არიან მიბარებულნი, ეგზისტენციალურ გადამწყვეტილებებს იღებენ მათი კარნახით და ასე ბევრად უადვილდებათ ცხოვრება. ასე იქცევა ადამიანი ვიტალურ მასად. განმანათლებლობის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებს საკუთარი აზროვნება, თავისივე მოხმარებაში ჰქონდეთ. სწორედ კრიტიკული აზროვნება უნდა დაგვეხმაროს, რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდეს. კრიტიკული აზროვნება გარდა იმისა, რომ ადამიანებს საკუთარ აზროვნებას უბრუნებს, ის ცდილობს დაუპირისპირდეს არა ტრადიციებს და არატრადიციებს (ფართო გაგებით), არამედ ტრადიციების ტაბუებს ახადოს ფარდა. ის გვაძლევს უფლებასა და საშუალებას, რომ ნებისმიერი თეზისის გაკრიტიკება შევძლოთ და ამის შემდეგ მისი მიღება ან უგულებელყოფა.

- რამდენად ობიექტურია გაკრიტიკება? არსებობს თუ არა კრიტიკის უმეტი, რის მიხედვითაც კრიტიკოსი წანარმოებს აფასებს?

- რომ გითხრათ, თანამედროვე საქართველოში ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნება ყველაზე და უამრავი წერილი და რეცენზია ინერება-მეთქი, არ იქნება მართალი. სულ თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები არიან ამ საქმიანობით დაკავებულნი. ახლახან აღდგა „ლიტერატურული საქართველო, რომელსაც გამოცემის 78-წლიანი ისტორია აქვს და რამდენიმე წელი, ჩვენი ყოფილი მთავრობის გადაწყვეტილებით, ვერ გამოიცემოდა. მისი აღდგენა, თამაზ ნივინვაძის წყალობით მოხერხდა, რომელიც ქართული ლიტერატურული კრიტიკის მამად შეიძლება შეირაცხოს. რაც შეეხება ლიტერატურაში სუბიექტურობა-ობიექტურობის საკითხს, კრიტიკა რომ იყოს აბსოლუტურად ობიექტური, ეს შეუძლებელია. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ კრიტიკოსი დაინტერესებული იყოს, თავისებური ტენდენციუ-

რობით წარმოაჩინოს მოვლენები. საქმე ის არის, რომ თავად ხელოვნება არის სუბიექტურ-ობიექტური ფენომენი. სწორედ ამიტომ არის, რომ ყოველ ეპოქაში ახლიდან ისმის კითხვა: რა არის ხელოვნება? თავად ხელოვნებას ვერ გაურკვევია, რა არის ხელოვნება და როგორ გინდა, ლიტერატურის კრიტიკოსმა შეიმუშაოს რაღაც ობიექტური კრიტერიუმები იმის დასადგენად, ესა თუ ის წანარმოები კარგია თუ ცუდი. მაგალითად, თუ ბუნებით კონსერვატორი ხარ, ვერასოდეს გაუგებ პოსტმოდერნისტულ ტექსტებს და მისი ციტირების სისტემას. მაგრამ შენთვის მისაღები იქნება ლეო ქიაჩელის და გიორგი შატბერაშვილის პროზა. თუმცა, რაღაც სიმყარე მაინც ხომ უნდა იყოს შესაძლებელი, მიუხედავად ხელოვნების ცვალებადი ბუნებისა?! მართლაც, არსებობს საეტაპო კატეგორიები: ტექსტის მხატვრულობა (თუ თავად სტილისტიკის მიზანდასახულობა არაა შეგნებული ან-



აზრი, თუ რა მეთოდით განვიხილავთ ტექსტს. თუმცა, მე მიმაჩნია, რომ თანამედროვე საქართველოშიც არის ისეთი ავტორი, რომლის პოეტიკაც, გარკვეული გაგებით, უნივერსალურია. ასეთ პოეტად მიმაჩნია გივი ალხაზიშვილი, რომლის შემოქმედებაც იმის შესანიშნავი მაგალითია, თუ რატომ არ შეიძლება ნებისმიერი, მათ შორის კლასიკური, დისკურსის ამონურვა და როგორაა შესაძლებელი ნებისმიერი ლიტერატურული „მსვლელობისთვის“ სიცოცხლის მიჩქება. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, რომ გივი ალხაზიშვილის პოეზიას ვერც ერთი სტილისტიკა ვერ მოიცავს

და ყოველთვის რჩება რაღაც, რაც ხელიდან უსხლტება ყველა „იზმს“. მის შემოქმედებაში ყოველგვარი ინდექსი რაციონალიზმის მიღმა დგას და სწორედ ამით ხდება შესაძლებელი „უსაფრთხო პრეზენსი“, რომელიც იდეალობის მეტაფიზიკის ფორმაშია დაფუძნებული. სულ ახლახანს გამოვიდა მისი უმნიშვნელოვანესი ნიგანი „შენ ცოცხლობ ჩემში“. მკითხველს ვურჩევ, აუცილებლად შეიძინოს ლექსების ეს კრებული.

- აუცილებლად უნდა ვახსენო გენიალური ქართველი პოეტი ტარიელ ჭანტურია, რომელმაც, ჩემი აზრით, გადატრიალება მოახდინა ქართულ ლიტერატურაში და ჩვენი პოეზიის ენის გონს სრულიად ახალი ფუნქციები და თვისებები გამოუშუშა. მან შეძლო ერთმანეთზე დაეყვანა ენა და „არაენა“ და არ დაეტოვებინა დისკურსი, რომელიც პოეტური თვალსაზრისით გამოუსადეგარი შეიძლება ყოფილიყო. ტარიელ ჭანტურიას შემოქმედება არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა დეკონსტრუქციული თვალსაზრისითაც, რამდენადაც ის აღიარებს ენის პლურალისტურ გაგებას და მისთვის არ არსებობს პოეტური და არაპოეტური სიტყვები, სინტაქსური კონსტრუქციები. დამწერლობა, როგორც წესი, თავის თავს წერს. აი, იმეტყველო, ილაპარაკო წერაში კი - ძალიან რთულია. ეს ტარიელ ჭანტურიამ მოახერხა. მის ტესტებში ავტორის ხმა ისმის, რომელიც არ აძლევს საშუალებას ენას, გაექცეს და გამოეყოს, იმოქმედოს მისგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, მისი პოეზია არის ყველაზე უფრო მართალი ლიტერატურა, რადგან მასში ენის საზღვრები ემთხვევა აზროვნების საზღვრებს და პოეტი არ ცდილობს, იმოძრაოს მკვდარი, არარსებული ლინგვისტური მოცემულობის წიაღში. მიმაჩნია, რომ ტარიელ ჭანტურიას შემოქმედებას მთავალი თაობები, რისი წინაპირობაც უკვე არის, უფრო მეტად დააფასებენ და შეიყვარებენ.

- რამდენად მნიშვნელოვანია ავტორის ვინაობა წანარმოების შეფასებისას?

- მეოცე საუკუნეში მიშელ ფუკომ დაწერა წერილი „ავტორის დაბადება“. სულ რამდენიმე ხანში მან დაწერა მეორე ოპუსი „ავტორის სიკვდილი“. ამ

►► დასასრული 20-18 გვ.

►► მ-17 ბეპერლიდას

მოვლენის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ტექსტებზე საუბარი უნდა დაიწყოთ იმისგან გამიჯნვით, თუ ვის ეკუთვნის ის. თუ, რა თქმა უნდა, ავტორის ბიოგრაფიული მონაცემების გაცნობის გარეშე ვერ შევძლებთ ტექსტის გაგებას (ამის მაგალითები არსებობს ლიტერატურის ისტორიაში). ეს პარადიგმა, როგორც აზროვნების ნიმუში, იქამდეც კი მივიდა, რომ მწერლის და მკითხველის უფლებები თანამედროვე საზოგადოებაში გათანაბრებულია.

რა თქმა უნდა, საავტორო უფლებები აქ არ იგულისხმება.

მე არ მაინტერესებს, რას გულისხმობს მწერალი, მე მაინტერესებს ის ინტერპრეტაციათა მრავალფეროვანი ველი და დიაპაზონი, რასაც ეს ტექსტი მთავაზობს. ის არის ღია სისტემა, ამიტომ ჩვენ უნდა ვისაუბროთ ტექსტზე და არა ავტორზე... ამიტომ კრიტიკოსი, რომელიც თავის რეცენზიას იწყებს იმით, თუ როგორი კარგი ადამიანია ესა თუ ის ავტორი და ასეც აგრძელებს, ცუდი კრიტიკოსია.

- თანამედროვე ავტორებს ხშირად იმის გამო აკრიტიკებენ, რომ ენა გაამარტივეს და მხატვრული ღირებულებები დაკარგეს. ეთანხმებით და თუ არა ამ მოსაზრებას და თუ ეს ასეა, სადამდე შეიძლება ამ ყველაფერმა მიგვიყვანოს?

- ხორხე ლუის ბორხესი ერთ-ერთ მოთხრობაში წერს, რომ თანამედროვე სამყარო არის სინამდვილე, რომელში მყოფი ადამიანიც თავისი თავის ბერნარდ შოუ, იესო ქრისტე და არქიმედეა. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველა ადამიანი თავის თავში ინახავს ჭეშმარიტების საზომს, არამედ იმას, რომ თავად ჭეშმარიტება გახდა რელატიური ფენომენი. ამ თვალსაზრისით, ძალიან გამარტივებულია თანამედროვე სამყაროს ხედვის ონტოლოგიური სტრუქტურა. მინდა აქვე განვმარტო სიტყვა სედიმენტაციის მნიშვნელობა, რაც ნიშნავს ენის გამარტივებას სოციალური კომფორტის სასარგებლოდ; როდესაც მე მივიღებ კომპრომისზე და ვამარტივებ ჩემს ენას, რომ მოვიპოვო სიციხის კომფორტი და ჩემსა და მკითხველს შორის შედგეს კომუნიკაცია. ამისთვის არ ვიყენებ „რთულ“ სიტყვებს, თუ სინტაქსურ კონსტრუქციებს. მაგრამ ენის ამგვარი გამარტივება, მისი პრიმორდიალური, ანუ მისი დაუშლელი იდეებად არსებული ბუნების დამახინჯება, ესენციური თვალსაზრისით არის უარყოფითი მოვლენა. ჩვენ ვიცით, რომ გარკვეული ლინგვისტური მოცემულობის გამარტივებით ვიღებთ მის ცვლილებას და სულ სხვა საზრისს. გამოდის, რომ ჩვენ ამ ლინგვისტური ერთეულის შეცვლით ენაზე ვძალადობთ და ვამახინჯებთ ჩვენს აზრებს და ღირს კი ასეთი კომპრომისი აზროვნების წინაშე?! მხატვრული ლიტერატურა ენის უნარების აქტივიზაციისაკენ უნდა ისწრაფოდეს და არა - მისი გამარტივებისკენ. ეს უნდა მოხდეს, ენის წიაღში ფენომენოლოგიური რეფლექსიის გზით, თარგმანის პრაქტიკის გზით და ა. შ. მე მინდა ვთქვა, რომ თანამედროვე სინამდვილეში ენის სედიმენტაცია არნახულ ხარისხშია წარმოდგენილი. ამას კი მიმართავენ იმიტომ, რომ ენის გონში არ არიან შესულები და არა იმიტომ, რომ მხოლოდ მკითხველთან გაიმარტივონ მისასვლელი გზა.

ენის შრეებში გარკვეული კონსტრუქციები და მატრიცები, დროთა განმავლობაში, სოციალური უსანქციობის გამო, გაქრობას, ან დეგრადაციას განიცდიან. ბოლოს ვიღებთ ენას, რომელიც ხდება მთლიანად სოციალური ინსტიტუცია. მეორე მხრივ, უამრავი მწერალი საუბრობს მკვდარ ენაზე, რომელსაც არანაირი სოციალური სანქცია არ გააჩნია, რაც ასევე უარყოფითი და არასერიოზული მოვლენაა.

- რას გვეტყვით მწერალთა კავშირში შექმნილ მდგომარეობაზე?

- მწერალთა კავშირი დღესდღეობით ძალზე ტრაგიკომიკურ მდგომარეობაშია აღმოჩენილი. ფაქტობრივად ის საეთოდ გამოითიშულია თანამედროვე ლიტერატურულ პროცესს. ამ მხრივ მწერალთა კავშირი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, თავისი გაზეითითურთ, რომელსაც თავადაც აღარ კითხულობენ. ის, რომ მათ გენიალური ნაწარმოები ნაჯღაბნებისგან ვერ გაურჩევიან, ჩემი ბრალი ნამდვილად არ არის.

თუმცა მაინც იმედი მაქვს, რომ ახალი ხელმძღვანელობის პირობებში მწერალთა კავშირი დაუბრუნდება ლიტერატურულ პროცესს.

ესაუბრა

ნიინი ქეთილაური

ხა გიამბო ქეზა მისი...



„ვეფხისტყაოსნის“ იპოქრატე მთარგმნელს, ბორის გაპონოვს 80 წელი შეუსრულდა

თვის, რომ ღვთისგან დაკისრებული მისია აღესრულებინა, ჯერ თავისი მშობლიური, ლამის ნახევრად მკვდარი, ენა — ივრითი — გააცოცხლა და ააღორძინა: შეაგროვა თარგმნისთვის აუცილებელი ლექსიკური მასალა — ივრითულ-რუსული ლექსიკონის ორტომეულის 28000 სიტყვიდან მისთვის საჭირო მხოლოდ რამდენიმე ათეული სიტყვა აარჩია, „გასინჯა“ ძველი ებრაული ტექსტები, შეადგინა „ივრითის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (რომელიც დღემდე არ გამოცემულა), არ გაითვალისწინა ცნობილი თარგმნის ხელოვნების არცერთი მეთოდი; თავდაუზოგავი შრომით თავად მიაკვლია თარგმნის იმგვარ ხერხს, რომელიც ორიგინალს შეუნარჩუნებდა გარეგნულ ფორმას, სიტყვიერ ქსოვილს და ბგერით ორგანიზაციას. ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების შემდეგ მან პოემის ყველაზე სრული ტექსტი (6676 სტრიქონი) აიღო და ივრითის ისეთი ენობრივი ფონი შეარჩია, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამებოდა რუსთაველის ენას, „ერთი მუხლით შეამცირა ყველა ტაეპი და პოეტის გენიალური ქმნილება წარწარად „ჩაასახლა“ ებრაულ, ივრითულენოვან გარემოში“ (44 გვ.). თარგმანის წინასიტყვაობიდან, — მისი ავტორის, აბრამ შლიონსკის სიტყვების პერიფრაზი რომ მოვახდინო — ბორის გაპონოვმა პოეტური ინტერპრეტაციის ისეთ დონეს მიაღწია, რომ რუსთაველის გენიალური ნაწარმოები „ჭურჭლიდან ჭურჭელში“ უვნებლად გადაასხა და ამით „პოეზიის, ხელოვნების და მეცნიერების სიმბიოზი“ (49 გვ.) წარმოგვიდგინა.

მისიელ ფიზიკი შთაგონებით გვიყვება ისრავლში დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც პოლიგრაფიულ შედეგზე — მის ყდასა და გარეკანზე, შმუცტიტულზე, ოქროსფერად მობრიალ ქაღალდის ფერსა და ხარისხზე, ამ გამოცემისთვის საგანგებოდ ჩამოსხმულ ლიტერებზე, თითოეული თავის აღმნიშვნელ გრაფიკულ მთავარ ასოებზე, ყოველი თავის ბოლოს დართულ ორნამენტებზე; ნიგნზე თანდართულ მ. თავართქილაძის რეპროდუქციებსა და ა. შლიონსკისა და ა. ბარამიდის წინასიტყვაობებზე...

მე დღესაც არ ვიცი, ამგვარი გამოცემის ანალოგი ქართულ ენაზე არსებობს თუ არა, მაგრამ საბჭოთა საქართველოს იდეოლოგიურმა ხელმძღვანელმა დევი

სტურუამ ამის გამო სინანული გამოხატა. მაშინდელ საქართველოში ეს ფენომენური გამოცემა თითქმის შეუმჩნეველი დარჩა — ბორის გაპონოვს არათუ დაპირებული სოლიდური ჰონორარი არ გადაუხადეს, არამედ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მთარგმნელადაც კი არ აიყვანეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მისი მწერალთა კავშირის რიგებში მიღება თავში აზრად არავის მოსვლია... თუმცა ყოველივე ამის ფონზე, მიხეილ ფიზიკის თავის ნიგნში, ერთი საყვედურიც არ დასცდენია...

უცნაურია, თურმე ბორის გაპონოვს ქუთაისში, საფინჩიაზე, ჯაფარიძის ქუჩაზე, ჩემს მე-



ნიგნის ყდა. მხატვარ ცისანა ჯანაშვილის მიერ შესრულებული ბორის (დოვ) გაპონოვის პორტრეტი

ზობლად უცხოვრია. ვინ უწყის, ქუჩაში მოთამაშე ყმანვილს, იქნებ, თვალი მომიკრავს მისთვის, როცა ჩემს მეზობელს, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორ გივი მეფისაშვილთან მიჰქონდა თავისი ნიგნი-შედეგრი.

ძალიან მახარებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ივრითზე ქუთაისში ითარგმნა, მაგრამ ასევე ძლიერ მეთამაშება ის, რომ მიხეილ ფიზიკის ამ არაჩვეულებრივი ნიგნის ყდას ჩემი ამერიკელი მეგობრის, შესანიშნავი მხატვრის, ქალბატონ ცისანა ჯანაშვილის მიერ შესრულებული ბორის გაპონოვის უბადლო პორტრეტი ამშვენებს.

უზომოდ ვისიამოვნე ამ ნიგნის ნაკითხვით, იმით — თუ როგორ უკვდავყოფს მეგობარი თავისი იმ დიდი მეგობრის ღვაწლსა და ამაგს, რომელმაც პირველად გააცნო ებრაელ ერს ქართველი ერი „მისი ზემოთაგონებული სულის — შოთა რუსთაველის მეოხებით.“ (ა. შლიონსკი)

გიორგი ბელუა



მხატვარ მიხეილ (მორდახაი) ჯანაშვილის მიერ შესრულებული ბორის (დოვ) გაპონოვის პორტრეტი

პოეტის თმის ღერი

პოეტსაც აქვს თავისი ფასი,
უსმინეთ მის ხმას და მის სიმღერას,
თუნდაც მისი ხმა
იყოს წვრილი,
ვით ჯულიეტას ერთი თმის ღერი.
და, თუ განწყობა ის წვრილი ღერი,
მაშინ პირქუში დედამინა,
ბურთისმაგვარი,
ჩაქვანება უფსკრულისაკენ,
ანდა ვინ იცის –
გაიბლანდოს სადღაც ღრუბლებში.
გესმით? ხანდახან ასეც ხდება,
რადღაც ჰკიდია ერთ წვრილ თმის
ღერზე
და პოეტის ხმა დღეს თმის ღერია.
გესმით?
იქ, სადღაც, ვიღაცას ესმის.

ამგავი მსგავსი სინამდვილისა

(პოლემიკური ლექსი)

1


აი, აგურის წითელი სახლი,
მობინადრეთა სამი სართული...
აქ გადმოვარდა კაცი მაღლიდან
და ქვაფენილზე გდია ამგვარად:
დაფარული აქვს სახე გაზეთით,
მის ირგვლივ ხალხი ჯგუფად დამდგარა.
ამბობენ,
საყვარელმა გადმოაგდო ფანჯრიდან,
ამბობენ,
მისი მიტოვება უნდოდაო.
ორი კოპნია ქალიშვილი
ღიმორეული
შეჯგუფულ ხალხის ცდილობს გართობას:
მფრინავს ბაძავდა, ცაში ფარფატის,
განავარდების ჰკლავდაო ჟინი.
დგას ხალხი ჯგუფად მდუმარე გვამთან,
ყვითელ ფეხსაცმლით ფეხშემოსილ
მკვდრის ახლოს გდია
ქუდიც გასვრილი.
ამბობენ:
„ბედშავს შვილები ჰყავდა,
ქალს, დამანგრეველს ბედნიერების,
ჩემივე ხელით დანით ავქნიდი“.
აი, ამ სახლის ორი ფანჯარა,
ერთი ფირფიცრით ამოჭედილი,
კატა-ძაღლივით უღრენდნენ ერთუროს,
დღეს მის თვალებში ღამე ჩამდგარა
და ქვაფენილზე კაცი კი არა,
ხორცია, რაიც უნდა გაიხრწნას.
მითხარ, პოეტო, რითი უშველი
მას, ვინც მოღუშულ სახლის ფანჯრიდან
ძირს გადმოეშვა?
დღე იყო მშვიდი, წყნარი ივლისის,
ცხრაას ორმოცდა ოთრმეტი წელი,
ჩვეულებრივი თბილი შუადღე.

2

ჩვენ, ვინც ვლაქლაქებთ ლექსის წერაზე,
ვერსიფიკაციას,
ტრადიციას, მიმბაძველობას
ხშირად ვახსენებთ,
ჩვენ, ვინც ვწერთ მწყაზარ გართომულ და
ურითმო ლექსებს,
ვთხზავთ პოემებს და ოდებს ვმღერით,
ჩვენ, ვინც ვჭიკჭიკებთ, როგორც ჩიტები,
და ამ სიმღერით მივიჩქარით
სადღაც შორეთში,
მივაპროთ მზერა მიცვალებულს.
რად არ მივეციტ გრძნობა ახალი,
რად არ მივეციტ თვალი ახალი,
რად არ მივეციტ სახე ახალი,

ტადეუშ რუჟევიჩი (1921 წ.)

ტადეუშ რუჟევიჩი – პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და ესეისტი, თანამედროვე პოლონური ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი პირველი ლექსები 1939 წელს გამოჩნდა პოლონურ ჟურნალ-გაზეთებში. 1944 წელს, პოლონეთის ოკუპაციის პერიოდში, იატაკქვეშეთში გამოდის მისი ანტიფაშისტური ლექსების წიგნი. ტ.რუჟევიჩი ძალიან ახალგაზრდა აღიარეს კლასიკოსად. საქართველოში 1965 წელს რამდენიმე ლექსი, ჩემს მიერ თარგმნილი, დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“. 1969 წელს გამოვეცი მისი ლექსების პირველი კრებული. 1985 წელს წიგნად გამოვაქვეყნე ტ. რუჟევიჩის გახმაურებული პიესა „კარტოთეკა“, რომელიც პოლონელმა რეჟისორმა პოგდან პუსაკოვსკიმ დადგა კ. მარჯანიშვილის თეატრში. ამ ხნის განმავლობაში გამოვეცი მისი მრავალი ლექსი და რამდენიმე პიესა. რუჟევიჩის შემოქმედება თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე.



პოლონურიდან თარგმნა: ჯემალ ჭელიძე.

ფიქრი ახალი, აზრი ახალი
რად არ მივეციტო?
თუ არ გვისმენდა, არად აგდებდა
ჩვენს დარიგებას და შთაგონებას,
უნდა დროულად რამე გველონა.
ახლა კი მოკვდა იმ შხამისაგან,
რაიც დატოვა ძველმა ქვეყანამ
იმის სულში და იმის სხეულში.
უნდა ვუფრთხილდეთ ადამიანებს
და მათ სულიერ სიცარიელის,
უიმედობის, უსასოობის
მარწუხში მარტო ნუ მივატოვებთ!
ჩვენ პასუხს ვაგებთ მათ სიცოცხლეზე,
ნუ მივატოვებთ მარტოდმარტოებს!
თუ პოეზია დაივიწყებს ამის შესახებ,
მაშინ ეს ჩვენი პოეზია
ძაგების ღირსი
და ზიზღმომგვრელი ბოძვა იქნება.

ცხოვრების ფარსულში

სიცოცხლის შემდეგ,
სიკვდილის შემდეგ,
ისევ შეიგრძნე მაღლი ცხოვრების
და მის მორევში ცურვა შევძელი.
სიცოცხლის შემდეგ, სიკვდილის შემდეგ
ვქმნიდი ბუნებას, ვქმნიდი ცხოველებს,
სიცოცხლეს ვქმნიდი სიკვდილის შემდეგ.
– ეს მაგიდაა, – ასე ვამბობდი, –
ეს მაგიდაა.
მაგიდაზე დევს დანა და პური,
ადამიანებს როცა სჭირდებათ,
დანით პურს ჭრიან
და შემდეგ პურით იკვებებიან.
ადამიანი უნდა გიყვარდეს, –
ვიმეორებდი მე დღე და ღამე,
– უნდა გიყვარდეთ ადამიანი,
ვეუბნებოდი ადამიანებს.
– ეს ფანჯარაა, – ასე ვამბობდი, –
ეს ფანჯარაა,
ფანჯრის გადღმა მომცრო ბაღია,
ბაღში კი ვაშლის ხეები დგანან,
ყოველ წელიწადს ხენი ყვავიან,
შემდეგ ყვავილთა ნიაქპარია,
შემდეგ ნაყოფი ხეზე მნიფდება,
შემდეგ ვაშლები დაიკრიფება
და, ვაშლებს რომ კრეფს, მამაჩემია.
სახლის წინ ვზივარ.
ეს დედაბერი თხას რომ მიათრევს,
თოქს ჩაბლუჯვია ორივე ხელით,
ის საჭიროა,
ის ძვირფასია,
ვიდრე სამყაროს სხვა საოცრება.
ვინც გაიკვირვებს,
ვინც გაოცდება,
ადამიანის მკვლელია იგი,
კაცობრიობის მკვლელია იგი.
აი, ეს არის ადამიანი,
ეს არის ხე და ეს არის პური.
ადამიანებს კვება სჭირდებათ,
რათა იცოცხლონ ამ ქვეყანაზე.

ძვირფასი არის ადამიანი,
დიდია მისი სიცოცხლის ფასი,
ყოველივეზე ასწილად ძვირი,
რაც კი უკვდავყვეს მისმა ხელებმა.
ადამიანი დიდი განძია, –
ვიმეორებდი მე დაჟინებით.
ვამბობდი: – აი, ეს არის წყალი.
ვეფერებოდი ზედაპირს წყლისას.
„წყალო, – ვამბობდი, –
კეთილო წყალო,
მოუსვენარო წყალო,
მისმინე!“
ლაპარაკობდა ადამიანი
წყალთან, მთვარესთან, მიწასთან, ცასთან
და ყვავილებთან.
ცაც დუმდა,
მინაც,
ჩიტიც
და, წყალიც.
და თუ რაიმე
ხმა შემოესმა
მინისგან,
ცისგან,
წყლისგან,
იგი ხმა იყო ადამიანის –
მისივე მსგავსის იყო პასუხი.

წერილი კაციჭამიებს

ძვირფასო კაციჭამიებო,
ნუ უცქერით ადამიანს
მგელივით,
რომელიც
გთხოვთ –
დამითმეთ ადგილი ვაგონშიო,
გაიგეთ,
სხვასაც აქვს ფეხები და
საჯდომი.
ძვირფასო კაციჭამიებო,
შეჩერდით ერთ წამს,
ნუ თელავთ სუსტებს,
ნუ აღრჭიალებთ კბილებს,
გაიგეთ:
ბევრია ადამიანი ქვეყნად და უფრო მეტი
იქნება!
ცოტა შევიწროვდით, მიეციტ ადგილი.
ძვირფასო კაციჭამიებო,
გვედრებით, ნუ იყიდით ყველა ღილს, სანთელს,
მაკარონს.
ნუ ბურღუნებთ ზურგშექცეული:
მე, მე, ჩემი, ჩემი,
ჩემი მუცელი, ჩემი ხალათი,
ჩემი ფეხსაცმელი, ჩემი შარვალი,
ჩემი ცოლი, ჩემი შვილები,
ჩემი აზრი.
ძვირფასო კაციჭამიებო,
ნუ შეგვსანსლავთ, გესმით?!
თავადაც იცით, მკვდრეთით აღდგომა არავის
ძალუძს.

რევაზი არ გაჭაჭანებულა ტიტულატურაზე...

ფეიქრობ, ალბათ, ამან უფრო გაამწარ-გაანინმატა ბატონი რევაზი და ჩემს საგინებლად განაწყო! ღმერთმა ხელი მოუშარ-თოს „კლასიკოსს“ ჩემს გინებაში!

ძვირფასო მკითხველო! ჩემი და ბატონი რევაზის წინა საბრძოლო „მოთელვას“ დღეს ამით დავამთავრებ! რაც შეეხება იმას, შემდგომ რომელი რა სახელ-გვარით გამოვალთ ასპარეზზე, ბარემ აქვე მოგახსენებთ!

ბატონო რევაზ! რაჭაში უხსენებელს ვის ეძახიან, იცით (რას არა, ვის)? „კლასიკოსი“ მწერალი უმალ მპასუხობს: გადატანი-თი მნიშვნელობით, ალბათ, კაცს...

– არა, არა, ვერ გავარტყით, ჯობს ბოდიში მოუხადოთ კაცებს, დედაკაცებსაც!

– აბა, ვის რას და რომელ ჯანდაბას ეძახიან უხსენებელს? – ბრაზობს „კლასიკოსი“, – და იქვე ვპასუხობ: შხამით სავსე მოსიარულე კასრს, ესე იგი, თქვენს!..

ბატონო რევაზ! უფრო რომ გაგათვით-ცნობიეროთ: ძალიან შხამიანი გველეხის „კარგი“ და „მისადაგებული“ გამოთქმა უხსენებელი! მთლად ნუ გაიტყვით გულს, ბაჩუკი! უშხამო გველებიც არსებობენ (თუმცა, სამწუხაროდ, ეს თქვენზე არ ვრცელდება!), სულ მოფერებ-მოფერებაში ატარებენ სიცოცხლეს მზის სანთურზე! მაგრამ არ შემიძლია, აქვე არ გითხრა: ჩვენთან, რაჭაში, გველსაც რომ შეკადრო, შე უხსენებლო, შეიძლება გადაიროს და უმალ საკებნად დაგაცხრეს!

ჩემო ძვირფასო რევაზ ბატონო! წერილის ბოლო წინადადებებში გველის ფენომენს იმიტომ გავუსვი საზი, რომ ჩემს ახალ ამპლუაში გამოჩენას სამწერლო ასპარეზზე, ფსევდონიმად ახალი გვარ-სახელიც შეემატოს: **ვაჟა გველი!** „გველი, ვითარცა ბრძენი და სუფთა, ვითარცა ტრედი...“ დიას, ვაჟა გველი! როგორია? მომწონს, კარგად ჟღერს! დიდი მადლობა, ცოცხალი „კლასიკოსო“ „ნათლობისთვის“!.. რაც შეეხება ჩემს მიერ თქვენს „მონათლვას“, სანწყინად თუ არ ჩამითვლით, წერილების ქვემოთ და ქვემოთ უხსენებლის გვარით მოგიხსენიებთ! ისე, რომ ვუფიქრებ, ჩემგან „დანათლული“ ახალი „ლიტერატურული“ ფსევდონიმი (ხაზს ვუსვამ, ლიტერატურულს და არა სამწერლოს!) თქვენი „პიროვნებისთვისაც“ გადასარევედ ჟღერს! აბა, ნახეთ! გაითავისეთ! ხშირად წარმოთქვით თქვენი ახალი გვარი თქვენი სიმალის სარკის წინ: ცოცხალი „კლასიკოსი“ **რევაზ უხსენებელი!**

ესე იგი, ჩამოვყალიბდით და დავლაგდით:

მე ვიქნები – **ვაჟა გველი!**
თქვენ იქნებით – **რევაზ უხსენებელი!**
ძალიან კარგი, პოზიციები გარკვეულია!.. ერთხელ კიდევ გთხოვ („თავმა თუ არა, ტანმა მაინც უნდა გაიზაროს“, რევაზ კნიაზო!), სანამ კიდევ არის დრო, ამოიგლიჯე ეგ შხამიანი ენა, დაკრეჭილ კბილებს როგორმე დააფარე უთხელესი ტუჩები და წერილობით საქვეყნოდ მომიხადე ბოდიში, რამეთუ ასე ჯობს შენი საქმისთვის, თორემ ხომ იცი, რა აქვს ნათქვამი კეთილ მეზღაპრეს (ჩემს შემთხვევაში მართლის მოქმედს!): **ორი ტომარა სავსე მაქვს, გულდა თავმოუხსნელიაო...**

ვაჟა გველი (წოდებით)...

P.S. თუ ბატონი რევაზ უხსენებელი (მიშველაძე) ბოდიშს მომიხდის, წერილების ციკლის დაბეჭდვას შევწყვეტ! თუ არადა!..

გაგრძელება იქნება

დედულეთის გაზაფხული

გათავდა, მორჩა, მორჩა, გათავდა ხველა-ციება, ხმა სატანური, გადაიფურჩქნა კვირტი ატამთა და ანკრიალდა სადღაც ფანდური. ჩემს დედულეთში ვათენ-ვალამებ, ზოგჯერ ფხიზელი, ზოგჯერაც მთვრალი, თეთრ მკერდს მიაგავს ღრუბლებში მთვარე ვნებადამცხრალი მძინარე ქალის...

ჩემო ვახტანგ და მანუჩარ!

სრულდება ჩემი რომანი, ჩემო ვახტანგ და მანუჩარ, დრო ბრუნავს, როგორც ბორბალი, სამართალს პირი არ უჩანს!.. რომელს აჯობებს რომელი, ნატო, ევროპა, გაერო... იცვლება ეს მთავრობები, იცვლება, მაგრამ ვაი, რომ, ჩემო ვახტანგ და მანუჩარ, სამართალს პირი არ უჩანს!..

თსოვნა

ამ წუთისოფლის აღმართ-დაღმართზე სანამ ჩემს ტანჯულ სხეულს დავატრევე, ერთს ვთხოვ მაღალ ღმერთს: ძველ ნაფუძვარს ნუ მოგვიშლი, სადაც ვალამ-ვათენებდით, მოამრავლე ჩვენი ჯიში ღირსეული ქართველებით...

ცისანა საყვარელიძის გახსენება

ახლოს ვიყავი მიზანთან – გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – როცა უკრავდა ცისანა იმ ბაფთებიან გიტარას. სულს ისე მიცისკროვნებდა, ვუერთდებოდი პირიმზეს, როცა მღეროდა ცისანა, „ჭირიმე, შენი ჭირიმე“...

ვიმბრანტის წერილი

ადრე მიხმობდა, ადრე მეძახდა, ახლაც მიხმობს და ახლაც მეძახის მიტოვებული სახლი, ეზო და ნალია, ჭური, ყანა, ვენახი... ტკივილი მახმობს, ბავშვი აღარ ვარ, ამ ხეტიალით გაეჭალარავდი, მამულში შრომამ თუ არ დაგვალა, ქვეყნად სიცოცხლე მართლა არა ღირს,

თუ არ შესძახებ ზეცას ხმამაღლა, თუ არ წამოწეხე პირსა არაგვის...

დილა

მზემ სხივი სტყორცნა მიწას ირიბი, აფეთქდა ნუში, გადაიკვირტა, თითქოს ესროლეს ძველი ხირიმი, წითლად მოქარგა მდელო აპრილმა, „მერე ატირდა ხევში ტირიფი, მარტოკა მდგარი ღელის ნაპირთან“...

აქ ისე როგორ ჩაივლი...

აქ ისე როგორ ჩაივლი, გულში არ ჩაილიღინო ან დაივიწყო ოდესმე ეს მთა, ეს მდელო, ეს სერი; ვარსკვლავთტაცია ღრუბელი, ქედზე შემჯდარი მიმინო, რიონის პირას, მდელოში ნაჩურჩულები ლექსები. აქ ისე როგორ ჩაივლი, არ გაგახსენდეს ბალადა, რომ არ შეიგრძნო სიმხნევე, ზეცას არ შეუღიმილო... „ირემო, მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარადა“, აქ ისე როგორ ჩაივლი, ჩუმად არ ჩაილიღინო...


წვიმიანი ღღი

გულში ტკივილი დამრჩა იმდენი, მწარე ფიქრებმა უცებ მომთენთეს, წვიმის წვეთები, როგორც ჩიტები, დაფრთხილებენ ვერხვის ფოთლებზე. სანამ ვიცოცხლებ, ვერ დავწყნარდები, – სანამ სიკვდილი არ გამიხსენებს... სიცოცხლის ძაფებს წვიმის წვეთები ჩუმად ხატავდა ფანჯრის მინებზე...

გვიანი სინაული

ქარში ირწვევა მაღალი ბონდი, ხავსმოდებული აქვეა ლოდი... ლოდი, რომელზეც ვისხედით ადრე და წყალს ვატანდით ტკივილს და ნალველს. აქვეა, აქვე ტირიფი კენტად... ჩვენ კი ყოველთვის ვიყავით ერთად. დრო მაჭარვით დუღდა და დუღდა, მერე კი გადნა, ვით თოვლის გუნდა... ახლა სადა ხარ? ვის ათბობ, ნეტავ? კენტად შემოვრჩი სანუთროს კენტად!..

წოდნარ ბაქრაძე



ერთგული გუშაგი

ლაბა ხარივით მივათრევე გუთანს, ხარივით მხედება ბეჭებში სახრე, ზოგჯერ ცხოვრებამ გული ჩამოთუტქა, ერთგულემა კი ვერ დავანახე. ჩემსას არ ვიშლი, მტკვარსა და ენგურს რომ ავაცილო მტრის თვალი იქნებ... და მაინც ასე ძალღივით ერთგულს წუთისოფელი ძალღივით მიღრენს...

დრო

დრო არ კითხულობს – არ გინდა, გინდა, დაუკითხავად მოდის და მიდის, ანგრევს, აშენებს, თხზავს მითს და იგავს, ზოგს ტახტს უბოძებს, ზოგს ეკლის გვირგვინს. ბევრი გადაჰყვა ავდარს და გრიგალს, ადამიანურ ვალსა თუ სინდისს, დრო არ კითხულობს – არ გინდა, გინდა, როგორც ყოველთვის, მოდის და მიდის. როდის ნაგვიყვანს, დღისით თუ ღამით – არ იცის კრძალვა, არ იცის რიდი – ერთადერთია, რომელსაც ქრთამით ვერ მოისყიდო... ის არ კითხულობს მდიდარს და ღარიბს, დაუკითხავად მოდის და მიდის...

მკითხველთა საყურადღებოდ!
გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-ქსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).
გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“ კოდი: MIBGGE22 ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ძვირფასო ავტორებო!
რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს "ასავალ დასავალის სტამბაში" მისამართი: თბილისი, აგლამის ქ. 39 ტელ: 2343330; ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ ნივნივაძე

გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

თავისუფლების მოედანი №4
E-mail: litsaartvelo@yahoo.com
ტელ.: 292 34 89

გამოდის პარასკეობით